

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ УНИВЕРСИТЕТ

ISSN 1512-3979 (print)
EISSN 1512-2174 (online)

ჟ რ მ ა გ ბ ი
აართვის ავტომატიზებული სისტემები
TRANSACTIONS
AUTOMATED CONTROL SYSTEMS
Т Р У Д Ы
АВТОМАТИЗИРОВАННЫЕ СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ

№1(19)



გამოცემა 2006 წლიდან

პერიოდულობა:
2 ნომერი წელიწადში

თბილისი-ТБИЛИСИ
2015

სარგებლობით კოლეგია:

- აზმაიფარაშვილი ზ., ბაიაშვილი ზ., გასიტაშვილი ზ., გიგინეიშვილი ა., გიორგაშვილი ლ., გოგიაშვილი გ., გოცირიძე ი., დადიანი თ., ვერულავა ო., თევდორაძე მ., თურქია ე., კაიშაური თ., კამპამიძე კ., ლაშხი ა., ლომინაძე ნ., ლომინაძე თ., მაჭარაძე თ., მძინარიშვილი ლ., ნატროშვილი დ., ობგაძე თ., სესაძე ვ., ფრანგიშვილი ა., ცინცაძე ა., გ. ძიმიგური, წვერაიძე ზ.,
- ჩოგოვაძე გ., ანანიაშვილი გ., ბოსიკაშვილი ზ., კაკუბავა რ., მელაძე ჰ., სალუქვაძე მ.,
- გერმანია: ბოთე კ., ვედეგინდი ჰ., დე-მეერი ჰ., მაიერ-ვეგენერი კ., რეისიგი ვ.
- აშშ: ტრივედი კ. (დუკეს უნივერსიტეტი), ჩიხრაძე ბ. (Amber Precision Instruments)
- კანადა: ქაჩიბაია ვ. (IT Industry)
- რუსეთი: ბაბაიანი რ., ვასინი ა., შჩუკინი ბ., ფომინი ბ.

პასუხისმგებელი რედაქტორი: გ. სურგულაძე. სტატიები: <http://www.gtu.ge/Journals/mas/>

EDITORIAL BOARD:

- Azmaiparashvili Z., Baiashvili Z., Dzidziguri G., Gasitashvili Z., Gigineishvili A., Giorgaschvili L., Gogichaishvili G., Goziridze I., Dadiani T., Kaishauri T., Kamkamidze K., Lashkhi A., Lominadze N., Lominadze T., Macharadze T., Mdzinarishvili L., Natroshvili D., Obgadze T., Prangishvili A., Sesadze V., Tevdoradze M., Tsintsadze A., Tsveraidze Z., Turkia E., Verulava O.
- Chogovadze G., Ananiashvili G., Bosikashvili Z., Kakubava R., Meladze G., Salukvadze M.
- Germany: Bothe K.(Humboldt univ. Berlin), De-Meer H.(Passau univ.), Meyer-Wegener K. (Erlangen univ.), Reisig W. (Humboldt univ.Berlin), Wedekind H.(Erlangen univ.)
- USA: Trivedi K. (Duke University), Chikhradze B. (Amber Precision Instruments)
- Canada: Kachibaia V. (IT Industry)
- Russia: Babaian R.(IPU), Tshukin B., Strijevski V.(Mephi) , Fomin B. (St-Petersburg El-Techn.Univ.)

Executive Editor: G. Surguladze.

References: <http://www.gtu.ge/Journals/mas/>

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

- Азмаипарашвили З., Байашвили З., Верулава О., Гаситашвили З., Гигинеишвили А., Гиоргашвили Л., Гогичаишвили Г., Гоциридзе И., Дадиани Т., Каишaurи Т., Камкамидзе К., Лашхи А., Ломинадзе Н., Ломинадзе Т., Мачарадзе Т., Мдзинаришвили Л., Натрошивили Д., Обгадзе Т., Прангисвили А., Сесадзе В., Тевдорадзе М., Туркия Е., Цвераидзе З., Цинцадзе А.
- Чоговадзе Г., Ананиашвили Г., Босикашвили З., Какубава Р., Меладзе Г., Салуквадзе М.
- Германия: Ботэ К., Ведекинд Х., Де-Меер Г., Мейер-Вегенер К., Рейсиг В.
- США: Триведи К. (Университет Дуке), Чихрадзе Б. (Amber Precision Instruments)
- Канада: Качибая В. (IT Industry)
- Россия: Бабаян Р. (ИПУ), Васин А. (МГУ), Щукин Б. (МИФИ), Фомин Б. (ЛЭТИ.С-т Петербург)

Ответственный редактор: Г. Сургуладзе.

Статьи: <http://www.gtu.ge/Journals/mas/>

ISSN 1512-3979

(c) გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2015
Publishing House „Technical University“, 2015
Издательство „Технический Университет“, 2015

306226160- CONTENTS- СОДЕРЖАНИЕ**თეორიული ინფორმაცია-COMPUTER SCIENCE-ТЕОРЕТИЧЕСКАЯ ИНФОРМАТИКА**

- პირითადი საკომუნიკაციო საშუალებები საზოგადოებასთან ურთიერთობისას ინტერნეტზე. არჩილ ფრანგვაშვილი, სალომე კვირიკაშვილი, ოლეგ ნამიხეშვილი // THE MAIN MEANS OF COMMUNICATION ON THE INTERNET PUBLIC RELATIONS. Prangishvili Archil, Kvirkashvili Salome, Namicheishvili Oleg // ОСНОВНЫЕ СРЕДСТВА КОММУНИКАЦИИ С ОБЩЕСТВОМ В СЕТИ ИНТЕРНЕТ. Прангишвили А., Квиркашвили С., Намичеишвили О.Г. 7
- ATLAS-01 დეფექტოს გაგნიტური ღეროს გათვალისწილები პლატფორმი პედალით ანალიზი. ალექსანდრე შარმაზანაშვილი, ნიკო ცუცქირიძე, არჩილ სურმავა, ბესიკ კეკელია // COMPARATIVE ANALYSIS OF GEOMETRIC DESCRIPTIONS OF COILS OF ATLAS DETECTOR. Alexander Sharmazanashvili, Niko Tsutskiridze, Archil Surmava, Besik Kekelia // СРАВЛИТЕЛЬЧОЙ АНАЛИЗ ГЕОМЕТРИЧЕСКИХ ОПИСАНИЙ МАГНИТНЫХ КАТУШЕК ДЕТЕКТОРА АТЛАС. Шармазанашвили А., Цуцкиридзе Н., Сурмава А., Кекелия Б. 13
- უკილოტო მოვისულდა ტრანსპორტის მოდელირება და მართვა. ბადრი მეფარიშვილი, გულნარა ჯანელიძე // UNMANNED GROUND VEHICLES MODELING AND CONTROL. Meparishvili Badri, Janelidze Gulnara // МОДЕЛИРОВАНИЕ И УПРАВЛЕНИЕ БЕСПИЛОТНОГО НАЗЕМНОГО ТРАНСПОРТА. Мепаришвили Б., Джанелидзе Г. 23
- აონაცვათა ბლოკის დაზივვის პრასტანდარტული სიმეტრიული პრინციპი-ალგორითმი. ვასილ კუციავა, ანა კუციავა, გიორგი გოგოლაძე // NONSTANDARD BLOCK-STRUCTURED SYMMETRICAL CRYPTO ALGORITHM. Vasil Kusiava, Ana Kutsiava, Giorgi Gogoladze // НЕСТАНДАРТНЫЙ БЛОЧНЫЙ СИМЕТРИЧНЫЙ КРИПТОАЛГОРИТМ ДЛЯ ШИФРОВАНИЯ ДАННЫХ. Куциава В.А., Куциава А.В., Гоголадзе Г.Н. 30
- ვარიაციული ამოცანები განაცილებულარამერების აკონტაბული სისტემაზე. ნოდარ ნარიმანაშვილი // VARIATIONAL PROBLEMS IN ECONOMIC SYSTEMS WITH DISTRIBUTED PARAMETERS. Narimanashvili Nodar // ВАРИАЦИОННЫЕ ЗАДАЧИ В ЭКОНОМИЧЕСКИХ СИСТЕМАХ С РАСПРЕДЕЛЕННЫМИ ПАРАМЕТРАМИ. Нариманашвили Н. 38
- კერსფის მაჩვენებლის გამოთვლა კომანდის ვასის დინამიკისათვის. ნანა ბიჩენოვი // CALCULATION OF HURST EXPONENT FOR DYNAMICS OF COST OF THE COMPANY. Bichenovi Nana // ВЫЧИСЛЕНИЕ ПОКАЗАТЕЛЯ ХЕРСТА ДЛЯ ДИНАМИКИ СТОИМОСТИ КОМПАНИИ. Биченова Н. 42
- აქციების ვარჩევა ჰორნის კონსეფტის მაჩვენებლის გამოყენებით და სავოდო ბაზრის ვრაპტალური ანალიზი. ლაშა გურგენიძე // PICKING UP STOCK SHARES BY MEANS OF HURST EXPONENT AND FRACTAL ANALYSIS OF THE STOCK MARKET. Lasha Gurgenidze // ВЫБОР АКЦИИ С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ ПОКАЗАТЕЛЯ ХЁРСТА ФРАКТАЛЬНЫЙ АНАЛИЗ ФОНДОВОГО РЫНКА. Гургенидзе Л. 46

პრაკტიკული ინფორმაცია – PRACTICAL INFORMATIC – ПРАКТИЧЕСКАЯ ИНФОРМАТИКА

- სასრავლო პროცესის მართვაში გლობალური საშაქებების გამოყენების ზოგიერთი ასპექტი. ლევან მაცაბერიძე, ზაზა მაცაბერიძე, ნათა კირკიტაძე // SOME ASPECTS OF THE USE OF ELECTRONIC CAPABILITIES FOR THE MANAGEMENT OF LEARNING PROCESS. Imnaishvili Levan, Matsaberidze Zaza, Kirkitadze Natia // НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ ИСПОЛЬЗОВАНИЯ ЭЛЕКТРОННЫХ ВОЗМОЖНОСТЕЙ В УПРАВЛЕНИИ УЧЕБНЫМИ ПРОЦЕССАМИ. Имнаишвили Л., Мацаберидзе З., Кирkitадзе Н.Г. 50

- რეალური დროს მოდელირება ბიზნესპროცესების მართვისას. ოქმურაშვილი // MODELING OF REAL TIME AT MANAGEMENT OF BUSINESS PROCESSES. Sukhiashvili Teimuraz // МОДЕЛИРОВАНИЕ РЕАЛЬНОГО ВРЕМЕНИ ПРИ УПРАВЛЕНИИ БИЗНЕС-ПРОЦЕССАМИ. Сухиашвили Т.
- ვებ-სერვისების გროვდინაციის მართვა ბიზნეს-პროცესების უსრულებელი მინიჭებულებების გაცემა. ეკატერინა თურქა, დავით ქალაშვილი // MANAGEMENT OF WEB SERVICES COORDINATION VIA BUSINESS-PROCESS EXECUTION LANGUAGE. Ekaterine Turkia, David Kaliashvili // УПРАВЛЕНИЕ КООРДИНАЦИЕЙ ВЕБ-СЕРВИСАМИ НА БАЗЕ ЯЗЫКА ИСПОЛНЕНИЯ БИЗНЕС-ПРОЦЕССОВ. Туркия Е., Калиашвили Д.
- პროექტის უსრულებელი მარატიული მართვა. გულბათ ნარეშელაშვილი, თამაზ შეროზია, იოსებ ნაცვლიშვილი // OPERATING PERFORMANCE OF THE PROJECT MANAGEMENT. Nareshelashvili Gulbaat, Sherozia Tamaz, Nacvlishvili Ioseb // ОПЕРАТИВНОЕ УПРАВЛЕНИЕ ВЫПОЛНЕНИЕМ ПРОЕКТА. Нарешелашвили Г., Шерозия Т., Нацвлишвили И.

ტექნიკური ინფორმაცია – COMPUTER ENGINEERING – ТЕХНИЧЕСКАЯ ИНФОРМАТИКА

- უსაღებო ქსელები გამოყენებული მოდულების ტექნიკის და აუთენტიფიკაციის მექანიზმების განხილვა. გორგი გამდლიშვილი, ვლადიმერ ადამია // REVIEW OF USED MODULATION TECHNIC IN WIRELESS NETWORKS AND AUTHENTIFICATION MECHANISMS. Gamdlishvili Giorgi, Adamia Vladimer // ОБЗОР ТЕХНИКИ МОДУЛЯЦИИ В БЕЗПРОВОДНЫХ СЕТЯХ И МЕХАНИЗМОВ АУТЕНТИФИКАЦИЙ. Гамдлишвили Г., Адамия В.
- ლობლოვანი გამოთვლების ტექნიკური გამოყენება მარკეტინგი. ომარ გაბედავა, სიმონ პოჩოვანი, ნინო გაბედავა, გორგი სებისკვერაძე // USING CLOUD COMPUTING TECHNOLOGY IN MARKETING. Gabedava Omar, Pochovyan Simon, Gabedava Nino, Sebisikveradze Giorgi // ИСПОЛЬЗОВАНИЕ ТЕХНОЛОГИИ ОБЛАЧНЫХ ВЫЧИСЛЕНИЙ В МАРКЕТИНГЕ. Габедава О.В., Почовян С.М., Габедава Н.О., Себискверадзе Г.Н.
- ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამედროვე ტექნილოგიები მართვის ავტომატიზებულ სისტემებში. სიმონ პოჩოვანი, ომარ გაბედავა // INFORMATION SECURITY MODERN IT FOR AUTOMATED MANAGEMENT INFORMATION SYSTEMS. Pochovyan Simon, Gabedava Omar // СОВРЕМЕННЫЕ ИТ ОБЕСПЕЧЕНИЯ БЕЗОПАСНОСТИ ИНФОРМАЦИИ В АСУ. Почовян С.М., Габедава О.В.
- სამედიცინო ინიციატივის აკარატურული მოწყობილობების უსაფრთხოების დონის განვითარების ავაღებელის კლასიფიკაცია. ლილი პეტრიაშვილი, ნათა გოგილიძე // HARDWARE SECURITY CLASSIFICATION LEVEL INDICATOR RAISING IN MEDICAL ENGINEERING Petriashvili Lily, Gogilidze Natia // ПОВЫШЕНИЕ УРОВНЯ БЕЗОПАСНОСТИ ИНДИКАТОРА КЛАССИФИКАЦИИ, В МЕДИЦИНСКИХ АППАРАТНЫХ ОБОРУДОВАНИИ. Петриашвили Л., Гогилидзе Н.
- მიკროკონტროლერი ავტომატური მოწყვვის სისტემა. ოთარ ქართველიშვილი // MICRO CONTROLLER IN AUTOMATIC PLANT WATERING SISTEM. Kartvelishvili Otar // МИКРОКОНТРОЛЛЕР В СИСТЕМЕ АВТОМАТИЧЕСКОГО ПОЛИВА РАСТЕНИЙ. Картвелишвили О.М.

- 60242018 ტეხნოლოგია და ტექნიკურის გამოსაზღვრები მიკროპროცესორული მობილური ხელსახური. ზაალ აზმაიფარაშვილი, სოფიკო კოლომიკოვი, ვლადიმერ ფადიურაშვილი, ზურაბ ჯოხარიძე // MOBILE MICROPROCESSOR DEVICES FOR THE MEASUREMENT OF SOIL MOISTURE AND TEMPERATURE. Azmaifarashvili Zaal, Kolomikovi Sophiko, Padiurashvili Vladimer, Djoxaridze Zurab // МОБИЛЬНОЕ МИКРОПРОЦЕССОРНОЕ УСТРОЙСТВА ДЛЯ ОПРЕДЕЛЕНИЯ ВЛАГИ И ТЕМПЕРАТУРЫ ПОЧВ. Азмайпаришвили З., Коломикови С., Радиурашвили В., Джохаридзе З.

97

გამოყენებითი ინფორმატიკა – APPLIED INFORMATICS – ПРИКЛАДНАЯ ИНФОРМАТИКА

- 065200000 ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების დაცვა და არსებული პრობლემები საქართველოში. თამარ მენაბდე // INTELLECTUAL PROPERTY RIGHTS AND PROBLEMS IN GEORGIA. Menabde Tamar // ЗАЩИТА ПРАВ ИНТЕЛЛЕКТУАЛЬНОЙ СОБСТВЕННОСТИ И СУЩЕСТВУЮЩИЕ ПРОБЛЕМЫ В ГРУЗИИ. Менабде Т.

101

- პროექტაციური რისკების არცვესების ანალიზის ანალიტიკური ავტომატიზებული მეთანოლის დამუშავება. ეკატერინე თურქია, ნატო // IMPROVEMENTS OF ANALYTICAL AUTOMATED TOOLS FOR ANALYSIS OF CORRELATED RISK PROCESSES. Turkia Ekaterine, Morozi Nato // ОБРАБОТКА АНАЛИТИЧЕСКИХ АВТОМАТИЗИРОВАННЫХ ИНСТРУМЕНТОВ ДЛЯ АНАЛИЗА ПРОЦЕССОВ КОРРЕЛЯЦИОННЫХ РИСКОВ. Туркия Е., Морози Н.

105

- ოფტალმოლგიურ პოვანიაზი პერსონალის შერჩევისა და პოვანებურობის განსაზღვრის ტექნიკური. გულნარა ჯანელიძე, ბადრი მეფარიშვილი, თამარ მეფარიშვილი // TECHNOLOGY OF STAFF RECRUITMENT AND DETERMINATION OF COMPETENCE IN THE COMPANY. Janelidze Gulnara, Meparishvili Badri, Meparishvili Tamar // ТЕХНОЛОГИЯ ПОДБОРА ПЕРСОНАЛА И ОПРЕДЕЛЕНИИ КОМПЕТЕНТНОСТИ В КОМПАНИИ. Джанелидзе Г., Мепаришвили Б., Мепаришвили Т.

111

- უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლის დაღებირების მართვა პოვანიაზი. გულნარა ჯანელიძე, ქეთევნ მეფარიშვილი // MANAGEMENT OF DELEGATION OF POWER AND RESPONSIBILITY IN COMPANY. Janelidze Gulnara, Meparishvili Qetevan // УПРАВЛЕНИЕ ДЕЛЕГИРОВАНИЕМ ПОЛНОМОЧИЙ И ОТВЕТСТВЕННОСТИ В КОМПАНИИ. Джанелидзе Г., Мепаришвили К.

116

- პროგრამა Maple-ს შესაძლებლობები და მისი გამოყენება გათვალისწინებული სფეროების საკითხებში. მაია ქევხიშვილი, ელენა კამკამიძე, ლია გაჩეჩილაძე // CAPACITIES OF SOFTWARE MAPLE AND ITS USE IN THE MATTERS RELATED TO TEACHING OF MATHEMATICS. Kevkhishvili Maia, Kamkamidze Elena, Gachechiladze Lia // ВОЗМОЖНОСТИ ПРОГРАММЫ MAPLE И ЕЕ ПРИМЕНЕНИЕ В ВОПРОСАХ ОБУЧЕНИЯ МАТЕМАТИКИ. Кевхишили М., Камкамидзе Е., Гачечиладзе Л.

121

- მატრიცისა და ვექტორის გამრავლების სრავლების პროგრამული საწვრინებლის განვითარება. ლია გაჩეჩილაძე // DEVELOPMENT OF SOFTWARE SIMULATOR FOR TRAINING MATRIX-VECTOR MULTIPLICATION. Gachechiladze Lia // РАЗРАБОТКА ПРОГРАММНОГО ТРЕНАЖЕРА ДЛЯ ОБУЧЕНИЯ УМНОЖЕНИЮ МАТРИЦЫ НА ВЕКТОР. Гачечиладзе Л.Г.

125

- საჭარო ვირას მოგანებაციულ-ტექნიკური დონის და საპრედიტო რისკების შევასების მოდელები და ათორდები. გაა სურგულაძე, ციური ფხავაძე // MODELS AND METHODS FOR ASSESSING ORGANIZATIONAL-TECHNICAL LEVEL AND CREDIT RISKS OF A MANUFACTURING COMPANY. Pkhakadze Tsiuri // МОДЕЛИ И МЕТОДЫ ОЦЕНКИ ОРГАНИЗАЦИОННО-ТЕХНИЧЕСКОГО УРОВНЯ ПРОИЗВОДСТВА И КРЕДИТНЫЙ РИСКОВ. Сургуладзе Г., Пхакадзе Ц. 128
- სასამართლო ბაზის გადახდის პროცესის დაპროექტება ბიზნეს-ლეგაცის მოდელირების მინის ბაზაზე. ეკატერინა თურქა, დავით ქალაშვილი // ENGINEERING OF THE FEE PAYMENT PROCESS IN THE COURT SYSTEM BASED ON BUSINESS-RULES MODELING LANGUAGE. Ekaterine Turkia, David Kaliashvili // ПРОЕКТИРОВАНИЕ ПРОЦЕССА ОПЛАТЫ СУДЕБНОГО СВОРА НА БАЗЕ ЯЗЫКА МОДЕЛИРОВАНИЯ БИЗНЕС-ПРАВИЛ. Туркия Е., Калиашвили Д. 143
- ვორიან გამარჯი სიონის ვილტრაციის ვრაქტალური მოდელები. დაჩი ჯანელიძე // FRACTAL REPRESENTATION OF FLUID FLOW INTO POROUS MEDIA. Dachi Janelidze // ФРАКТАЛНЫЙ МОДЕЛЬ ФИЛЬТРАЦИИ ЖИДКОСТЕЙ В ПОРИСТЫХ СРЕДАХ. Джанелидзе Д. 148
- ბიზნეს პროცესების ავტომატიზაცია SHAREPOINT DESIGNER-ის საშუალებით. ნინო თოფურია, მაკა ლომიძე // AUTOMATING BUSINESS PROCESSES ON THE BASES OF SHAREPOINT DESIGNER. Topuria Nino, Lomidze Maka // АВТОМАТИЗИРОВАННОЕ БИЗНЕС-ПРОЦЕССОВ НА БАЗЕ SHAREPOINT DESIGNER. Топурия Н., Ломидзе М. 156
- საკონტროლო ნივთების მოზღვება ლაბორატორიათა ვორიანის გამოვლების ჩასატარებლად. ნოდარ აბელაშვილი, ნიკა აბელაშვილი // PRODUCTION OF THE MONITORING SAMPLES FOR INTERLABORATORY TESTS. Abelashvili Nodar., Abelashvili Nika // ИЗГОТОВЛЕНИЕ КОНТРОЛЬНОГО ОБРАЗЦА ДЛЯ ПРОВЕДЕНИЯ МЕЖЛАБОРАТОРНЫХ ИСПЫТАНИЙ. Абелашвили Н., Абелашвили Н. 161
- საინფორმაციო საზოგადოება და კიბერუსაზროვანების სტრატეგია. დავით ბურჭულაძე, გიორგი მაისურაძე, თამარ ქიტაშვილი // Information Society and Cyber Security. Burchuladze David, Maisuradze Giorgi, Kitiashvili Tamar // Информационное общество и информационная безопасность. Бурчуладзе Д., Майсурадзе Г., Китиашвили Т. 168
- ინფორმაცია და კიბერუსაზროვანების სტრატეგია. დავით ბურჭულაძე, თამარ ქიტაშვილი // Cyber security strategy of Georgia. Burchuladze David, Kitiashvili Tamar // Стратегия Кибер-безопасности Грузии. Бурчуладзе Д., Китиашвили Т. 173
- კაპეტების IP-ვრაგენტაცია და 2010 რეალიზაცია შემავალი ICMP პროტოკოლის აპრალის უვალევაზე. ნიკოლოზ ბჯალავა, ლევან ჭოლიკიძე, კონსტანტინ ოვსიანიკოვი // PACKET IP-FRAGMENTATION AND ITS IMPLEMENTATION IF INCOMING ICMP PROTOCOL IS PROHIBITED. Bzhalava Nikoloz, Cholikidze Levan, Ovsianikov Konstantin // IP-ФРАГМЕНТАЦИЯ ПАКЕТОВ И ЕГО РЕАЛИЗАЦИЯ ПРИ ЗАПРЕТЕ ВХОДНОГО ICMP ПРОТОКОЛА. Бжалаева Н., Чоликидзе Л., Овсяников К. 183
- ათენატიკური მოდელი და არგუმენტაციის თეორია სახეობა გამოცემისთვის გულტიაბენტებაზე დაფუძნებული არქიტექტურით. ზურაბ ბოსიკაშვილი, გიორგი არჩვაძე // MATHEMATIC MODEL AND ARGUMENTATION THEORY WITH MULTI AGENT BASED ARCHITECTURE FOR PATTERN RECOGNITION. Bosikashvili Zurab, Archvadze Giorgi // МАТЕМАТИЧЕСКАЯ МОДЕЛЬ И ТЕОРИЯ АРГУМЕНТАЦИИ ДЛЯ РАСПОЗНАВАНИЯ ОБРАЗОВ С АРХИТЕКТУРОЙ НА МУЛЬТИАГЕНТНОЙ ОСНОВЕ. Босикашвили З., Арчвадзе Г. 187

მირითადი საკომუნიკაციო საჟუალებაზე საზოგადოებასთან ურთიერთობისას ინტერვენტი

არჩილ ფრანგიშვილი, სალომე კვირიკაშვილი, ოლეგ ნამიჩევიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ინტერნეტში საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითადი საშუალებებია: ვებ-გვერდი, ონლაინ ღონისძიებები, ახალი ამბების დაგზავნა ონლაინ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (მის-ში), ონლაინ ინტერვიუ და პრესკონფერენცია, ინტერნეტ-ტრანსლაცია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთქმდება ინტერნეტში ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ტრადიციული ურთიერთობა მის-თან და თითქმის იმავე სქემით მიმდინარეობს. საზოგადოებასთან კავშირს შეიძლება ხელი შეუწყოს შემდეგი ფაქტორების განვითარებამ: ინფორმირების დონის ამაღლებამ, მასალის საკუთარ ვებ-გვერდზე განთავსებამ, ინტერნეტ-მის-ის მიერ სტატიის გამოქვეწნებამ, რაც გამოიწვევს ყურადღების მიცევას ფირმის, პროდუქტის და იდეის მიმართ. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ აღნიშნული საშუალებები წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტურ ღონისძიებებს, რაც ასე ფართოდ არის აპრობირებული მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში.

საკვანძო სიტყვები: პრესკონფერენცია (საზოგადოების ფართო წრებისთვის ინფორმაციის მიწოდება), ონლაინ ინტერვიუ (ინტერნეტის გამოყენებით რესპონდენტთან საუბარი), ონლაინ პრომოუშენი (ინტერნეტის საშუალებით საკუთრი პროდუქტის რეკლამირება)

1. შესავალი: ვებ-გვერდი

მარკეტინგული თვალსაზრისით საიტი - ინფორმაციული ბლოკებისა და სამიზნე აუდიტორიაზე ზემოქმედების მოხდენის ინსტრუმენტთა ნაკრებია, რომელიც შეიძლება წარვეზებით პოტენციურ კლიენტებს, პარტნიორებს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს. ამიტომ ის, თუ როგორი იქნება ინფორმაცია, რა კუთხით იქნება იგი წარდგენილი და აგრეთვე საიტის დიზაინი პირდაპირ კავშირშია სამიზნე აუდიტორიასა და მასთან მისატნ ინფორმაციასთან, გამოსავლინებელ შესაძლებლობებთან. სასურველია, რომ საიტის მისამართი, ანუ დომენის სახელი, იყოს მოკლე, ადვილად დასამახსოვრებელი და ასახავდეს კომპანიის სახელს ან მის საქმიანობას. მაშინ იგი ფასეული რესურსი გახდება, მაგალითად, სარეკლამო კომპანიის ჩატარების დროს.

ორგანიზაციისთვის კორპორაციული ვებ-საიტის განკარგვა უკვე უბრალოდ პრესტიულის საქმე კი არ არის, არამედ აუცილებლობაა. „თუ არ ხართ წარმოდგენილი ინტერნეტში, უბრალოდ არ არსებობთ“ - ამ ფრაზით შეიძლება აღიწეროს ვებ-გვერდის მნიშვნელობა ორგანიზაციისთვის, თუნდაც მისი საქმიანობა არ უკავშირდებოდეს საინფორმაციო ტექნოლოგიებს და ინტერნეტ-გაყიდვებს. ქსელში ორგანიზაციების მოხსენიებისას კეთდება ბმული მის საიტზე. კითხვა - „საჭიროა თუ არა საიტი?“ - უკვე აღარ დგას, პრობლემა იმას უკავშირდება, თუ როგორ გავხადოთ საიტი მაქსიმალურად ეფექტური კომუნიკაციის წარმატებისა და იმიჯზე კარგი გავლენის მოხდენის თვალსაზრისით. ამიტომ საიტის შექმნა და მასზე არსებული ინფორმაციის განახლება, წარმოადგენს ინტერნეტში პიარ-მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია უკუკავშირის არსებობა. პირველ რიგში ეს საშუალებას მისცემს კლიენტს ოპერატორად დაუკავშირდეს კომპანიას ელფოსტის საშუალებით, ხოლო მეორე რიგში საშუალებას მისცემს თავად კომპანიას გამოავლინოს შემხვედრი რეაქცია (ელფოსტის მიღების შემდეგ, როგორც წესი, შეტყობინებას პასუხი უნდა გაეცეს რამდენიმე საათში).

კორპორაციული საიტების გარდა, ასევე იქმნება მიკროსაიტები. ეს შეიძლება იყოს რამე

პროდუქტისადმი მიძღვნილი საიტი, სადაც განთავსებული იქნება დაწვრილებითი ინფორმაცია ამ პროდუქტან და მისი შეძენის ხერხებთან დაკავშირებით (მაგალითად blendamed.ru), პრომო-საიტი სპეციალური წინადადებებით, საიტი სპეციალური პროექტით ან მოვლენით (მაგალითად, perepis2002.ru). კრიზისულ სიტუაციაში შეიძლება ასევე შეიქმნას საიტი, სადაც დეტალებში გაშუქდება პრობლემა და აგრეთვე ის ზომები, რომელიც მის აღმოსაფხვრელად გამოიყენება, ასევე ექსპერტების დასაბუთებული მოსაზრებები ამ საკითხზე.

როგორც პიარის იარაღი საიტი წარმოადგენს მოხერხებულ არსებ სამიზნე აუდიტორიამდე ინფორმაციის მისატანად და მის შესასწავლად. გარდა ამისა, იგი იძლევა საშუალებას შევაგროვოთ სტატისტიკა მომხმარებლებზე, დავხატოთ ჩვენი აუდიტორიის პორტფელი, რაც საშუალებას მოგვცემს ყველაზე უფრო ადექტურად შევადგინოთ შეტყობინება და გადავლახოთ საკომუნიკაციო ჯებირები. მაგალითად, კომპანიას შეუძლია ინფორმაციის ზოგიერთი სახეობა მიაწოდოს მხოლოდ დარეგისტრირებულ მომხმარებლებს. რეგისტრაციისთვის კი საკმარისია მოკლე ანგეტის შევსება, როგორც ეს, მაგალითად, www.tnisi.gov.ge. პორტალზე ხდება. პორტალზე არსებობს დარეგისტრირებული ვაზიტორების მონაცემთა ბაზა, რომელიც ასახავს კონტრეტულ ინფორმაციას, პროფესიულ მიღრეკილებებს, მოცემული ინტერნეტ-საშუალები სტატუსს. შემდეგ ზორციელდება მუშაობა თანამშრომლობის დონეზე: ვიზიტორს შეიძლება სთხოვონ კომენტარის გაკეთება რომელიმე მოვლენაზე, მონაწილეობის მიღება რესპონდენტის სახით გამოკითხვაში, საკმარისი კომპეტენციის არსებობის შემთხვევაში კი - სტატიის დაწერა პორტალისათვის.

შევენიერი სვლა იქნება საიტზე საკუთარი გზავნილების სიის შემოღებაც (მაგალითად, საგამომცემლო ჯგუფის „საქმე და სერვისის“ უფასო გზავნილები თემაზე „ყველაფერი მარკეტინგზე: თეორია და პარტიკა“, სადაც წინასწარ გაცხადდება ახალი წიგნების გამოჩენა ბიბლიოთეკაში). ამ სვლას მაშინ აქვს აზრი, თუ კომპანიაში არის თანამშრომელი, რომელსაც შეუძლია რეგულარულად მომზადოს სამიზნე აუდიტორიაზე გათვლილი საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი მასალები.

მას შემდეგ, რაც საიტი განთავსდება ინტერნეტში, საჭიროა მისი დარეგისტრირება კატალოგებში (სასურველია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კატალოგების შერჩევა). ასევე საჭიროა კომპანიის მიერ ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციის გაღრმავება, გაფართოება, რაც გაზრდის ინფორმაციას კომპანიის საიტის შესახებ, რადგან საძიებო მანქანები თემატური კითხვის დასმისას ამ საიტს მიუთითობს. ეს კი საშუალებას მისცემს კომპანიას ზეგავლენა მოახდინოს ინფორმაციაზე, რომელიც მომხმარებლისათვის სანტერესო საბაზო სეგმენტს შეეხება ინტერნეტში. ეს ქმედებები გაზრდის აღბათობას, რომ ჟურნალისტები და კლიენტები, რომლებიც ეძებენ ინფორმაციას კომპანიებზე, იპოვიან ამ კომპანიის შესახებ კონტრეტულ და მომზადებულ ინფორმაციას. ამით კომპანიის კონკურენტებს შეუმცირდება პოპულარობა.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთქმედება ინტერნეტში ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ტრადიციული ურთიერთობა საინფორმაციო საშუალებებთან და მსგავსი სქემით ხორციელდება. ინტერნეტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები შემდეგი ფორმით არის წარმოდგენილი: გამოცემები, რომლებიც მხოლოდ ელექტრონული სახით არსებობს (მაგალითად, lenta.ru); გამოცემები, რომლებიც ახდენს ბეჭდური ვერსიების დუბლირებას (მაგალითად, trud.ru) და გამოცემები, რომლებსაც სპეციალური ინტერნეტ-ვერსიები გააჩნია (cosmopolitan.ru). თუ ადრე ბეჭდურ და ელექტრონულ საშუალებებს შორის გადაუღალახვი უფსკრული იყო, ახლა შეიმჩნევა ტენდენცია მათი ინტეგრაციისკენ. უფრო მეტიც, მრავალი ყოველდღიური შეხვედი გამოცემა (მაგალითად, გაზეთი „რეზონანსი“) თავის ვებ გვერდზე ათავსებს გაზეთის ელექტრონულ ვერსიას ბეჭდური ვერსიის გამოსვლისთანავე. ახლა პერიოდული გამოცემის

გამოწერის დროს მომხმარებელს აქვს საშუალება აირჩიოს გამოწერის ბეჭდური ან ელექტრონული ვერსია. ინტერნეტ საინფორმაციო საშუალების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ გამოცემაში ინფორმაცია ძალიან სწრაფად ხდება, ვინაიდან სტატიის ან ინფორმაციის გამოქვეყნებას სულ რამდენიმე წუთი ესაჭიროება და იგი შესაძლებელია დროის ნებისმიერ მომენტში განთავსდეს ინტერნეტში. ამის შემდეგ კი ხორციელდება მასალის ტირაჟირება მასობრივი ინფორმაციის ტრადიციულ საშუალებებში.

2. ონლაინ პიარ-ღონისძიებები

ონლაინ და ტრადიციული პიარ-ღონისძიებები ძალიან ჰქონიანი ერთმანეთს. ონლაინ ღონისძიებები არ საჭიროებს შენობის იჯარას, კეიტერინგს (ინგლ. catering – საზოგადოებრივ კვებას, რომელიც დაკავშირებულია გასვლითი წარმოების ან/და გასვლითი სარესტორნო მომსახურების გაწევასთან) და სხვა ამდაგვარ რაიმეს. ხშირად ონლაინ მოქმედებებს არ შეუძლია შეცვალოს „ცოცხალი“ პიარ ღონისძიებები - ისინი უბრალოდ აკეთებს მათ. იმის გადასაწყვეტად, თუ როგორ და სად უნდა იქნას გამოყენებული ეს ინსტრუმენტი, ხელმძღვანელობამ უნდა გაარკვიოს თავისი კომერციული მიზანი, ამოირჩიოს კავშირის საშუალებები, გულმოდგინედ შეიძუშაოს გეგმა და ღონისძიების დამთავრების შემდეგ გააანალიზოს შედეგები.

საზოგადოებასთან კავშირს მრავალი ფაქტორი უწყობს ხელს. მაგალითად, ინფორმირების დონის ამაღლება შეიძლება მოხდეს მასალის საკუთარ ვებ-გვერდზე განთავსებისა და ინტერნეტ საინფორმაციო საშუალებათა მიერ სტატიის გამოქვეყნების გზით, რაც გამოიწვევს ყურადღების გადატანას ფირმაზე, მის პროდუქტზე და იდენტზე. ნდობის გამყარება, ნდობის მოპოვება - ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ინტერნეტ-სივრცეში, რადგან ამ დროს არ არსებობს გამყიდველის და მყიდველის რეალურად ურთიერთობის საშუალება, გამომდინარე ურთიერთობის ვირტუალური ბუნებიდან. ამ ნდობას შემდეგი გზები ამჟარება:

- ინფორმაციის განთავსება და მუდმივი განახლება ვებ-გვერდზე, კომპანიასთან ურთიერთქმედების ინტერაქტიური საშუალებების შექმნა, სტატიების გამოქვეყნება სხვა რესურსებზე, ნდობის გამყარება მომხმარებლის ფართო ინფორმირებულობით;
- გასაღების სტიმულირება - საზოგადოებასთან ურთიერთობის ღონისძიებებმა შეიძლება გააუმჯობესოს გასაღების მაჩვენებელი, მოახდინოს შუამავლების მუშაობის სტიმულირება, კომპანიის დილერების გაუათმაგდებათ ენთუზიაზმი;
- გასაღების სტიმულირებაზე ხარჯების შემცირება - ინტერნეტში საზოგადოებასთან ურთიერთობაზე ხარჯი გაცილებით მცირეა, ვიდრე მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ტრადიციული მეთოდების გამოყენებისას ან ინტერნეტში რეკლამის ორგანიზებისას, თანაც, რაც უფრო მცირე თანხებია გამოყოფილი გასაღების სტიმულირებისთვის, მით უფრო მიზანშეწონილია საზოგადოებასთან კავშირის გამოყენება.

სახელმობრ, საზოგადოებასთან კავშირის გასაღრმავებლად ინტერნეტით შემდეგი ძირითადი საშუალებები გამოიყენება:

- მასალების ან ახალი ამბების განთავსება ინტერნეტ საინფორმაციო საშუალებებში, საინფორმაციო სააგენტოებსა და ტრადიციული საინფორმაციო საშუალებების ვებ-გვერდებზე და ქსელური მიმოშეიღველების ინფორმაციულ რესურსებზე, სპეციალიზებულ და თემატურ სერვერებზე;
- ინტერნეტით ურთიერთქმედება ტრადიციულ საინფორმაციო საშუალე ბებ თან;
- მუშაობა აუდიტორიასთან კონფერენციებში;
- ინტერნეტ-ტრანსლაცია;
- კომპანიის სპონსორული მხარდაჭერა.

3. ახალი ამბების დაგზავნა ონლაინ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში

ონლაინ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში ახალი ამბების დაგზავნისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აქ ისეთივე კანონები მოქმედებს როგორიც მასობრივი ინფორმაციის ბეჭდურ საშუალებებში. საჭიროა ძალიან ზუსტად განისაზღვროს, რომელ გამომცემლობას დააინტერესებს კომპანიის ახალი ამბები და ვის გავუგზავნოთ რედაქციაში ეს მასალა. არ შეიძლება მარაოს მსგავსი გზაგვილებით სარგებლობა. უნდა გვგავსოდეს, რომ ონლაინ გამომცემლობების ურნალისტები, მათი ბეჭდური მასობრივი საინფორმაციო საშუალებების კოლეგების მსგავსად, იღებენ ათეულ ახალ ამბავს კომპანიიდან, მაგრამ ამ მასალიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ხდება მომავალი პუბლიკაციების წყარო. მარაოს მსგავსი გზავნილებით სარგებლობისას კომპანია რისკავს დაკარგოს ურნალისტების ნდობა და ნამდვილად მნიშვნელოვანი ინფორმაცია აღმოჩნდება უსარგებლო პრეს-რელიზების მიღმა. ონლაინ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან ეფექტური ურთიერთობისთვის საჭიროა შევადგინოთ ურნალისტთა ზუსტი ბაზა გამომცემლობის მითითებით და სარედაქციო პოლიტიკის მცირე მიმოხილვით. აუცილებელია მივუთითოთ თემაც, რომლებზეც მუშაობს ურნალისტი და შევიტანოთ ბაზაში ამ ურნალისტის ადრე გამოქვეყნებული პრეს-რელიზი ან სტატია კომპანიასთან დაკავშირებით. ასეთი ბაზის არსებობისას მომავალში პრეს-რელიზის გზავნილების სიის შედგენა ძალიან ადვილება. პრეს-რელიზის უშუალოდ ელფოსტით გაგზავნისას საჭიროა მივუთითოთ თემაში პრეს-რელიზის მოკლე დასახელება. არ უნდა ვისარგებლოთ მიმაგრებული ფაილებით: უკეთესია თუ პრეს-რელიზის მოვათავსებთ ელექტრონული წერილის ფარგლებში. ნებისმიერი „მძიმე“ სურათი და პრეზენტაცია მხოლოდ მას შემდეგ უნდა გაიგზავნოს, რაც გამოხატული იქნება თანხმობა ამ გზავნილის მიღებაზე.

4. ონლაინ ინტერვიუ და პრესკონფერენცია

მრავალი ონლაინ მასობრივი საინფორმაციო საშუალება და ინტერნეტ-პორტალი იყენებს ქსელში ტრანსლირებულ ინტერვიუს კომპანიის წარმომადგენლებთან, პოლიტიკურ და სახელმწიფო პირებთან და სხვებს. მაგალითად, არაერთი ინტერნეტ-გაზეთის რედაქცია თავის მკითხველებს ასეთ ღონისძიებებზე 2-3 კვირით ადრე აფრთხილებს ხოლმე. ამ პერიოდის განმავლობაში მკითხველებს შეუძლიათ გაგზავნონ თავიანთი შეკითხვები ელექტრონული ფოსტით ან დაუსვან შეკითხვები ინტერვიუერს უშუალოდ ტრანსლაციის დროს. როგორც წესი, იგი ერთი საათის განმავლობაში 10-15 შეკითხვას პასუხობს. ონლაინ-ინტერვიუ პიარის საკმაოდ გავრცელებული სახეა. მას განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ პოლიტიკოსები და იმ კომპანიის დირექტორები, რომლებიც მასობრივ ბაზარზე მუშაობენ (ფიჭური კავშირი, ბანკები და მისთანანი).

5. ონლაინ-პრომოუშენი

პრომოუშენი (ინგლ. promotion - სტიმულირება, ხელის შეწყობა) ფართო გაგებით არის ადამიანის სტიმულირება ყიდვის განსახორციელებლად, შემოქმედებითი წარმატების მისაღწევად და ა.შ. ონლაინ-პრომოუშენი აქტიურად გამოიყენება ბიზნესის ზოგიერთ სფეროში, მაგალითად, სათამაშო ბიზნესში. ქსელში შეიძლება უზარმაზარი რაოდენობით ინტერნეტ-საიტების პორნა, რომლებიც ეკრანზე ჯერ გამოუსვლელ ფილმებს ეძღვნება. როგორც წესი ასეთი საიტები შეიცავს თამაშებს, კონკურსებს, ინტერვიუებს მსახიობებთან და გადაღების მონაწილეთა მონათხობებს. კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ ყოველდღიური მოთხოვნილების საქონელს (ინგლ. FMCG - Fast Moving Consumer Goods), ასევე იყენებენ ინტერნეტ-პრომოუშენს. მაგალითად, საიტზე www.lipton.ru რამდენიმე ონლაინ-თამაშია, რომლებიც ჩაის პაკეტის თემატიკას ეხება, ტარდება რეგულარული კონკურსები, სადაც გამარჯვებულებს პრიზები გადაეცემა კომპანია ლიპტონისგან. აქვე მომხმარებლებს შეუძლიათ გადმოიწერონ სქრინსეივერები

(ინგლ. screensaver - ეკრანული თავსატულობა) და ეკრანის თემები, რომლებიც შესრულებულია ამ ბრენდის ყვითელ სტილში. ონლაინ-პრომოუშენი არ არის აუცილებელი, რომ კომპანიის საფირმო სერვერზე ჩატარდეს, მაგალითად 2002 წელს კომპანია Durex-მა ჩატარა ონლაინ-კონკურსი www.auto.ru-ს მომხმარებლებისთვის.

6. ინტერნეტ-ტრანსლაცია

ინტერნეტ-ტრანსლაცია საშუალებას იძლევა მიიპყროს მთელი მსოფლიოს ფურადღება გარევული ლოკალური მოვლენისადმი, რომელიც დედამიწის კონკრეტულ ადგილზე ტარდება. მაგალითად, www.mosinform.ru საიტზე რეგულარულად ტარდება მოსკოვის ხელისუფლების სხდომების პირდაპირი ტრანსლაციები. ხოლო ზოგიერთი ქვეყნის მთავრობა კიდევ უფრო შორს მიდის და დაუმთავრებელი შენობის სახურავიდანაც კი ახერხებს თავისი სხდომების პირდაპირ ტრანსლაციას.

7. კომპანიის სპონსორული შპარდაჭურა

სპონსორობაში იგულისხმება ფირმის მოღვაწეობა, რომელიც ხორციელდება თანამშრომლობის პრინციპზე - სპონსორი ეხმარება ფირმას ფინანსურად, მატერიალურად ან სხვაგვარად, ხოლო დაფინანსებული ფირმა ვალდებულებას იღებს დაეხმაროს სპონსორს წარმატების მიღწევასა და განვითარებაში, ასევე მისი მარკეტინგული მიზნების განხორციელებაში.

ინტერნეტის შემთხვევაში დაფინანსებულ ფირმას შემდეგი სახის მომსახურების გაწევა შეუძლია: წარმოადგინოს სპონსორის მასალები თავის საიტზე, საკუთარი რესურსების საშუალებით ჩატაროს სპონსორის სარეკლამო კამპანია და ა.შ. სპონსორის უშუალო მიზანი ამ შემთხვევაში საკუთარი აუდიტორიის გაზრდაა. მეორე მიზანია მარკის ცნობადობის ამაღლება, იმიჯის ფორმირება და კორექცია, საიტის მოყვარულ მომსმარებელთა ემოციური დამკიდებულების გადატანა წარმოებულ პროდუქტზე და მომსახურებაზე, ასევე მომსმარებელთან ურთიერთობის აქტიური ფორმირება. სპონსორობა განსხვავდება რეკლამის ჩვეულებრივი განთავსებისგან ვებ-საიტზე, უპირველეს ყოვლისა, ინტეგრაციის ხარისხით გამომცემელსა და სპონსორს შორის, ასევე მათ შორის ურთიერთქმედების დონით. სპონსორი მხოლოდ იმ აუდიტორიის ფურადღებას კი არ იპყრობს, რომელიც ამ საიტზე შემოღის, არამედ მნიშვნელოვნად აუმჯობესებს თავის იმიჯსა და ლოიალურობას საიტის მუდმივი აუდიტორიის თვალშიც, რადგან ინარჩუნებს ვიზიტორების მნიშვნელოვან რესურსს.

8. დასკვნა

ღირს კი საერთოდ პიარის ამ სახეობის გამოყენება პიარ-კამპანიის გეგმის დამუშავებისას? კიდევ ერთი კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემა შეუძლებელია მონაცემთა არარსებობის გამო.

მთავარი უპირატესობა ის არის, რომ ინტერნეტში მრავალი აქტიური ახალგაზრდაა, მასში ადგილია აუდიტორიის შეგროვება, საკუთრივ ქსელი წარმოადგენს არაფორმალურ გარემოს, ინფორმაციის წყაროსადმი ნდობა მეტია, ვიდრე ტრადიციული მასმედიის მიმართ. ინტერნეტში არსებობს მძლავრი უკუკავშირი. გამომცემელთა თითქმის 50 პროცენტს აქვს საკუთარი საიტი. უურნალისტების დიდი რაოდენობა სარგებლობს ელექტრონული ფოსტით, ამიტომ ქსელში მათი მიგნებაც უფრო ადვილია.

მთავარი ნაკლოვანება ის არის, რომ ინტერნეტის აუდიტორია შედარებით მცირეა, ხოლო საინფორმაციო რესურსებისა და სხვადასხვა სერვისების განვითარება არ არის დამაკმაყოფილებელი. უნდა ვიცოდეთ, რომ კონკრეტული საიტის ვიზიტორების რიცხვი ძალიან მცირეა, ხოლო მოსახლეობის გარკვეული ნაწილი საერთოდ არ შედის ინტერნეტში. ამიტომ პიარ-აქციის დაგეგმვისას ინტერნეტს უნდა მივმართოთ მოცემული ამოცანიდან გამომდინარე და ამისათვის აუცილებელია კონსულტანტების მოწვევა.

როდის გამოიყენება ონლაინ-ღონისძიებები? წებისმიერი ონლაინ პიარ-ღონისძიება უნდა იყოს კომპანიის პიარ-პოლიტიკის ნაწილი. ონლაინ პიარ-ღონისძიების ჩატარებამდე საჭიროა იმის შეფასება, თუ რამდენად ეფექტური იქნება იგი კომპანიისთვის: ექნება თუ არა სამიზნე აუდიტორიას ინტერნეტთან მუდმივი წვდომა, არის თუ არა საკმარისად სწრაფი ეს ინტერნეტი ვიდეო ტრანსლაციის მისაღებად ? ასევე საჭიროა გაირკვეს, ყვავს თუ არა კომპანიას აუდიტორია ინტერნეტში ან აქვს თუ არა კომპანიას ისეთი საქონელი ან მომსახურება, რომლითაც მსოფლიო ქსელის მომხმარებლები დაინტერესდებიან. საჭიროა მოვახერხოთ პილოტური (ინგლ. პილოტ - საცდელი, საჩვენებელი) ონლაინ პიარ-კომპანიის ჩატარება და, თუ მან დადებითი შედევი მოგვიტანა, თამამად ჩავრთოთ ინტერნეტ-ინსტრუმენტი მომავალ პიარ-კომპანიაში.

ლიტერატურა:

1. Кун Т.(2001). Структура научных революций. Пер.с англ. Сост. В.Кузнецов. - М., АСТ
2. Федотовских А.В. (2004). Организация и проведение кампаний в сфере связей с общественностью. Сибирский государственный аэрокосмический университет. Красноярск.
3. Почепцов Г.Г. (2003). Теория коммуникации. - М. : Рефл-бук ; Киев : Ваклер.

THE MAIN MEANS OF COMMUNICATION ON THE INTERNET PUBLIC RELATIONS

Prangishvili Archil, Kvirkashvili Salome, Namicheishvili Oleg
Georgian Technical University

Summary

Widespread communication tools in the history of the development of the modern world Internet constitutes a communication method. Interaction with mass media and the Internet is as important as its traditional relationship and being almost the same scheme. The following factors may contribute to the development of the Union: rising awareness , disposal of materials on its website , on the created by the publication of the article, which will lead the firm's attention, and the idea of the product. Finally, it can be said that the above-mentioned means of effective measures Relations Society, which is so widely practiced in the leading countries and in our country is a modern means of communication.

ОСНОВНЫЕ СРЕДСТВА КОММУНИКАЦИИ С ОБЩЕСТВОМ В СЕТИ ИНТЕРНЕТ

Прангисвили А., Квиркашвили С., Намичеишвили О.
Грузинский Технический Университет

Резюме

Основные средства связей с общественностью в Интернете: Веб -Сайты, онлайн пиар мероприятий, рассылка новостей в средствах массовой информации (в СМИ), онлайн интервью и пресс-конференция, интернет – трансляция. Взаимодействие со средствами массовой информации в Интернете так же важно, как традиционные отношения со СМИ и происходит почти по такой же схеме. Следующие факторы могут способствовать развитию общественных отношений: повышение осведомленности, размещение материала на своем веб – сайте, размещение статей со стороны интернет – СМИ. Это вызовет внимание к компании, к продукту или к идеи. Наконец, мы можем сказать, что вышеупомянутые средства являются эффективными для связи с общественностью и они широко практикуются в ведущих странах мира.

ATLAS-ის დაფუძნების მაგისტრი ლენოს გარმატრიული აღმოჩენის შედარებითი აცალიზი

ალექსანდრე შარმაზანაშვილი, ნიკო ცუცქირიძე, არჩილ სურმავა,

ბესიკ კეპელა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

CERN-ში (ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაცია) რეალური ექსპერიმენტების პარალელურად მიმდინარეობს აღნიშნული ექსპერიმენტის მოდელირების პროცესი. ხშირ შემთხვევაში რეალური ექსპერიმენტიდან და მოდელირებიდან მიღებული მონაცემები არ ემთხვევა ერთმანეთს. არსებობს აღნიშნული განსხვავების გამომწვევი სხვადასხვა მიზეზი, რომელთა შორის ერთერთი გეომეტრიული მოდელების უზუსტობებია. ამ მიზნით შემუშავებულ იქნა მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა განხორციელებულ იქნას მოდელირებული გეომეტრიის გამოკვლევა და უზუსტობების აღმოჩენა. მეთოდის გამოყენებით განხორციელდა ATLAS-ის დეტექტორის ერთერთი კომპონენტის მაგნიტური ღეროს გეომეტრიული მოდელის გამოკვლევა. შედეგად აღმოჩენილ იქნა მნიშვნელოვანი მოცულობითი და წონითი ცდომილებები. მიღებული შედეგები გათვალისწინებულ იქნა CERN-ის მოდელირების ჯგუფის მიერ, რამაც თავის მხრივ შეამცირა სხვაობა რეალური ექსპერიმენტიდან და მოდელირებიდან მიღებულ მონაცემებს შორის.

საკანძო სიტყვები: მაღალი ენერგიების ფიზიკა. CERN. LHC. ATLAS-ის დეტექტორი. მაგნიტური ღერო. მოდელირება. საინჟინრო მონაცემთა ბაზა. CATIA. AGDD პროგრამული ენა. 3D აბიუქტები. დაფიქსირებული ელემენტარული ნაწილაკების (events) ვიზუალიზატორი. სეგმენტაცია.

1. ATLAS-ის დეტექტორის გეომეტრიული მოდელირების ამოცანა

მაღალი ენერგიების ფიზიკაში მიმდინარე ექსპერიმენტებს შორის შეიძლება გამოიყოს LHC (The Large Hadron Collider)-ის ექსპერიმენტი რომელიც მიმდინარეობს ბირთვული კვლევების ევროპულ ორგანიზაციაში, CERN. ATLAS-ის დეტექტორი არის LHC-ს შემადგენელი კომპონენტი, რომელიც ჰარდის მასის წარმომექნელი ელემენტარული ნაწილაკებისა და ბნელი მატერიის აღმოჩენისთვისაა განკუთვნილი [1].

ამასთანავე, რეალური ექსპერიმენტის პარალელურად მიმდინარეობს აღნიშნული ექსპერიმენტის მოდელირება. ფიზიკური პროცესების მოდელირებისათვის გამოიყენება მონტე-კარლოს (MC) ალგორითმები, რომლებიც აწარმოებენ მოდელირებისათვის საჭირო მონაცემების ფორმირებას. მოდელირების მთავარ იდეას წარმოადგენს მიღებულ იქნას ისეთი მონაცემები, სადაც რეალური ექსპერიმენტიდან და მოდელირებიდან მიღებული მონაცემები იქნება ერთმანეთთან მაქსიმალურად მიახლოვებული. ამით მეცნიერებს საშუალება ეძლევათ შემდგომი კვლევა აწარმოონ მოდელირებიდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით.

ფიზიკური პროცესების მოდელირება, თავის მხრივ, მოიცავს მრავალი სახის ამოცანას, რომელთა შორის საც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გეომეტრიულ მოდელირებას. გეომეტრიული მოდელირება გულისხმობს ATLAS-ის დეტექტორის კომპონენტების მოდელის შექმნას, რა დროსაც მაქსიმალურად უნდა იქნას შენარჩუნებული გეომეტრიის მოცულობა, მასა და პოზიცია.

ATLAS-ის დეტექტორის კომპონენტების მოდელირება ხორციელდება სპეციალური პროგრამული რესურსის Geant4-ის გამოყენებით, რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს დეტექტორის კომპონენტების აღწერა C++ და მისი მონათესავე დაპროგრამების ენგბზე [2]. ATLAS-ის დეტექტორის Geant4 გეომეტრიული მოდელები შექმნილია თეორიული ნახატების


მიხედვით [3]. შესაბამისად, მოდელირების ალგორითმები იძლევიან რეალურისგან განსხვავებულ მონაცემებს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბირთვული ინჟინერის ცენტრში განხორციელდა ATLAS-ის დეტექტორის მაგნიტური ღეროს გეომეტრიული მოდელის გამოკვლევა. კვლევის მიზანი იყო გეომეტრიულ აღწერებს შორის სხვაობის დადგენა და მათი გათვალისწინება ATLAS-ის სიმულაციის ამოცანებში.

2. შედარებითი ანალიზის მეთოდი

ბირთვული ინჟინერის ცენტრის მიერ დამუშავებულ იქნა სპეციალური მეთოდი, რომლის მიხედვითაც განხორციელდა ATLAS-ის დეტექტორის მაგნიტური ღეროს გეომეტრიული მოდელის გამოკვლევა [4].

ანალიზისათვის შერჩეულ იქნა გეომეტრიული მოდელირების პაკეტი CATIA, Dassault System. მეთოდის მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ CATIA გამოყენებულია როგორც შემაკავშირებელი კვანძი სადაც ხორციელდება სხვადასხვა გეომეტრიული აღწერების ურთიერთშედარება (ნახ.1). მეთოდის პირველ ეტაპზე ხორციელდება ATLAS-ის დეტექტორის კომპონენტის რეპროდუცირება CATIA-ში. რეპროდუცირებისათვის საჭირო მონაცემები აიღება



CDD (CERN Drawing Directory) მონაცემთა ბაზიდან, სადაც შენახულია ATLAS-ის დეტექტორის საინჟინრო ნახატები და Smartteam საინჟინრო მონაცემთა ბაზიდან, სადაც შენახულია ATLAS-ის დეტექტორის კომპონენტის 3D მოდელები [3,5]. Smartteam-სა და CDD გამოყენებით CATIA-ში შესაძლებელია შეიქმნას მოცემული კომპონენტის დეტალური გეომეტრიული მოდელი.

ATLAS-ის დეტექტორის კომპონენტების დაპროგრამება ხორციელდება AGDD (ATLAS Generic Detector Description) პროგრამული ენის გამოყენებით, რომელიც შეიქმნა CERN-ში სპეციალურად ამ მიზნისათვის [6].


შესაბამისად, მეთოდის მომდევნო ეტაპზე ხორციელდება AGDD პროგრამული კოდის მომზადება, რისთვისაც საჭირო რიცხვითი პარამეტრები აიღება CATIA-ში აგებული გეომეტრიიდან. იქნებან გამომდინარე, რომ საბოლოოდ კომპონენტებმა ანალიზისათვის თავი უნდა მოიყროს CATIA-ში, მეთოდის მომდევნო ეტაპზე ხდება AGDD-დან vrml (Virtual Reality Modeling Language) ფაილის მიღება VP1 (Virtual Point 1) პროგრამული პაკეტის საშუალებით, რომელიც შეიქმნა 2007 წელს სპეციალურად ATLAS-ის უქსეკრიმენტისათვის [7]. VP1 არის დაფიქსირებული „დროებითი“ ნაწილაკების ვიზუალიზატორი, რომელიც წარმოიქმნება ელემენტარული ნაწილაკების დაჯახებისას. VP1-ს გააჩნია ინსტრუმენტები (Tools), რომელიც შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს ATLAS-ის დეტექტორის მოდელირებული გეომეტრიის ვიზუალიზაცია.

Vrml მოდელი წარმოადგენს ზედაპირულ გეომეტრიას (Surface Geometry), რომელიც შედგება პოლიგონების ერთობლიობისაგან [8]. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ბირთვული ინჟინერის ცენტრის მიერ დამუშავებულ იქნა პროგრამული აპლიკაცია, რომლიც საშუალებას იძლევა VP1-დან მიღებულ იქნას ზედაპირული გეომეტრია, Vrml ფაილის სახით.

საბოლოოდ CATIA-ში თავს იყრის ორი სახის გეომეტრიული აღწერა: CDD-სა და Smarteam-ის გამოყენებით რეპროდუცირებული მოდელი და AGDD/XML-ში დაპროგრამებული მოდელი. შედეგად, შესაძლებელია განხორციელდეს მათი შედარებითი ანალიზი.

შემუშავებული მეთოდის მიხედვით ბირთვული ინჟინერის ცენტრის მიერ შესრულდა ATLAS-ის მაგნიტური ღეროს გეომეტრიული მოდელის შემოწმება (ნახ.2).



ნახ.2. ATLAS-ის დეტექტორის მაგნიტური ღეროს გეომეტრიული მოდელი


ამისათვის შემუშავდა სპეციალური მეთოდური გეგმა [4]:

- 2.1 გეომეტრიული მოდელის დამუშავება - მაგნიტური ღეროს საინჟინრო მოდელის მოდიფიცირება და დეტალური გეომეტრიის შექმნა CATIA-ს ბაზაზე;
- 2.2 მაგნიტური ღეროს სეგმენტაცია და მასის თვისებების განსაზღვრა;
- 2.3 გეომეტრიული აღწერების შედარებითი ანალიზი.

2.1 გეომეტრიული მოდელის დამუშავება

თავდაპირველად განხორციელდა საინჟინრო ბაზაში არსებული მოდელის ანალიზი სისრულეზე. ანალიზმა გვიჩვნა, რომ Smarteam-ში არსებული მაგნიტური ღეროს მოდელი შეიცავდა მხოლოდ გარე გეომეტრიის კომპონენტებს, რომელთაც შიგნიდან არ ჰქონდათ ჭრილები. რეალურად მაგნიტური ღერო შედგება ერთმანეთის შიგნით განთავსებული კომპონენტების რამდენიმე ფენისაგან, ამიტომ საჭირო გახდა არსებული მაგნიტური ღეროს გარე გეომეტრიის მოდიფიცირება და შიგა გეომეტრიის დეტალური მოდელის შექმნა (ნახ.3) ამისათვის გამოყენებულ იქნა 255 ცალი CDD ნახატი.

შედეგად, საინჟინრო მოდელს დაემატა შემდეგი კომპონენტები: თერმული დამცავი, შემკვრელი ძელები, ღეროს ყალიბი, ხუფები, ხვიები, შიგა და გარე მილტურები, სერვისები, სხვადასხვა ტიპის ჭანჭიკები და სამაგრები.



ნახ.3. მაგნიტური ლეროს შიგთავსის გეომეტრიული მოდელი

2.2 მაგნიტური ლეროს სეგმენტაცია და მასის თვისებების განსაზღვრა

მომდევნო ეტაპზე განხორციელდა მაგნიტური ლეროს სეგმენტაცია და მასის თვისებების განსაზღვრა. ამისათვის მთლიანი მოდელი დაიყო ეწ. კომპონენტებად და თითოეული მათგანის მოცულობისა და სიმკვრივის მიხედვით გაანგარიშებულ იქნა მასა [9]. დაყოფა განხორციელდა კომპონენტების ფუნქციონალური დანიშნულებით და მასალების მიხედვით:

კომპონენტი I

ამ კომპონენტში გაერთიანებულ იქნა მაგნიტური ლეროს გარე აღწერის ის ნაწილები, რომელთაც გააჩნია ერთნაირი სიმკვრივის მქონე მასალა (ნახ.2). ესენია: სოლენოიდის ზედა ლერო, ქვედა ლერო, გვერდები და კუთხები. ასევე გარე მილტუჩები და გარე სამაგრები. CDD-ის ნახაზების მიხედვით განისაზღვრა მათი სიმკვრივე, CATIA-ში დათვლილ იქნა მოცულობა და მასა. საერთო მოცულობამ შეადგინა $V1=4.458$ მ3, სიმკვრივე 8'000 კგ/მ3, ხოლო მასამ, $M1=35.7$ ტ.


კომპონენტი II

მაგნიტური ლეროს დამხმარე სტრუქტურის ბლოკები (ნახ.2) ცალკე იქნა გამოყოფილი. იგი შედგება სხვადასხვა მასალის და, შესაბამისად, სხვადასხვა სიმკვრივის ობიექტისაგან, ამიტომ მათი მასა და მოცულობა ცალ-ცალკე იქნა დათვლილი. კომპონენტ II-ში შემავალი ობიექტების საერთო მოცულობა $V2=4.416$ მ3, სიმკვრივე 2'650 კგ/მ3-სა და 8'000 კგ/მ3-ს, ხოლო მასა $M2=12.3$ ტ.

კომპონენტი III

შემკვრელი ძელი (ნახ.4), რომლის გამოყოფაც მოხდა სტრუქტურიდან როგორც კომპონენტი IV, შედგება 8 სხვადასხვა მასალისა და სიმკვრივის მქონე ქვეკომპონენტისაგან.

საინჟინრო ნახაზების მიხედვით დადგინდა თითოეული მათგანის მასალა და სიმკვრივე. სტრუქტურაში გამოიყენებოდა 3 სახის მასალა შესაბამისი სიმკვრივეებით: ტიტანი-4'480 კგ/მ3, ფოლადი-8'000 კგ/მ3 და ალუმინი-2'705 კგ/მ3. ასევე დავითვალეთ მოცულობა და მასა. შედეგად, მაგნიტური ღეროს სტრუქტურაში შემავალი 8 შემკვრელი ძელის საერთო მოცულობა $V3=0.5193$ მ3, ხოლო მასა $M3=2.9$ ტ.



ნაზ.4. შემკვრელი ძელი

კომპონენტი IV

მაგნიტური ღეროდან კომპონენტი IV-ის



ნაზ.5. თერმული დამცავი

ნახით გამოყოფილი იქნა მისი ერთ-ერთი კომპონენტი-თერმული დამცავი. CDD-ის ნახაზების მიხედვით დადგინდა აღნიშნული გეომეტრიის მასალა და შესაბამისად სიმკვრივეც, რომელიც აღმოჩნდა 2'740 კგ/მ3-ის ტოლი. ასევე CATIA-ში ანალიზის შედეგად განსაზღვრულ იქნა მოცულობა $V4=0.7517$ მ3. მიღებული ინფორმაციის გამოყენებით დათვლილ იქნა მასა, რომელიც აღმოჩნდა $M4=2.3$ ტ.

კომპონენტი V


მეხუთე კომპონენტის ქვეშ გაერთიანდა 2 ქვეკომპონენტი: ღეროს ყალიბი და ხეიტერი. ამ კომპონენტების მასალა არის ალუმინი, 2'650 კგ/მ3 სიმკვრივით. CATIA-ში ჩატარებული ანალიზის შედეგად მათი საერთო მოცულობაა $V5=12.033$ მ3. მოცემული ინფორმაციის გამოყენებით დათვლილ იქნა საერთო მასა რომელიც აღმოჩნდა $M5=31.9$ ტ.

კომპონენტი VI

მაგნიტური ღეროს სეგმენტაციის მომდევნო ეტაპზე განხორციელებულ იქნა მოკლე და გრძელი ხუცების გაერთიანება კომპონენტ VI-ის ქვეშ. შესაბამისი CDD ნახაზების ანალიზის შედეგად მათი სიმკვრივეები აღმოჩნდა განსხვავებული. გრძელი ხუცის სიმკვრივე იყო 2'660 კგ/მ3, ხოლო მოკლე ხუცის კი 2'650 კგ/მ3. შემდეგ დათვლილ იქნა მოცულობა და საბოლოოდ განისაზღვრა მასა. კომპონენტ VI-ის საერთო მოცულობა აღმოჩნდა $V6=1.898$ მ3 ხოლო მასა $M6=5$ ტ.

კომპონენტი VII

მაგნიტური ღეროს სეგმენტაციის ბოლო ეტაპზე სერვისები, მილის სამაგრები და ჭანჭიკები გაერთიანებულ იქნა ერთი კომპონენტის ქვეშ (ნაზ.6).



ნახ.6. სერვისები, მილის სამაგრები, დამატებითი
სამაგრები და ჭანჭიკები

VII კომპონენტში გაერთიანებულ პრიმიტივებს გააჩნდა სხვადასხვა სახის მასალა და სიმკვრივე: ფოლადი - 8'000 კგ/მ³, რკინა - 8'000 კგ/მ³, სხვადასხვა სიმკვრივის მქონე ალუმინი - 2'650 კგ/მ³, 2'670 კგ/მ³, 2'705 კგ/მ³, 2'810 კგ/მ³. ჩატარებული ანალიზის შედეგად მთლიანი VII კომპონენტის მოცულობაა V7=0.59 მ3, ხოლო მასა M7=1.9 ტ.

შედეგად, მაგნიტური ღეროს საერთო მოცულობისთვის და მასისთვის მიღებულ იქნა შემდეგი სიდიდეები:

$$\begin{aligned} V_{\Sigma} &= V_1 + V_2 + V_3 + V_4 + V_5 + V_6 + V_7 \\ &= 4.458\vartheta^3 + 4.416\vartheta^3 + 0.5193\vartheta^3 + 0.7517\vartheta^3 + 12.033\vartheta^3 + 1.898\vartheta^3 + 0.59\vartheta^3 \\ &= 24.67\vartheta^3 \end{aligned}$$

$$\begin{aligned} M_{\Sigma} &= M_1 + M_2 + M_3 + M_4 + M_5 + M_6 + M_7 \\ &= 35.7\vartheta + 12.3\vartheta + 2.9\vartheta + 2.3\vartheta + 31.9\vartheta + 5\vartheta + 1.9\vartheta = 92\vartheta \end{aligned}$$

2.3. გეომეტრიული აღწერების შედარებითი ანალიზი

CATIA-ში შექმნილი მაგნიტური ღეროს დეტალური მოდელის მასის გათვლის შემდეგ განხორციელდა გეომეტრიული აღწერების შედარებითი ანალიზი [10]. ამისათვის მოდელირებული მაგნიტური ღერო ამოღებულ იქნა AGDD/XML-დან, რომელიც დაიყო კომპონენტებად CATIA-ში შექმნილი დეტალური მოდელის შესაბამისად. მოდელი ეტაპზე განხორციელდა თითოეული მათგანის მასის გათვლა და შედარება CATIA-ში შექმნილ შესაბამის გეომეტრიულ მოდელთან. მასის დასათვლელად, ისევე როგორც CATIA-ში აგებული მოდელის შემთხვევაში, დადგენილ იქნა თითოეული კომპონენტის მოცულობა და სიმკვრივე. მოცულობის დასათვლელად გამოყენებულ იქნა CATIA, ხოლო სიმკვრივის გასარკვევად კი თვითონ AGDD/XML-ის კოდი, სადაც მითითებული იყო თუ რომელ კომპონენტს რა მასალა გააჩნდა (ცხრ.1).

AGDD/XML-ში მოდელირებული მაგნიტური ღეროს გარე გეომეტრია შედგებოდა სამი პრიმიტივისაგან (კომპონენტი I, კომპონენტი II და კომპონენტი III). შესაბამისად, თითოეულ მათგანი შედარებულ იქნა CATIA-ში აგებული შესაბამის მოდელთან და განსაზღვრულ იქნა მასათა შორის სხვაობა (ცხრ.1).

CATIA-სა და AGDD/XML-ის მაგნიტური ღეროს მასათა შორის სხვაობა.

ცხრ.1.

	სახელი	მასალა	სიმკვრივე (კგ/მ³)	მოცულობა (მ³)	საერთო მასა (ტ)	სხვაობა (ტ)
AGDD/XML	კომპონენტი I	რკინა	7'870	3.887	30.6	5.1
CATIA	კომპონენტი I	რკინა	8'000	4.458	35.7	
AGDD/XML	კომპონენტი II	ალუმინი/ რკინა	2'700/7'870	4.56	13.2	-0.9
CATIA	კომპონენტი II	ალუმინი/ რკინა	2'650/8'000	4.416	12.3	
AGDD/XML	კომპონენტი III	ალუმინი	2'700	0.42	1.1	1.8
CATIA	კომპონენტი III	ფოლადი/ ტიტანი/ ალუმინი	8'000/4'480/ 2'705	0.5193	2.9	
AGDD/XML	კომპონენტი IV	ალუმინი	2'700	13.138	35.5	5.6
CATIA	კომპონენტი IV	ალუმინი	2'740	0.7517	2.3	
	კომპონენტი V	ალუმინი	2'650	12.033	31.9	
	კომპონენტი VI	ალუმინი	2'660/2'650	1.898	5	
	კომპონენტი VII	ფოლადი/ რკინა/ ალუმინი	8'000/8'000/ 2'650	0.59	1.9	
					სულ სხვაობა:	11.6

რაც შეეხება შიგა გეომეტრიას, რომელიც AGDD/XML-ში იყო მოდელირებული, იგი შედგებოდა მხოლოდ ერთი პრიმიტივისაგან. ამიტომ მასთან შედარებულ იქნა მაგნიტური ღეროს დეტალური გეომეტრიის შიგა კომპონენტები: კომპონენტი IV - თერმული დამცავი, კომპონენტი V - ღეროს ყალიბი და ხვიები, კომპონენტი VI - მოკლე და გრძელი ხუფები, კომპონენტი VII - სერვისები, მილის სამაგრები, დამატებითი სამაგრები და ჭანჭიკები (ნახ.2, ცხრ.1).


საბოლოოდ, დეტალური გეომეტრიის მასა 11.6 ტ-ით მეტი აღმოჩნდა მოდელირებული გეომეტრიის მასაზე.

აღნიშნული შედეგები ორჯერ იქნა წარდგენილი CERN-ში მოწყობილ სამეცნიერო განხილვებში, რომელიც შედგა ATLAS-ის IT კვირეულის ფარგლებში [11, 12]. როგორც ATLAS-ის სიმულაციის ექსპერტებმა აღნიშნეს 11 ტ. სხვაობა წარმოადგენს მნიშვნელოვან უზუსტობას, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს მთლიანად სიმულაციის შედეგების აღეკვატურობაზე.

ამიტომ, გადაწყდა სიმულაციის პაკეტებში გეომეტრიული მოდელების მოდიფიცირება. შედეგად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბირთვული ინჟინერიის ჯგუფმა მოახდინა ზემოთ აღწერილი მაგნიტური ღეროს დეტალური გეომეტრიული მოდელის გამარტივება მასისა და მოცულობის დაცვით.

მოთხოვნა მოდელის გამარტივებაზე გამომდინარეობს სიმულაციის, როგორც პროცესის წარმადობიდან. შემდგომ ამისა კი განხორციელდა გამარტივებული მოდელის კოდირება XML ფორმატში, როგორც ამას მოთხოვს დამუშავებული მეთოდი (ნახ.1).

შედეგად, ATLAS-ის სიმულაციის ჯგუფმა ჩაატარა სიმულაციის ახალი ეტაპი მოდიფიცირებული გეომეტრიის გათვალისწინებით (ნახ.7-ა).



ნახ.7-ა

ჯგუფის მიერ მომზადებულ ტექნიკურ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მოდიფიცირებული გეომეტრიის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა სხვაობა რეალური ექსპერიმენტიდან და მოდელირებიდან მიღებულ მონაცემებს შორის [13].

მე-7-პ ნახაზზე ნაჩვენებია სიმულაციის შედეგი, სადაც თვალსაჩინოდ ჩანს თერმული დამცავი კვანძის მიერ შემოტანილი ცვლილება. აღნიშნული კვანძი, როგორც ზემოთ იყო განხილული, წარმოადგენს მაგნიტური ღეროს მოდიფიცირებულ გეომეტრიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს.

3. დასკვნა

- დამუშავებულ იქნა გეომეტრიული მოდელირების მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ATLAS-ის დეტექტორის გეომეტრიული მოდელების გამოკვლევა;
- მეთოდში პროგრამული პაკეტის CATIA-ს გამოყენება საშუალებას იძლევა განხორციელებულ იქნას თეორიული მოდელებისა და საინჟინრო მონაცემთა ბაზაში არსებული რეალური მოდელების ურთიერთშედარება;

- საინჟინრო ბაზაში არსებული მაგნიტური ღეროს გეომეტრიული მოდელის დამუშავებამ, CDD მონაცემთა ბაზაში არსებული ნახატების გამოყენებით, შესაძლებელი გახდა შექმნილიყო მაგნიტური ღეროს რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებული მოდელი;
- შემუშავებული მეთოდის გამოყენებით ATLAS-ის დეტექტორის მაგნიტური ღეროს გეომეტრიული გამოკვლევისას აღმოჩენილ იქნა 11.6 ტ-იანი სხვაობა;
- აღმოჩენილი უზუსტობების გათვალისწინებამ, ATLAS-ის დეტექტორის მაგნიტური ღეროს გეომეტრიული მოდელის განახლებისას, განაპირობა რეალური ექსპერიმენტიდან და მოდელირებიდან მიღებულ მონაცემთა შორის სხვაობის შემცირება.

ლიტერატურა:

1. <http://home.web.cern.ch/about/experiments/atlas>
2. <http://geant4.cern.ch>
3. https://edms5.cern.ch/cdd/plsql/c4w_guided.home?cookie=1760722
4. ნიკო ცუცქირიძე. (2012). ATLAS-ის დეტექტორის მაგნიტური სისტემების გეომეტრიული აღწერების დამუშავება სიმულაციისა და რეკონსტრუქციის პროგრამული პაკეტებისათვის. დისერტაცია მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. სტუ. თბილისი.
5. <http://www.3ds.com/products-services/enovia/mid-market/smartteam-engineering/>
6. Laurent Chevalier, Andrea Dell'Acqua, Jochen Meyer. (2012). “An XML generic detector description system and geometry editor for the ATLAS detector at the LHC”. ATL-SOFT-PROC-2012-053. 12p.
7. <https://atlas-vp1.web.cern.ch/atlas-vp1/home/>
8. <http://en.wikipedia.org/wiki/VRML>
9. Sharmazanashvili A., Surmava A., Tsutskiridze N., Kekelia B. (2011). Coil Mass Analysis report. Georgia, Tbilisi. 20 p.
10. Sharmazanashvili A., Surmava A., Tsutskiridze N., Kekelia B. (2011). Compare of Coil report. Georgia, Tbilisi. 10 p.
11. Sharmazanashvili A. (2012). Progress in use of CATIA interface to describe material in MS. Geneva, Switzerland. 58 p.
12. Sharmazanashvili A. (2013). Updates on MS geometry including NSW based on CATIA drawings. Geneva, Switzerland. 15 p.
13. Meyer J. (2014). Cavern background simulation. Summarizing the cavern background session of the Simulation Workshop. Geneva, Switzerland. 21 p.

**COMPARE ANALYSIS OF GEOMETRIC DESCRIPTIONS OF COILS
OF ATLAS DETECTOR**

Alexander Sharmazanashvili, Niko Tsutskiridze, Archil Surmava,
Besik Kekelia
Georgian Technical University

Summary

724	239.516
814	362.0972

Если функцию $(R/S)_n = f(n)$ построить в логарифмических координатах по обеим осям (рис. 1), то решение уравнения (7) относительно c и H находится с помощью линейной аппроксимации (метода наименьших квадратов), так что c – расстояние, отсекаемое прямой на оси y , а H – угол наклона прямой к оси x .




рис.1. R/S анализ стоимости предприятия

На рис.1 нанесены точки, полученные моделированием и степенная линия тренда, построенная в программе Excel. Показатель Херста $H=0.688$, что означает персистентный временной ряд.

3. Заключение

Показатель Херста можно использовать в качестве меры волатильности рядов данных. Эдгар Петерс[1] в своей книге «Хаос и порядок на рынках капитала» указывает на то, что при анализе риска ценной бумаги [можно добавить «и риска другого финансового инструмента»] предпочтительнее использовать не стандартное отклонение, а фрактальную размерность.

Стандартное отклонение хорошо характеризует изменчивость случайных рядов. И если относиться к рынку как к случайному процессу, то в этом случае применение стандартного отклонения в качестве главной характеристики величины риска вполне оправданно. Однако если принять, что рынки не случайны, а хаотичны, то фрактальная размерность как мера нелинейности движения цены подходит гораздо лучше. Данный факт открывает исследователям широкое поле для применения показателя Херста, например, при расчете цен опционов.

Литература:

1. Петерс Э. (2000). Хаос и порядок на рынках капитала. Новый аналитический взгляд на циклы, цены и изменчивость рынка. М.: Мир.
2. Кроновер Р. М. (2000). Фракталы и хаос в динамических системах. Основы теории. М.: Постмаркет.
3. <http://macd.ru/>
4. მათემატიკური მოდელირების კურსი (დინამიკური სისტემები და ქონსი), ტომი 6.
5. Петерс Э.(2004). Фрактальный анализ финансовых рынков. Пер. с анг., Москва.

**CALCULATION OF HURST EXPONENT FOR DYNAMICS OF COST
OF THE COMPANY**

Bichenovi Nana

Georgian Technical University

Summary

The paper describes an algorithm for a new statistical method - R/S analysis described by Harold Hurst. Given method allows to determine whether the time series is random or persistent, that is, whether it has a long-term memory. The algorithm of R/S analysis is used for the time series of stock prices; the conclusion about the nature of their persistence is drawn. It is the most important factor when we examine such phenomena as, for example, the stock exchange or currency, for which a clear fallacy of Gaussian approach is confirmed by numerous studies.

**პერსონის გაჩვენებლის გამოთვლა პომაპინის ფასის
დინამიკისათვის**

ნანა ბიჩენოვა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ნაშრომში მოცემულია დროითი მწკრივების R/S ანალიზის ალგორითმი კომპანიის ფასის ცვლილების მონაცემებისათვის. დროითი მწკრივების ანალიზის ზოგადი მეთოდი შემუშავებულ იქნა გაროლდჰერსტის მიერ. ეს მეთოდი გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ, იქნება თუ არა დროითი მწკრივი შემთხვევითი ან პერსისტენტული, ანუ, ექნება თუ არა ადგილი ზანგრძლივ მეხსიერებას. დროითი საბირჟო კვოტირებების მიმართ გამოიყენება დ/შ ანალიზის ალგორითმი და კეთდება დასკვნა მათ პერსისტენტულ ხასიათზე. R/S ანალიზი წარმოადგენს მთავარ ფაქტორს, როდესაც ვიკვლევთ ისეთ მოვლენებს, როგორიცაა აქციათა ან ვალუტის კურსი, რომელთათვისაც გაუსის მიდგომის არაექსპექტურობა დასაბუთებულია მრავალი მკვლევარის მიერ.

აქციების შერჩევა ჰორსტის მაჩვენებლის გამოყენებით და საფოდო ბაზრის ფრაქტალური ანალიზი

ლაშა გურგენიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია საფონდო აქციების პროგნოზირებადობის შეფასება პორტფოლიის გამოყენებით. პორტფოლიის მაჩვენებელი ბაზირებულია გამოყენებითი მათემატიკის რამდენიმე დარგზე, როგორებიცაა ფრაქტალური და ქაოსის თეორიები, სპექტრალური ანალიზი, რაც საშუალებას გვაძლევს შეფასების თუ რამდენად პროგნოზირებადია საფონდო ბირჟის ფასიანი ქაღალდების ფასი. სტატიაში გადაწყვეტილია ფასიანი ქაღალდების შეფასების პრაქტიკული მაგალითი, რომელისთვისაც გამოყენებულია VTB ბანკის აქციების პროგნოზირებადობის შეფასება.

საკვანძო სიტყვა: ფასიანი ქაღალდები. საფონდო ბირჟა. პორტფოლიის მაჩვენებელი.

1. შესავალი

აქციების შერჩევა და მისი ჩართვა საინვესტიციო პორტფოლიში არის ერთერთი მთავარი ამოცანა პორტფოლიის მართვისას. წარმატებული მართვის გარანტია არის აქციების შერჩევა აუცილებელი საინვესტიციო მაჩვენებლით. არსებობს სხვადასხვა განსხვავებული მოდელი და აქციების შერჩევის მეთოდი: CAPM მოდელზე დაფუძნებით, საშუალო შემოსავლებით, კომპანიის ფინანსური ანგარიშების მიხედვით, მაკროეკონომიკური ფაქტორების შესწავლისა და ტექნიკური ანალიზის საფუძველზე, რევერსიული მოდელები, ნეირონული ქსელები და ა.შ.

როგორც წესი, ნებისმიერი აქციის შეფასება ხდება მომავალში მიღებული შემოსავლების და რისკების გათვალისწინებით. ეს მიღებობა უკვე გახდა კლასიკური. მომავალში შემოსავლიანობის პროგნოზორებისათვის ინვესტორები იყენებენ სხვადასხვა პროგნოზირების მოდელებს. რისკების შეფასებისათვის იყენებენ სტანდარტულ გადახრებს. მაგრამ სამწუხაროდ, საბაზრო აქტივების ფასები უბრალო მოდელებით არ აღიწერება და დღეისათვის არ არსებობს მოდელი, რომელიც სრულად ასახავს საფონდო ბაზარს. აქციების შემოსავლიანობის აღწერის დროს, ნორმალური განაწილების გამოყენებისას არ არის შესაძლებელი აისახოს ბაზრის ის ეფექტები როგორიცაა „მძიმე კუდები“ და მაღალი ექსცესები. აქციების შერჩევისას, აუცილებელია უფრო ადეკვატური პარამეტრების შემოღება.

2. ბირითადი ნაწილი

მანდელბორტის მიერ იქნა შენიშნული, რომ აქციების ფასების გრაფიკს აქვს წილადური განზომილებები ისეთივე, როგორიც აქვს ფრაქტალური რიგს. აქედან შეიქმნა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ფასიანი რიგებიც არის ფრაქტალური და აქვთ ფრაქტალური რიგის თვისებები.

ფრაქტალური გეომეტრიის ტეორემით ფასიანი რიგის ანალიზი საშუალებას გვაძლევს სხვადასხვანაირად შევხედოთ საფონდო ბაზარს.

ფასიანი რიგის სტოქასტიკობის განსაზღვრისათვის იყენებენ ეგრეთწოდებულ პორტფოლიის (Hurst) მაჩვენებელს.

პორტფოლიის მაჩვენებელი ტრეიდერს საშუალებას აძლევს ორი მთავარი დახასიათება მიიღოს ფასიანი რიგის შესახებ.

ჯერ ერთი, „ბაზრის მეხსიერება“ მოძრაობის ინერტულობის შეფასებისას. ბაზრის მეხსიერება მოიცავს რეტროსექტრული მონაცემების სიღრმეს, რომლებიც გავლენას ახდენს

მიმღინარე ფასების ფორმირებაში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ბაზრის მეხსიერების ანალიზისას, კლასიკური სტატისტიკით, იყენებენ აუტოკორელაციურ ფუნქციას.

მეორე კი - პორსტის მაჩვენებელი არის მდგრადი, შეიცავს მინიმალურს შესასწავლ მასალას, მთავარი კი არის ის, რომ შეუძლია დროის რიგის იდენტიფიკაცია.

პორსტის მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ დროითი რიგები მათი მნიშვნელობების საშუალებით: თუ, ის იღებს შემდეგ მნიშვნელობებს $0 < H < 0.5$ მაშინ მწკრივი არის ანტიპერისტენტული დროის რიგი, ანუ რიგი, რომლისთვისაც უფრო მოსალოდნელია წინა მიმართულების ცვლა. ეს პორცესები უფრო დამახასიათებელია ტურბულენტური ეფექტისათვის.

$H=0.5$ - დროის რიგი სტოქასტიკურია. ასეთ პორცეს უწოდებენ „თეთრ ხმაურს“.

$0.5 < H < 1$ - პერისტენტული დროის რიგი(ასევე უწოდებენ „შავ ხმაურს“), ანუ მიმართულების რიგი, რომლისთვისაც აზრი აქვს ტრეიდინგს. ასეთი რიგები შეინიშნება სწორედ ფინანსურ ბაზარზე.

3. პორსტის მაჩვენებლის პრაქტიკული გამოყენება

პორსტის მაჩვენებელი ინვესტორს საშუალებას აძლევს სათანადო ინფორმაციას ფინანსურ აქტივების ხასიათის შესახებ. პორსტის მაჩვენებლის გამოყენება აქციების შერჩევისას საშუალებას გვაძლევს თავიდან მოვიშოროთ არაეფექტური აქციები. აქციების სტანდარტული კრიტერიუმის შერჩევასთან ერთად, საშუალო შემოსავლიანობაზე დაყრდნობით და სტანდარტულ გადახრებთან შეევაფასთ აქციები პორსტის ფრაქტალური მაჩვენებლის საშუალებით. ასეთი მეთოდით ჩვენ შევაერთებთ აქტივების შეფასების კლასიკურ პარამეტრებს და პორსტის მაჩვენებლებს.

პორსტის მაჩვენებლის გაანგარიშებისათვის ვისარგებლოთ საოფისე პროგრამით MS EXCEL. პორსტის მაჩვენებელი გამოისახება ფორმულით:

$$\sigma(T) = \sigma(\tau) \cdot (T/\tau)^H$$

სადაც

σ - აქციის შემოსავლების სტანდარტული გადახრაა;

T - დროის პერიოდი;

τ - საბაზრო დროითი პერიოდი;

H - პორსტის მაჩვენებელი.

პირველად აუცილებელია მივიღოთ აქციების კოტორების სტატისტიკა. ავიღოთ VTB ბანკის (VTBR) აქციების 3 წლიანი სტატისტიკა, რომელიც ვაჭრობს ბირჟაზე. კოტირება აღებულია 2012 წლის 1 აპრილიდან. 2015 წლის 1 აპრილამდე.

შემდეგ აუცილებელია შევიტანოთ მონაცემები. 60 წუთი, ყოველდღიური, კვირეული და თვიური კოტირებით. ცხრილში და გამოვითვალოთ მათი შემოსავლები. მივიღეთ 6777 საათობრივი კოტირება, 753 დღიური, 156 კვირეული და 37 თვიური კოტირება. ამის შემდგომ გამოვითვალოთ ამ რიგის შემოსავლები ფორმულით = (B3-B2)/B2 ანალოგიურად სხვა რიგებისათვისაც.

საერთო სურათი წარმოდგენილია 1-ელ ნახაზზე.

A	B	C	D	E	F	G	H	I
1	TICKER	60	D		W	M		
2	VTBR	0.06775	0.06827		0.06707		0.0632	
3	VTBR	0.06782	0.001033	0.06978	0.022118	0.0658	0.018935	0.05307 -0.19088
4	VTBR	0.06757	-0.00369	0.06746	-0.03325	0.06571	0.001368	0.05707 0.070089
5	VTBR	0.06776	0.002812	0.06827	0.012007	0.0632	0.038198	0.05303 -0.07618
6	VTBR	0.06758	-0.00266	0.06707	-0.01758	0.05901	0.066297	0.0534 0.006929
7	VTBR	0.06726	-0.00474	0.06772	0.009691	0.05889	0.002034	0.05307 -0.00622
8	VTBR	0.06751	0.003717	0.06668	-0.01536	0.0543	0.077942	0.0545 0.026239
9	VTBR	0.06757	0.000889	0.06684	0.0024	0.0541	0.003683	0.05193 -0.04949

ნახ.1.


შემდეგ აუცილებელია ვიპოვოთ შემოსავლების სტანდარტული გადახრები ხვადასხვა დროის რიგებისათვის. ის გამოითვლება ფორმულებით =STDEV(C3:C6778), შედეგი წარმოდგენილია მე-2 ნახაზზე.

L	M	N	O
STDEV	Timeframe	ln_STDEV	LN_T
0.0069578	60	-4.96789429	4.094345
0.0199889	495	-3.91257876	6.204558
0.0463854	2475	-3.07077133	7.813996
0.0933934	10692	-2.37093422	9.277251

ნახ.2

STDEV სვეტში გამოთვლილია სხვადასხვა დროითი ტაიმფრეიმის შესაბამისი სტანდარტული გადახრა. „ტაიმფრეიმის“ სვეტში მდებარეობს დროებითი დიაპაზონის სიგრძეები: საათობრივი, დღიური, საკვირაო და თვიური. სვეტში ln_STDEV გამოთვლილია ნატურალური ლოგარითმები, რომლებიც გადახრილია სტანდარტულისგან, ხოლო ln_T სვეტში შესაბამისად ტაიმფრეიმის ნატურალური ლოგარითმები. ნატურალური ლოგარითმების გამოსათვლელი ფორმულა შემდეგია =LN(L2) და =LN(M2).

ყველა აუცილებელი პარამეტრის გაანგარიშების შემდეგ გამოვითვლით პორსტის პარამეტრს. ამისთვის ვიპოვოთ წრფივი რეგრესიის კოეფიციენტი აქციების შემოსავლების ლოგარითმულ გადახრასა და ტაიმფრეიმის ლოგარითმებს შორის. ქვემოთ მოყვანილია რეგრესიის წრფივი გრაფიკი 1.



ნახ.3

წრფივი რეგრესიის კოეფიციენტი არის სწორედ პორსტის მაჩვენებელი. ჩვენ შემთხვევაში ის ტოლია 0,86. რაც შესაბამება პერსისტენტულ რიგის მაჩვენებელს. ანუ ეს აქციები დამახასიათებელია ტრენდირებისათვის.

4. დასკვნა

პორსტის მაჩვენებელი საშუალებას გვაძლევს განვასაზღვროთ ისეთი აუცილებელი თვისება ფასიანი ქაღალდებისა როგორიცაა ტრენდირება. ეს მაჩვენებელი არის უნივერსალური და გამოიყენება ნებისმიერი დროითი რიგისთვის, უცნობი განაწილების დროსაც (მაგალთად ფასიანი რიგის განაწილებისას). ყოველივე ეს მას ხდის შეუცვლელ ინსტრუმენტად აქციების ანალიზისას. რომლისთვისაც დამახასიათებელია ძლიერ არაწრფივობა, მაღალი ექსცესი და „მბიმე კუდები“. ყველა შესაძლო სიტუაციის აღწერა ბაზარზე ნირმალური განაწილების გზით მოითხოვს ფინანსური მართველისაგან გამოიყენოს ახალი, უფრო ეფექტური და უნივერსალური მეთოდები ფასიანი ქაღალდების მართვის საფრთხო ბაზარზე.

ლიტერატურა:

1. http://www.bearcave.com/misl/misl_tech/wavelets/hurst/
2. Jason k. (2012). Stock Market Investing.

PICKING UP STOCK SHARES BY MEANS OF HURST EXPONENT AND FRACTAL ANALYSIS OF THE STOCK MARKET

Lasha Gurgenidze

Georgian Technical University

Summary

This article describes estimation of stock shares within Hurst exponent. It gives us opportunity to define the value of stock shares. The Hurst exponent occurs in several areas of applied mathematics, including fractals and chaos theory, spectral analysis. A practical example of estimation stock shares is solved in this article. We use VTB bank stock shares to prove this.

ВЫБОР АКЦИЙ С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ ПОКАЗАТЕЛЯ ХЁРСТА ФРАКТАЛЬНЫЙ АНАЛИЗ ФОНДОВОГО РЫНКА

Гургенидзе Л.

Грузинский Технический Университет

Резюме

Рассматривается оценка прогнозируемости цен фондовых акций при помощи показателя Херста. Показатель Херста основан на применении методов нескольких областей прикладной математики, в том числе теории фракталов, теории хаоса и спектрального анализа, что дает возможность более обоснованно оценить прогнозируемость фондовых ценных бумаг. В статье приведен практический пример расчета прогнозируемости акции ВТБ банка.

სასწავლო პროცესის მართვაში ელექტრონული საშუალებების

გამოყენების ზოგიერთი ასამში

ლევან იმაიშვილი, ზაზა მაცაბერიძე, ნათა კირკიტაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განიხილება უმაღლესი განათლების სისტემის ობიექტებზე, როგორებიცაა სახელმწიფო და დიდი მასშტაბის კერძო უნივერსიტეტები, სასწავლო პროცესის ორგანიზაციის პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები თანამდროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძველზე. შემუშავებულია ასეთი სახის უნივერსიტეტების სასწავლო პროცესის მენეჯმენტის ავტომატიზაციის ასპექტები. სასწავლო პროცესი მართვის ავტომატიზაციის მიზნით დაყოფილია სამ ეტაპად. თითოეულ ეტაპზე გამოყოფილია ავტომატიზაციის თვალსაზრისით პერსპექტიული სურვიეტი. განსაკუთრებით ყურადღება არის გამახილებული სასწავლო ცხრილების ფორმირების სისტემურ საკითხებზე. გაანალიზებულია სასწავლო პროცესის მართვაში კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების დადგინდითი და უარყოფითი მოქმედები. ნაჩვენებია, რომ უკვე დანერგილი ავტომატიზებული სისტემები აუმჯობესებენ სასწავლო პროცესის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

საკვანძო სიტყვები. სასწავლო პროცესი. მართვა. კომპიუტერული ტექნოლოგიები.

1. შესავალი

დიდი მასშტაბების უმაღლესი სასწავლებელი რთული ორგანიზაციული სისტემა. შესაბამისად რთულია მისი მართვაც და მოითხოვს დიდ ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს. ასეთი უმაღლესი სასწავლებლის მართვას კიდევ უფრო ართულებს დღევანდელი „დინამიკური ყოფა“, როცა რეფორმის პროცესში მყოფი განათლების სისტემის გაუმჯობების მიზნით ხშირად იცვლება შესაბამისი კანონები, კონკრეტულებარე აქტები, ნორმატიული დოკუმენტები და ა.შ.

ამდენად, დღეისათვის უკვე წარმოუდგენელია სასწავლო პროცესის მართვა ავტომატიზაციის გარეშე [1]. მაშტაბურ უმაღლეს სასწავლებელში სასწავლო პროცესის მართვის ავტომატიზაცია რთული ტექნიკური ამოცანა და ორგანიზაციული პროცესია. ამიტომ წინამდებარე სტატიაში შევხებით ამოცანის დასმის და რეალიზაციის მხოლოდ ზოგიერთ ასპექტს.

2. სასწავლო პროცესის მართვის

სირთულე

სასწავლო პროცესის მართვის სირთულე, პირველ რიგში, მდგომარეობს იმაში, რომ მართვის ხარისხის შეფასება და სასწავლო გეგმების კორექტირება, აკადემიური დატვირთვების განაწილება, სასწავლო ცხრილების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ სწავლების გარკვეული ციკლის (სემესტრი, სასწავლო წელი და ა.შ.) დამთავრების შემდეგ. ასეთ მართვას ეწოდება ასინქრონული, განსხვავებით ობიექტის ნებისმიერ მოქმედებით მართვისაგან, რომელიც არის სინქრონული მართვა [2].

ობიექტის მოქმედების კორექცია სინქრონული მართვის დროს ხორციელდება მართვითი ზემოქმედების შედეგად, ხოლო ასინქრონული მართვის დროს ხდება გარკვეული ოპერაციების შერჩევა და მათი თანმიმდევრობის განსაზღვრა, რომლებმაც უნდა მიგვიყვანოს გარკვეულ მიზნამდე, იმ შეფასებიდან გამომდინარე, რომელიც დადგება პროცესის მორიგი ეტაპის დამთავრების შემდგომ.

სასწავლო პროცესი, როგორც ობიექტების დროში ურთიერთქმედების სისტემა, შეიძლება აღწერილი იქნას ობიექტების მინიმუმ ოთხი ჯგუფით: პედაგოგები, აკადემიური ჯგუფები

(სტუდენტები), სასწავლო კურსები და აუდიტორიები, რომლებიც გარკვეული მიზნის მიღწევის მიზნით ასრულებენ გარკვეულ ტექნოლოგიურ პროცესს, რომელიც თავის მხრივ აღწერილია წინასწარ მოცემული სასწავლო გეგმით. ვინაიდან აღნიშნული ჯგუფების რაოდენობრივი შემადგენლობა შეიძლება აღწევდეს სოლიდურს, მართვის ოპტიმალური ვარიანტის სცენარის ძიება და პოვნა გარკვეული კრიტერიუმების ერთობლიობით, ფრიად შრომატევადი პროცესია და „ხელით“ დამუშავების პირობებში ვერ იძლევა სასურველ შედეგს.

სასწავლო პროცესი, ობიექტების მართვის თვალსაზრისით შეზღუდული რესურსების პირობებში, შეიძლება დაყოფილი იქნას სამ ძირითად ეტაპად.

პირველი ეტაპი არის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც შეიძლება დაყოფილი იქნას ორ ძირითად ნაწილად: სტუდენტთა შეფასებების სისტემის შემუშავება, რომელიც ემსახურება სტუდენტთა სასწავლო პროცესისადმი მოტივირების ზრდას, აკადემიური დატვირთვის დაგეგმვა, ე.ა. აკადემიურ ჯგუფებში მეცადინეობების მიმაგრება კონკრეტულ პედაგოგზე და აშ. პროცესის წარმართვის დაგეგმვა: მეცადინეობების დროში განაწილება (სასწავლო ცხრილების შედგენა) და სტუდენტებზე და პედაგოგზე მიწოდება, სტუდენტთა შეფასებების დროში უზრუნველყოფა, პედაგოგთა შემადგენლობის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის უზრუნველყოფა და აღრიცხვა.

მეორე ეტაპზე მიმდინარეობს სასწავლო პროცესის შესრულება. ამ ეტაპის ფარგლებში შესაძლებელია ადგილი ქონდეს გადახრებს პედაგოგთა კონტიგენტის საწყისი მდგრამარეობიდან, სააუდიტორიო ფონდიდან, აკადემიური ჯგუფებიდან. ამ გადახრებიდან გამომდინარე პროცესის მართვა დაიყვანება დანაკარგების მინიმიზაციამდე საერთო განრიგის დარღვევის გარეშე. ამ დანაკარგების მინიმიზირება შეიძლება გათვალისწინებულ იქნას დაგეგმვის ეტაპზე, მაგალითად, საუდიტორიო სარეზერვო ფონდით ან სასწავლო განრიგის შედეგის დროს განრიგის სტაბილურობის კრიტერიუმების გათვალისწინებით.

მესამე ეტაპზე ხდება დაგეგმვის და სასწავლო პროცესის შესრულების შეფასება. ამ შეფასებას გააჩნია ორი მდგენელი: სწავლების მიზნების მიღწევის შეფასება და განრიგის ხარისხის შეფასება. პირველ შემთხვევაში ხდება სასწავლო გეგმის შეფასება და მიიღება გადაწყვეტილება სწავლების ხარისხთან დაკავშირებით. მეორე შემთხვევაში ხდება უშუალოდ სასწავლო განრიგის შეფასება ერგონომიული მაჩვენებლების, სტაბილურობის და ა.შ. თვალსაზრისით. ამასთან შესაძლებელია გამომუშავებული იქნას კრიტერიუმები მუშაობის შემდეგი პერიოდისათვის.

ზემოთ შემთავაზებული სასწავლო პროცესის მართვის სქემის შესაბამისად შეიძლება გამოყოფილი იქნას რამდენიმე სფერო, სადაც შესაძლებელია ან სასურველია განხორციელდეს მართვის ავტომატიზაცია: ეს არის აკადემიური დატვირთვების შედეგინა, სასწავლო განრიგის შედეგენა, სტუდენტთა შეფასებების უზრუნველყოფა, პედაგოგთა მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის ავტომატიზაცია, სასწავლო პროცესის კერძო და განზოგადებული შეფასებები.

3. კომპიუტერული ტექნოლოგიები და სასწავლო პროცესის მართვა

სასწავლო პროცესი ჩვენ გავყავთ სამ ეტაპად: დაგეგმვა, შესრულება და შეფასება. ამასთან, გამომდინარე სასწავლო პროცესის სპეციფიკიდან, შესრულების სასიცოცხლო ციკლში ნაგულისხმევა სასწავლო სემესტრი ან სასწავლო წელი. კომპიუტერული ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, რომ სასწავლო ციკლი დაყვანილი იქნას ერთ სასწავლო კვირამდე, რაც მნიშვნელოვნად ცვლის სასწავლო პროცესის სამიერ ეტაპს და იძლევა სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების საშუალებას, რამდენადაც შესაძლებელი ხდება ერთკვირიანი შედეგებიდან გამომდინარე დაგეგმარების ხარისხის განხილვა და კორექტირება.

დღევნდელი დინამიკური ყოფა, რაც დაკავშირებულია სტუდენტთა მობილობასთან, სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების ან პედაგოგების არჩევითობასთან და ა.შ., მოთხოვს არა თუ გადაწყვეტილებათა სწრაფად მიღებას, აგრეთვე დაგეგმვის ეტაპის ტექნოლოგიური პროცესების სწრაფად განხორციელებას. მასშტაბური სასწავლო დაწესებულებისათვის ინდივიდუალური თუ ჯგუფური სასწავლო გეგმების ფორმირება, აკადემიური ჯგუფების ფორმირება, აკადემიური დატვირთვების ფორმირება სწრაფ რეჟიმში (რამდენიმე დღეში) ჩამოთვლილ სამუშაოთა ავტომატიზაციის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია.

სასწავლო პროცესის განრიგის შედეგის ავტომატიზაცია საშუალებას იძლევა ოპერატორულად იქნას მიღებული ახალი სასწავლო ცხრილი მიმდინარე კორექტირებების გათვალისწინებით. ასევე გაადვილებულია სასწავლო ცხრილის მიწოდება აკადემიური ჯგუფებისადმი და პედაგოგებისადმი, მაგალითად, ინტერნეტის საშუალებით.

4. კომპიუტერული ტექნოლოგიების სასწავლო პროცესის მართვაში დანერგვის პრობლემები

სასწავლო პროცესის მართვა რთული პროცესია, რაც დაკავშირებულია საკანონმდებლო საკითხებთან, სტუდენტებთან (რაც თავის მხრივ, უკავშირდება სოციალურ საკითხებსაც), ადამიანურ თუ ინფრასტრუქტურულ რესურსებთან და ა.შ. ყველა ამ ასპექტის ასახვა პროგრამულ პროდუქტებში დაკავშირებულია მნიშვნელოვან შრომით რესურსებთან. დიდ დანახარჯებთანაა დაკავშირებული აგრეთვე ახალი პროგრამული პროდუქტების დანერგვაც.

ცალკე განხილვის თემაა მომხმარებელთა მეწარმეები, რაც ახალი არაა. სტუდენტები და საერთოდ ახალგაზრდობა მნიშვნელოვნად სწრაფად ადაპტირდება ახალ ტექნოლოგიებთან, მაგრამ სოლიდური ასაკის პროფესორისათვის ეს პროცესი მტკიცნეული და დროში გაწელილია. აღსანიშნავია, რომ პროგრამული პროდუქტები გვთავაზობს ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს, რაც ასევე მომხმარებლის მხრიდან ძნელად აღსაქმელი და რთულია.

მნიშვნელოვანია ასევე კომპიუტერული და ქსელური ინფრასტრუქტურის შექმნისათვის (გაუმჯობესებისათვის) საჭირო სოლიდური მატერიალური რესურსები და ა.შ.

სასწავლო პროცესის დაგეგმვის ერთ-ერთი საკანონო სასწავლო ცხრილების ფორმირება. სასწავლო პროცესის განრიგის (ცხრილების) ფორმირება ხასიათდება მნიშვნელოვანი შრომითი დანახარჯებით და მოცულუ მოწერები, პირველ რიგში, მიმართულია განრიგის არაწინააღმდეგობრივი პირობის უზრუნველსაყოფად, ე.ო. იმ პირობაზე, რომ პედაგოგები, სტუდენტთა ჯგუფები და აუდიტორიები ამორჩეულ დროს დაკავშირებულია სასწავლო პროცესის მხრილოდ ერთი მეცადინებობით. ასევე მნიშვნელოვანია აკადემიური ჯგუფისათვის სასწავლო კურსების მეთოდური დალაგებაც დღის და კვირის განმავლობაში.

ამ ამოცანის კომპიუტერულად გადაწყვეტის დროს წამოიჭრება რამდენიმე პრობლემა:

1. მოთხოვნების ჩამოყალიბება სასწავლო განრიგისადმი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს:

- პირველ რიგში, სტუდენტის ინტერესებს: სასწავლო განრიგში მინიმუმადე უნდა იყოს ე.წ. „ფანჯრების“ რაოდენობა, სტუდენტს დღის განმავლობაში არ უნდა უხდებოდეს ერთი კორპუსიდან მეორეში გადასვლა. ამ პროცესის გამორიცხვა თუ ვერ ხერხდება, მაშინ გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო კორპუსების ტერიტორიული დაშორება;

- სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფის დონეს (მაგალითად, სასწავლო აუდიტორიების რაოდენობა, აუდიტორიაში (ლაბორატორიაში) სამუშაო ადგილების რაოდენობა და სხვა). არაა მიზანშეწონილი სასწავლო პროცესი წარიმართოს ღამის საათებში, რაც აუცილებლად გაზრდის ენერგეტიკულ დანახარჯებს და ა.შ.;

- სანიტარულ-პიგიენურ ნორმებს (მაგალითად, სტუდენტის მაქსიმალური სალექციო დატვირთვა დღეში და სხვა);
- დამატებით მოთხოვნებს, რაც შეიძლება მოიცავდეს: დღის განმავლობაში სხვადასხვა სასწავლო დისკიპლინების შეთავსება, ერთ სასწავლო კურსში დაწყვილებული ლექციები, „კირტუალური“ ჯგუფების შექმნას არჩევითი სასწავლო კურსების შემთხვევაში და სხვა;
- მოწვეულ პედაგოგთა სურვილებს სასწავლო დროის განაწილებისადმი.

2. ორგანიზაციული სამუშაოების ჩატარება:

- აუცილებელია უნივერსიტეტის მაშტაბით სასწავლო კურსების კოდიფიცირების ერთიანი სისტემის შემოღება;
- აუცილებელი ხდება უნივერსიტეტის მაშტაბით აკადემიური ჯგუფების ნუმერაციის ერთიანი სისტემის შემოღება;
- აუცილებელი ხდება პედაგოგთა იდენტიფიცირებისათვის პირადი 11-ნიშნა კოდის გათვალისწინება;
- სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს სასწავლო განრიგში ცვლილებების შეტანა ყოველთვის იყო საჭირო და დღესაც საჭიროა (მაგალითად, ერთი პედაგოგის მეორეთი ჩანაცვლება). შესაბამისად საჭირო ხდება სტუდენტისადმი შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, თუნდაც ინტერნეტის საშუალებით;
- აუცილებელი ხდება საუნივერსიტეტო სააუდიტორიო ფონდის შექმნა, რაც საშუალებას იძლევა ფაკულტეტებს შორის დინამიურად (საჭიროებიდან გამომდინარე) მიხედვით იქნას გადანაწილებული სააუდიტორია ფონდი.

3. კომპიუტერის უზრუნველყოფა აუცილებელი მონაცემებით, რომელიც მოიცავს:

- სააუდიტორიო და ლაბორატორიულ ფონდს;
- ბმებს „სასწავლო-კურსი – მეცანეობის-ფორმა – აკადემიური-ჯგუფი – პედაგოგი – სავარაუდო-სააუდიტორიო/(ლაბორატორიული)-ფონდი“;
- მეცანეობის ჩატარების რეჟიმი: გაერთიანებული, ერთდროული, დაყოფილი აკადემიური ჯგუფი და სხვა;
- დროითი შეზღუდვები, დაკავშირებული მეცანეობასთან, აკადემიურ ჯგუფთან და პედაგოგთან.

4. სასწავლო ცხრილის გენერაცია, რომელიც შედგება სამი ეტაპისაგან:

- სასწავლო ცხრილის გენერაცია ლოკალური (მაგალითად, ერთი ფაკულტეტისათვის) სახით მირთადი წინააღმდეგოვების აღმოფხვრის მიზნით;
- უშუალოდ ფართომასშტაბიანი სასწავლო ცხრილის გენერირება;
- გენერირებული სასწავლო ცხრილის გამოქვეყნება და ჩატვირთვა პედაგოგთა რეგისტრი-რების სისტემაში.

სასწავლო ცხრილის ფორმირებისათვის ჩამოყალიბებულმა ზოგადმა პრინციპებმა აჩვენა, რომ მათ ვერ აკმაყოფილებს არსებული სისტემები (რომლებიც მრავლადაა როგორც პოსტ-საბჭოთა სივრცეში, ასევე დასავლეთში [3]). ამდენად, საჭირო გახდა ორიგინალური პროგრამული პროდუქტის შექმნა.

5. დასკვნა

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გეგმაზომიერად მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მართვის ახალი კომპიუტერული სისტემების დაწერა. მოცემულ მომენტში შეიძლება

ვიმსჯელოთ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემის [4], პედაგოგთა ბიომეტრიული რეგისტრირების [3], სასწავლო ცხრილების ფორმირების და სხვა კომპიუტერული სისტემების დანერგვის შედეგების შესახებ.

მიღებულ შედეგებში შეიძლება გამოვკვეთოთ ორი მირითადი მაჩვენებელი: რაოდენობრივი და ხარისხობრივი. რაოდენებროვი მაჩვენებლები აისახება მატერიალური ხარჯების შემცირებასა და შრომითი რესურსის ეკონომიაში, ხოლო ხარისხობრივი მაჩვენებლები მიუთითებს სასწავლო პროცესის დაგეგმვის და მიმდინარეობის ხარისხის გაუმჯობესებაზე.

ცალკე რომ შევჩერდეთ სასწავლო ცხრილების ავტომატურ ფორმირებაზე, იგი მოითხოვს კომპიუტერის მნიშვნელოვან დროით და რესურსების (მეხსიერების) დანახარჯებს. ეს შეფასება გაკეთებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების კუთხიდან. „ხელით“ მუშაობის რეჟიმთან შედარებით ამოცანის კომპიუტერზე გადაწვეტა იძლევა მნიშვნელოვან მოგებას როგორც დროში, ასევე მატერიალური თვალსაზრისით. რაც მთავარია, შესაძლებელი გახდა სასწავლო ცხრილების ოპერატორულად ფორმირება. ამასთან კომპიუტერულად ფორმირებული სასწავლო ცხრილი, განსხვავებით „ხელით“ ფორმირებულისაგან გამორიცხავს მექანიკურ თუ სხვა სახის შეცდომებს.

ლიტერატურა:

1. Мальцев М.В. (1996). Автоматизация управления учебным процессом / Новые информационные технологии в вузе. Мат. конф. Новосибирск: НГУ.
2. Kienle A. (2006). The Integration of Asynchronous and Synchronous Communication Support in Cooperative Systems. In Hassanaly, P., Herrmann, T., Kunau, G., Zacklad, M. (eds.) Cooperative systems design, IOS Press, Amsterdam, The Netherlands. Pp. 180–195.
3. Расписание занятий/уроков: "Ректор". <http://rector.spb.ru/>
4. იმნაიშვილი ლ., ტიტვინიძე ა., ბედინეიშვილი მ., დათუკიშვილი გ. (2012). ელექტრონული სისტემების ეფექტურობა სასწავლო პროცესის მართვაში. სტუს დაარსებიდან 90 წლ. მიძღვნილი საერთაშესამეცკონფ.: „21-ე საუკუნის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ძირითადი პარადიგმები“, თბ., 19-21 სექტემბერი, შრ., ტ.2. გვ. 120-130.
5. Prangishvili A., Imnaishvili L., Bedineishvili M., Sulaberidze M. (2012). Electronic System of Teachers' Registration in The Highest Educational Institution. Information and Computer Technologies – Theory and Practice: Proceedings of the Internat. Sc.Conf., ICTMC-2010 Devoted to the 80th Anniversary of I.V. Prangishvili. Nova Science Publishers.NewYork. Pp.93-100. https://www.novapublishers.com/catalog/product_info.php?products_id=25352

**SOME ASPECTS OF THE USE OF ELECTRONIC CAPABILITIES FOR
THE MANAGEMENT OF LEARNING PROCESS**

Imnaishvili Levan, Matsaberidze Zaza, Kirkitadze Natia

Georgian Technical University

Summary

The article discusses organizational problems and their solutions of learning processes management on the basis of modern information technologies in such objects of higher educational systems, as large scale public and private universities. Here are developed some aspects of automation of the educational process management of these types of universities. For the automation of the learning process management, they are divided into three phases. At each stage are highlighted perspective spheres in terms of automation. Particular attention is paid to the systemic Issues of the formation of timetables. There are analyzed advantages and disadvantages of the using of computer technologies for the automation of learning process management. It is shown that the existing systems are improving quantitative and qualitative indicators of the educational process.

**НЕКОТОРЫЕ АСПЕКТЫ ИСПОЛЬЗОВАНИЯ ЭЛЕКТРОННЫХ
ВОЗМОЖНОСТЕЙ В УПРАВЛЕНИИ УЧЕБНЫМИ ПРОЦЕССАМИ**

Имнаишвили Л., Мацаберидзе З., Кирkitадзе Н.

Грузинский Технический Университет

Резюме

Рассматриваются такие объекты систем высшего образования, как государственные и частные университеты большого масштаба, проблемы организации учебного процесса и пути их решения на основе современных информационных технологий. Разработаны аспекты автоматизации менеджмента учебного процесса университетов таких типов. С целью автоматизации управления учебного процесса они разделены на три этапа. На каждом этапе выделены перспективные сферы с точки зрения автоматизации. Особое внимание уделяется системным вопросам формирования учебных расписаний. Проанализированы преимущества и недостатки использования компьютерных технологий для автоматизации управления учебным процессом. Показано, что уже установленные системы автоматизации улучшают количественные и качественные показатели учебного процесса.

რეალური დოკუმენტის გრადუალური პროცესების გართვისას

თეომურაზ სუხიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ბიზნესპროცესების მართვის ავტომატიზაცია მოითხოვს განაწილებული, მრავალდონიანი სისტემის შექმნას, რომელიც იუნიკიონირებს რეალურ დროში. ამიტომ, ასეთი სისტემების დამუშავებისას მნიშვნელოვანია დროითი შეზღუდვების და ცალკეული ობიექტების მდგომარეობების ცვლილების წარმოდგენა დროის მიხედვით. პარალელურად მიმდინარე პროცესებს შორის ურთიერთქმედებისას, მაღალი წარმადობის სისტემის დასამუშავებლად გათვალისწინებულ უნდა იქნას მათ შორის დროითი შეზღუდვები. მოდელირებისთვის UML2-ით გამოიყენება დროითი დიაგრამა. განიხილება მისი დამუშავება სისტემის შექმნილი სახვადასხვა შემთხვევებისათვის, აგრეთვე მის საფუძველზე სისტემის ანალიზის საშუალებები UML ტექნილოგიით.

საკანონი სიტყვები: ბიზნესპროცესი. მდგომარეობა. შეზღუდვა. აპსოლუტური დრო. შეფარდებითი დრო. გადასვლა. დროითი დიაგრამა. ქსელი. ანალიზი.

1. შესავალი

UML/1-ის ერთ-ერთი სუსტი ადგილი იყო რეალური დროის სისტემების მოდელირება. ეს ისეთი სისტემებია, რომლებშიც დროითი თანაფარდობები კრიტიკულად არის მნიშვნელოვანი და მოვლენები უნდა თანსდევდეს ერთმანეთის გარკვეული დროითი ფანჯრის ფარგლებში. ამბობენ „დროით ფანჯარა“ და არა „დრო“, რადგან აბსოლუტური დრო დამმუშავებლებისათვის მიუღებელია. როდესაც მოდელში მოცემულია დრო, ჩვეულებრივ მოცემულია დრო პლუს-მინუს გარკვეული ცდომილება, განსაზღვრული გარე ფაქტორებით, ისეთებით, როგორიცაა სისტემური საათის სიზუსტე. ჩვეულებრივ ეს არ წარმოადგენს პრობლემას, დროის ძალიან ზუსტი შეზღუდვების მქონე სისტემების გამოკლებით.


UML/1-ში დროითი შეზღუდვები შესაძლებელი იყო მიგვეთითებინა სხვადასხვა დიგრამაზე (მდგომარეობის, მოდვაწეობის, განლაგების), რისთვისაც გამოიყენება დროითი (გასაღებური სიტყვით after) და ცვლილების (გასაღებური სიტყვით when) მოვლენები, მაგრამ არ იყო ცალკე დიაგრამა, რომელიც განკუთვნილი იქნებოდა დროითი შეზღუდვებისათვის. UML/2 წარუდგენს რეალური დროის სისტემების მოდელის დამმუშავებლებს დროით დიაგრამას. ეს არის ურთიერთქმედების დიაგრამის ნაირსახეობა, რომელშიც ძირითადი ფურადღება მიმართულია დროითი შეზღუდვების მოდელირებაზე და შესაბამისად იგი იდეალურად მიესადაგება რეალური დროის სისტემების ამ ასპექტს.

2. ძირითადი ნაწილი

დროითი დიგრამები საკმაოდ მარტივია. დრო გადებულია პორიზონტალურად მარცხნიდან მარჯვნივ. ობიექტთა სასიცოცხლო ხაზი და მათი მდგომარეობები განლაგება ვერტიკალურად. გადასვლები ობიექტთა სასიცოცხლო ხაზის მდგომარეობებს შორის და პირობებით წარმოიდგინება გრაფიკის სახით. ნახ.1.-ზე მოყვანილია დროითი დიაგრამა კლასისათვის «სტუდენტი» ტექნიკურ უნივერსიტეტში მიღებული სასწავლო გრაფიკის შესაბამისად. ეს დიაგრამა გვიჩვენებს, თუ რა ხდება, როდესაც ფორმირდება მოვლენა « სასწავლო სემესტრის დაწყება ». სემესტრის დაწყების თარიღი(T) მოძრავია, პირველი სემესტრისათვის ეს შეიძლება იყოს სექტემბრის პირველი ან მეორე კვირის დასაწყისი, ხოლო მეორე სემესტრისათვის კი მარტის პირველი კვირის დასაწყისი.


ქვემოთ მოყვანილია დროითი დიაგრამის მიმდევრობითი ანალიზი:

$t = 0$; - სტუდენტი იმყოფება დასკვერების მდგომარეობაში;
 $T \leq t \leq 6$ კვირა; - ხდება მოვლენა „სასწავლო სემესტრის დაწყება“ და სტუდენტი გადადის „სწავლება“ მდგომარეობაში, რაც გულისხმობს ლექცია-სემინარების დასწრებას და მათზე მიღებული დავალებების შესრულებას;
 $t=1$ კვირა(მე-7 კვირა); - სტუდენტს ეწყება პირველი შუალედური გამოცდა;
 $7 \leq t \leq 14$: სტუდენტი უბრუნდება მდგომარეობას „სწავლა“;
 $t=1$ კვირა (მე-14 კვირა); - სტუდენტს ეწყება მეორე შუალედური გამოცდა;
 $15 \leq t \leq 17$: - სტუდენტი უბრუნდება მდგომარეობას „სწავლა“;
 $18 \leq t \leq 20$: - სტუდენტს ეწყება დასკვნითი გამოცდები;
 $20 \leq t \leq 21$: - იმ სტუდენტებს, რომლებმაც ვერ დაიმსახურეს გამსვლელი ჭულები (51-ზე მეტი), მაგრამ აქვთ არა ნაკლებ 41 ჭულისა ეწყებათ დამატებითი გამოცდები.



ნახ.1.


დროითი დიაგრამები ასევე შეგვიძლია აესახოთ უფრო კომპაქტური ფორმით, როდესაც მდგომარეობები წარმოიდგინება ჰორიზონტალურად. მე-2 ნახაზზე მოცემულია 1-ელი ნახაზის შესაბამისი დიაგრამა. ასეთი კომპაქტური ფორმით აქცენტი ძირითადათ გადაიტანება უფრო მეტად მდგომარეობებზე და შეფარდებით დროზე და არა აბსოლუტური დროის წარმოდგენაზე.



ნახ.2

დროითი დიაგრამა შესაძლებელია აგრეთვე გამოყენებულ იქნას დროითი შეზღუდვების ილუსტრირებისათვის ურთიერთმოქმედ ორ ან მეტ სასიცოცხლო ხაზს შორის. მე-3 ნახაზზე მოცემულია ურთიერთქმედება სასიცოცხლო ხაზებს შორის: სტუდენტი და პროფესორი.

აქ შესაძლებელია აღინიშნოს, რომ პროფესორის დროითი დიაგრამა ვიზუალურად ჰგავს სტუდენტისას, მაგრამ არა შინაარსობრივად. მდგომარეობა „სწავლება“ პროფესორის დიაგრამაზე აღნიშნავს ლექცია-სემინარების და ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარებას, ხოლო ტესტირება და გამოცდა დროითი ფაზისა და სასწავლო გეგმის შესაბამისი ტესტების მომზადებას და გამოცდის შეფასებას.



ნაზ.3

დროით დიაგრამას გააჩნია ორი განყოფილება, ერთი თითოეული სასიცოცხლო ხაზისათვის. დროით დიგრამებზე შესაძლებელია შეტყობინებების ჩვენება, რომლითაც იცვლება სასიცოცხლო ხაზები. კერძოდ მოცემულ დიაგრამაზე მიღებულია შემდეგი აღნიშვნები: M-SH - სტუდენტთა მიმღინარე მოსწრების შეტანა(შეტანება ყოველი კვირის ბოლოს და არ უნდა აღემატებოდეს 2 ქულას), SH1 - პირველი ტესტირების შეფასება(არ უნდა აღემატებოდეს 20 ქულას), SH2 - მეორე ტესტირების შეფასება(არ უნდა აღემატებოდეს 20 ქულას), SH3 - დასკვნითი გამოცდის შეფასება(არ უნდა აღემატებოდეს 30 ქულას და ნაკლები 8-ს), SH4 - დამატებითი გამოცდის შეფასება(არ უნდა აღემატებოდეს 20 ქულას), pas1 - პირველი ტესტირების პასუხი, pas2 - მეორე ტესტირების პასუხი, pas3 - დასკვნითი გამოცდის პასუხი, pas4 - დამატებითი გამოცდის პასუხი.

3. დასკვნა

მოყვანილი სახეობის დროითი დიაგრამები წარმოადგენს მოხერხებულ საშუალებას დროითი შეზღუდვების მოდელირებისათვის რეალურ დროში მომუშავე სისტემების დამუშავებისას.

ლიტერატურა:

1. Арлоу Д., Нейштадт А. (2008). UML2 и унифицированный процесс. 2-ое изд., Практический объектно-ориентированный анализ и проектирование. С-т Петербург-Москва
2. სუხიაშვილი თ. ავტომატიზებული მართვის თეორიული საფუძვლები. მონოგრაფია. დამტკიცებულია სტუ-ს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს მიერ. გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2005, 210 გვ.

MODELING OF REAL TIME AT MANAGEMENT OF BUSINESS PROCESSES

Sukhiashvili Teimuraz
Georgian Technical University

Summary

Automation of management of business processes demands creation of the distributed, multilevel systems which function in real time. Therefore, when developing similar systems significantly representation of temporary restrictions and the situation changes of individual objects in time. At interaction in parallel of the proceeding processes, for development of systems of desirable productivity, it is also necessary to provide temporary restrictions between them. The temporary chart is applied to their modeling in the unified language (UML 2). In article development of the temporary chart for the different cases created in system and on their basis of means of the analysis of system on the basis of UML technology is considered.

МОДЕЛИРОВАНИЕ РЕАЛЬНОГО ВРЕМЕНИ ПРИ УПРАВЛЕНИИ БИЗНЕС-ПРОЦЕССАМИ

Сухиашвили Т.
Грузинский Технический Университет

Резюме

Автоматизация управления бизнес-процессов требует создания распределенных, многоуровневых систем, которые функционируют в реальном времени. Поэтому, при разработке подобных систем значимо представление временных ограничений и изменения состояния отдельных объектов во времени. При взаимодействии параллельно протекающих процессов, для разработки систем желаемой производительности, также нужно предусмотреть временные ограничения между ними. Для их моделирования в унифицированном языке моделирования (UML 2) применяется временная диаграмма. В статье рассматривается разработка временной диаграммы для разных случаев, создаваемых в системе и на их основе средства анализа системы с помощью UML технологии.

Web-სერვისების პროდუქციის მართვა ბიზნესაროვესების შესრულების ენის ბაზაზე

ეკატერინე თურქია, დავით ქალიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

წარმოდგენილია პროგრამული სისტემების მოდელირება და რეალიზაცია საინფორმაციო ტექნოლოგიების თანამედროვე მიღებით. განხილულია პროგრამული სისტემების აგება სერვის-ორიენტირებული არქიტექტურით, ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაცია ვებ-სერვისებით, პროცესების მოდელირება და ვებ-სერვისების შესრულების კოორდინაციის მართვა ბიზნეს-პროცესების შესრულების ენის გამოყენებით. ამ ენით ხორციელდება ბიზნეს-პროცესების მოდელირებისა და ნოტაციის ბაზაზე აგებული სცენარების შესრულება. განიხილება სასამართლო სისტემაში ბაჟის გადახდისა და დოკუმენტბრუნვის პროცესების რეალიზაციის პრაქტიკული მაგალითი. ამ სცენარის ბაზაზე შემოთავაზებულია დისტანციური ობიექტების პორიზონტალური და ვერტიკალური ინფორმაციული დაკავშირების მოდელირების ფრაგმენტები ვებ-სერვისებისა და ბიზნეს-პროცესების შესრულების ენის გამოყენებით.

საკანონი სიტყვები: ბიზნეს-პროცესების შესრულების ენა. ვებ-სერვისი. სერვის-ორიენტირებული არქიტექტურა. BPMN. BPEL. SOA.

1. შესავალი

სასამართლოს საპროცესო სისტემის მართვა მიიღავს ვერტიკალური და პორიზონტალური ორგანიზაციული სტრუქტურის ასპექტებს. ასევე, ინფორმაციის გადაცემა ხორციელდება, როგორც შეგა სტრუქტურების, ისე გარე ინსტრუმენტებისა და პირების მასშტაბით. პორიზონტალური მოდელის საინფორმაციო სისტემის არქიტექტურა, რომელიც მიმართულია ინფორმაციის გადაცემაზე გარე ობიექტებთან, განიხილება სერვის-ორიენტირებული არქიტექტურის ჭრილში. პორიზონტალური საინფორმაციო სისტემის რეალიზაცია ვებ-სერვისებით, დღესდღობით საუკეთესო პრაქტიკად ითვლება. სერვის-ორიენტირებული არქიტექტურის (SOA - Service Oriented Architecture) მთავარი არსა პროცესზე ორიენტირება და სხვადასხვა დეკომპოზიციური კომპაქტური ბიზნეს-პროცესების გაერთიანება, რეალიზებული ვებ-სერვისების სახით. ვებ-სერვისის გამოყენების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია სხვადასხვა ტექნოლოგიური სცენარის დისტანციური ობიექტების ინფორმაციული დაკავშირება (ფუნქციურად გაფართოებული შეტყობინებების მიღება/გადაცემის სახით) [1].

სერვის-ორიენტირებული არქიტექტურა, ფაქტობრივად, პროცესების ვებ-სერვისების სახით რეალიზაციაა, სადაც ვებ-სერვისების შესრულების მიმდევრობასა და კომპოზიციას მართავს ბიზნეს-ლოგიკა (სცენარი). ბიზნეს-ლოგიკის მოდელირებისთვის მიღებული სტანდარტია ბიზნეს-პროცესების მოდელირება და ნოტაცია (BPMN - Business Process Model and Notation), რომლის ბაზაზეც ხდება ვებ-სერვისებისა და პროცესის ქმედებების მიმდევრობის (ორკესტრირება) მოდელირება და შესრულება BPEL (Business Process Execution Language) ენით [2].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს IT სამყაროში სერვის-ორიენტირებული არქიტექტურა მომქმედი და დანერგილი ტექნოლოგიაა, ვებ-სერვისების მოდელირებისა და BPEL ენის გამოყენება პრაქტიკულად არ არის რეალიზებული. ჩვენი მიზანია, სასამართლოს საპროცესო სისტემის მართვაში ფოკუსირება მოვახდინოთ დოკუმენტ-ბრუნვის პროცესსა და სასამართლო ბაჟის გადახდის სერვისულ ფუნქციებზე სერვის-ორიენტირებული არქიტექტურის BPEL მოდელირების ნაწილით.

2. ძირითადი ნაწილი

ბიზნესპროცესების შესრულების ენა ტექნოლოგიური პროცესების (workflow) და მონაცემთა ნაკადების (dataflow) ენაა, რომელიც ახდენს მოვლენების თანმიმდევრობის შესრულებას და ვებ-სერვისების ინტეგრაციას სცენარის შესაბამისად. ახდენს XML-ფორმატში აღწერილ შეტყობინება-თა მიღება/გადაცემის კოორდინაციას და მონაცემთა სტრუქტურების მართვას დისტანციურ სერვისებზე, ამ ოპერაციების დასაშვებ პარალელურ შესრულებას, შეცდომებისა და გამონაკლისების მართვას. ტექნიკურად, ბიზნეს-პროცესების შესრულების ენის ელემენტებზე ხდება წინასწარ შექნილი და XML-WSDL ფორმატში გენერირებული ვებ-სერვისის/ვებ-მეთოდის მიბმა.

როგორც წესი, ვებ-სერვისის/ვებ-მეთოდის XML-WSDL ფორმატში გენერირებასა და კონვერტაციას, სტანდარტულად ახდენს BPEL-ის ინსტრუმენტული საშუალებები (მაგალითად, Oracle BPEL Process Manager, Eclipse, WebSphere Process Server და სხვ.) [3].

BPEL პროცესი შეიცავს ე.წ. ბიჯებს – პრიმიტიულ და სტრუქტურულ ქმედებებს (activity) [4]. პრიმიტიული ქმედებები ამ ენის ძირითადი კონსტრუქციებია და გამოიყენება, ფაქტობრივად, ყველა სახის სცენარისთვის. პრიმიტიული ქმედებებია:

- <invoke> – ვებ-სერვისის გამოძახება;
- <receive> – მოთხოვნის დაბრუნება, გამოძახებული ვებ-სერვისის მიღებისას;
- <reply> – პასუხის გენერირება;
- <assign> – მონაცემთა ცვლადების მანიპულაცია;
- <throw> – შეცდომებისა და გამონაკლისების მართვა;
- <wait> – მოლოდინის პერიოდი;
- <terminate> – პროცესის შეწყვეტა;
- <variable> - ცვლადების გამოცხადება;


პრიმიტიული ქმედებების დაკავშირებისთვის BPEL-ში განსაზღვრულია კავშირის რამდენიმე სტრუქტურა:

- <sequence> - ქმედებების/ვებ-სერვისების მიმდევრობით გამოძახება
- <flow> - ქმედებების/ვებ-სერვისების პარალელური გამოძახება
- <switch> - შემთხვევების მართვა (case-switch, განშტოებების სარეალიზაციოდ)
- <while> - ციკლის ფორმირება
- <pick> - ალტერნატიული ვარიანტებიდან ერთი მარშრუტის არჩევა

1-ელ ნახაზზე ასახულია სასამართლო ბაჟის გადახდისა და სარჩელის დოკუმენტბრუნვის პროცესში განსაზღვრული ვებ-სერვისები და პროცესის შესრულების სცენარი BPMN დიაგრამის ფორმატში.

აღნიშნული პროცესის მართვისთვის რეალიზებულია შემდეგი ვებ-სერვისები: მოქალაქის/უწყების მხარე - მონაცემების შევსება; სახელმწიფო ბაჟის გამოთვლა; paypal გადახდის მეთოდი; საბარათე გადახდის მეთოდი; ბანკში გადახდის მეთოდი (ქვითრის ნომრის მიხედვით გადახდის დადასტურება). სასამართლოს კანცელარიის მხარე - მონაცემთა მიღება; მონაცემების გადამოწმება; პიროვნებების გადამოწმება (მაგალითად, ოუსტიციის სამინისტროს ბაზის საშუალებით). პირადი ნომრის მიხედვით და ა.შ.); მონაცემთა დადასტურება; სარჩელის რეგისტრაცია.

მოცემული ვებ-სერვისების ინტეგრაცია BPEL ტერმინებში, BPMN სცენარის შესაბამისად შემთავაზებულია მე-2 ნახაზზე.




ნახ.1. სასამართლო ბაჟის გადახდისა და სარჩელის დოკუმენტბრუნვის პროცესის BPMN სცენარის ფრაგმენტი

ვებ-სერვისების ExternalObject (გარე ობიექტი, იგულისხმება სარჩელის შემომტანი პირი ან უწყება), InternalObject (შიგა ობიექტი, კანცელარიის თანამშრომელი) ფუნქციაა ავტორიზაციის პროცესის უზრუნველყოფა თანდართული ლოგინების პროცესით. სარჩელის რეგისტრაცია შეიცავს სამ პროცესს. პირველი, ძირითადი პროცესია სარჩელის შევსების ფორმა (Form Filling), რაც პორიზონტალური ინფორმაციული კავშირით ხორციელდება. სარჩელის შევსების ფორმა შეიცავს ორ ქვეპროცესს – სახელმწიფო ბაჟის გადახდა (Tax Payment) და სარჩელის ფორმის დადასტურება/რეგისტრაცია (Form Confirmation).

სახელმწიფო ბაჟის გადახდისთვის შესაძლებელია გადახდის სამი ტიპის არჩევა - საბარაულო გადახდის მეთოდით ბანკის ვებ-სერვისთან პორიზონტალური კავშირი, paypal გადახდის მეთოდით paypal სისტემის ვებ-სერვისთან პორიზონტალური კავშირი, ბანკში გადახდის მეთოდით ვერტიკალური კავშირი შიგა სისტემის ვებ-სერვისთან.

3. დასკვნა

ფაქტობრივად, ბიზნეს-პროცესების შესრულების ენა პროცესის მოდელისა და პროგრამული უზრუნველყოფის ერთობლივად ფუნქციონირების საშუალებაა. მისი შექმნის იდეას საფუძვლად დაედო გამოყენებითი სისტემების ინტეგრაციის (Enterprise Application Integration – EAI) ტექნოლოგია, რაც დღესდღეობით შიგა და გარე მცირე დასრულებული პროგრამული მოდულების - ვებ-სერვისებისა და პროცესის ცალკეული იტერაციების ინტეგრაციის მოქნილ საშუალებად განიხილება.



ნახ.2. ვებ-სერვისების ინტეგრაციის BPEL მოდელის ფრაგმენტი

მნიშვნელოვანია, რომ BPMN- BPEL ტექნოლოგია აერთინებს, როგორც ობიექტ-ორიენტირებული მიღვომის პროცესის დაპროექტებას, ისე სერვის-ორიენტირებული არქიტექტურის კონცეფციას.

ლიტერატურა:

1. Prangishvili A., Turkia E. (2011). The Modern modeling concepts of business-process: meta-modeling, integration, implementation, Transactions GTU N2 (11), Tbilisi. 15-21.
2. St. Jablonski. (2005). Processes, Workflows, Web Service Flows: A Reconstruction, Springer. Germany

3. Oracle BPEL Process Manager. www.oracle.com/middleware/bpel/overview/index.html
4. Vasiliev Y. (2007). SOA and WS-BPEL. Packt eBook. Birmingham.

**MANAGEMENT OF WEB SERVICES COORDINATION VIA BUSINESS-PROCESS
EXECUTION LANGUAGE**

Ekaterine Turkia, David Kaliashvili

Georgian Technical University

Summary

The article presents modeling and implementation of software via modern approaches of information technology. Discussed topics include design of software by service-oriented architecture, business-process automation through web-services , process modeling and Web services coordination management using business processes Execution language. Business Process Execution Language implements the execution of scenarios that are modeled in the Business-Process management notation. Practical examples of workflow and court fee payment services in the court system are presented as scenarios. On the basis of those services, remote objects modeling fragments in the horizontal and vertical informational connection case using web-services and business process execution language are offered.

**УПРАВЛЕНИЕ КООРДИНАЦИЕЙ ВЕБ-СЕРВИСАМЫ НА БАЗЕ
ЯЗЫКА ИСПОЛНЕНИЯ БИЗНЕС-ПРОЦЕССОВ**

Туркия Е., Калиашвили Д.

Грузинский Технический Университет

Резюме

Представлены вопросы моделирования и реализации программного обеспечения на базе современных подходов информационных технологий. Обсуждаются вопросы построения программного обеспечения по сервис-ориентированной архитектуре, автоматизации бизнес-процессов с помощью веб-сервисов, моделирование процессов и координация управления веб-сервисов на базе языка исполнения бизнес-процессов. Язык исполнения бизнес-процессов реализует выполнение сценариев, моделюемых по нотации управления бизнес-процессами. В качестве сценариев представлены практические примеры автоматизации услуг документооборота и оплаты судебного сбора в судебной системе. На основе этих услуг предложены фрагменты модели горизонтальной и вертикальной информационной связи удаленных объектов с использованием веб-сервисов и языка исполнения бизнес-процессов.

პროექტის შესრულების ოპერატორი მართვა

გულბათ ნარეშელაშვილი, თამაზ შეროზია, იოსებ ნაცვლიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია პროექტის ხანგრძლივობის ოპერატორი მართვის ამოცანა. ძირითად მაჩვენებლად გამოყენებულია პროექტის დასრულების დრო. იმ შემთხვევაში, როდესაც პროექტის დასრულების პროგნოზირებადი დრო განსხვავდება გეგმიურისაგან, წარმოიშვება ოპერატორი მართვის საჭიროება – დამატებითი ზომების მიღება პროექტის დაუმთავრებელი ნაწილის დასასრულებლად. ამ ზომების რეალიზაცია მოითხოვს განსაზღვრულ ხარჯებს, ანუ ჩნდება ოპტიმალური მაკორექტირებელი ზემოქმედების განსაზღვრის ამოცანა. ეფექტურობის კრიტერიუმად გამოყენებულია ფინანსური მახასიათებლები, რომლებიც დამოკიდებულია როგორც პროექტის ხანგრძლივობაზე, ასევე სამუშაოების შესრულების ხარჯებზე. მართვის ამოცანის ამოხსნისას შემცვეთმა უნდა გაითვალისწინოს პროექტის შემსრულებლების აქტივობა და მათი ანაზღაურება შეთანხმებული უნდა იყოს შემცვეთის ინტერესებთან. დეტერმინირებულ სისტემებში ასეთ მექანიზმად გამოიყენება მატერიალური სტიმულირება, რომელიც ფუნქციონირებს გარე და შიგა პარამეტრების სრული ინფორმაციულობის პირობებში.

საკვანძო სიტყვები: დეტერმინირებული სისტემა. სტიმულირება. მიზნობრივი ფუნქცია. იერარქიული თამაშები.

1. შესავალი

ბევრი საწარმო-სამრეწველო გაერთიანებებისათვის დამახასიათებელია ის, რომ მათი მოღვაწეობის შედეგი დამოკიდებულია სხვადასხვა შემსრულებლის მუშაობაზე. ეს გამოიხატება იმაში, რომ შემსრულებელთა ხარჯები დამოკიდებულია არა მარტი საკუთარ მოქმედებაზე, არამედ სხვა აგენტების მუშაობაზეც. მაგალითად, სამშენებლო დარგში საბოლოო შედეგის მიღწევა დამოკიდებულია პროექტის ყველა მონაწილის ეფექტურ და შეთანხმებულ მუშაობაზე. ასეთი მოქმედებების განხორციელება, პროექტის ყველა მონაწილის მიერ, შესაძლებელია მატერიალური სტიმულირების საშუალებით [1]. სტიმულირება ტექნოლოგიური მოღვაწეობის მართვის ერთ-ერთი საშუალებაა, რომელიც მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას ძირითადად, პროექტების და საწარმო სისტემების ფარგლებში.

2. ძირითადი ნაწილი

გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა წარმოიშვება იმ შემთხვევაში, როდესაც პროექტის დასრულების პროგნოზირებადი დრო განსხვავდება გეგმიურისაგან. ამ შემთხვევაში უნდა მივიღოთ დამატებითი ღონისძიებები საპროექტო სამუშაოების დროის შესამცირებლად, რომლებიც მდებარეობს კრიტიკულ გზაზე [2]. ამ ღონისძიებათა რეალიზაცია მოითხოვს დამატებით დანახარჯებს, ანუ საჭიროა განისაზღვროს ოპტიმალური მაკორექტირებელი ზემოქმედება. ამასთან ეფექტურობის კრიტერიუმია ფინანსური მახასიათებლები (სამუშაოს შესრულების ვადების დარღვევისათვის სანქცი-ები, ჯარიმები და ა.შ.), რაც დამოკიდებულია როგორც პროექტის ხანგრძლივობაზე, ასევე შესრულების დანახარჯებზე.

ვთქვათ პროექტის რეალიზაციის პროცესში ცნობილი გახდა დასრულების გეგმიური $T_{გვ}$ და პროგნოზირებადი $T_{პრ}$ დრო. დამატებითი ღონისძიებები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა $T_{პრ} \geq T_{გვ}$. დაგუშვათ, რომ პროექტის შეფერხების გამო შემსრულებელი უხდის შემცველ ჯარიმებს $r(t)$, $t \geq T_{გვ}$. შემსრულებელს აქვს საშუალება შეამციროს პროექტის რეალიზაციის ვადა, ანუ შეამციროს ერთი, ან რამდენიმე კრიტიკული ოპერაციის ხანგრძლივობა, რისთვისაც მან უნდა

გაიღოს განსაზღვრული დანახარჯები $c(y)$, სადაც $y \in A$ - დროა, რომლითაც მცირდება პროექტის შესრულების ხანგრძლივობა. ყ შეიძლება აღვიქვათ, როგორც აქტიური კლემენტის მოქმედება – არჩეული სტრატეგია [2]. იმისათვის, რომ შემსრულებელმა აირჩიოს რომელიმე სტრატეგია, დამკვეთმა უნდა გამოიყენოს შესაბამისი სტიმულირების სისტემა, ე.ი. განსაზღვროს დამოკიდებულება $\sigma(y)$ შემსრულებლის წახალისება მის მიერ არჩეული მოქმედების შესაბამისად.

დამოკიდებულებას $\sigma(\cdot) \in M$ ეწოდება სტიმულირების ფუნქცია (M -დასაშვები სტიმულირების ფუნქციების სიმრავლეა) [2]. პროექტის მონაწილეების ინტერესები გამოისახება მიზნობრივი ფუნქციებით. პროექტის ყოველი მონაწილე ცდილობს ექსტრემიზაცია გაუწიოს თავის მიზნობრივ ფუნქციას [3]. დავუშვათ, რომ დამკვეთი დაინტერესებულია ჯარიმების მინიმიზაციაში და შემსრულებელის სტიმულირებაში, ე.ი. დამკვეთის მიზნობრივი ფუნქციას აქვს შემდეგი სახე:

$$f(\sigma(\cdot), y) = \sigma(y) + r(T_{\text{არ}} - T_{\text{გვ}} - y) \quad (1)$$

შემსრულებლის მიზნობრივი ფუნქციაა სხვაობა სტიმულირებასა და დანახარჯებს შორის:

$$f(\sigma(\cdot), y) = \sigma(y) - c(y) \quad (2)$$

შემოგვაქვს შემდეგი დაშვება: $A = [0, T_{\text{არ}} - T_{\text{გვ}}]$, M -ნაწილობრივად უწყვეტი დადებითი მნიშვნელობის ფუნქციების სიმრავლეა; $c(y)$ – დადებითი მნიშვნელობის, მონოტონურად ზრდადი, მკაცრად ამოზნექილი, უწყვეტად დიფერენცირებადი ფუნქციაა, ისეთი, რომ $c(0)=0$.

გარდა ამისა, რეალიზებადი მოქმედებების სიმრავლიდან

$$D(\sigma) = \operatorname{Argmax}_{y \in A} f(\sigma, y) \quad D(\sigma) = \operatorname{Argmax}_{y \in A} f(\sigma, y)$$

შემსრულებელი ირჩევს მოქმედებას, რომელიც უფრო მეტად მისაღებადა ცენტრისათვის [2].

გადაწყვეტილების მიღების თანამიმდევრობა შემდეგია:

დამკვეთი ატყობინებს შემსრულებელს სტიმულირების ფუნქციას, რის შემდეგაც შემსრულებელი ცნობილი სტიმულირების ფუნქციის მიხედვით ირჩევს საკუთარ მოქმედებას.

ამიტომ შემკვეთის ამოცანას წარმოადგენს ისეთი დასაშვები სტიმულირების სისტემის შერჩევა, რომელიც მოახდენს მისი ამოცანის მიზნობრივი ფუნქციის მინიმიზაციას იმ პირობით, რომ შემსრულებელი აირჩევს დასაშვებ მოქმედებებს მისი საკუთარი მიზნობრივი ფუნქციის მაქსიმიზირებისათვის.

მათემატიკურ მოდელს ექნება შემდეგი სახე:

$$\begin{cases} f(\sigma^*(y^*), y^*) \rightarrow \min_{\sigma \in A} \\ Y^* \in \operatorname{Argmax}_{y \in [0, T_{\text{არ}} - T_{\text{გვ}}]} f(y) \end{cases} \quad (3)$$

იერარქიული თამაშების თეორიის თანახმად [4], ამოცანა (3) წარმოადგენს Γ_2 ტიპის თამაშს და შეიძლება განხილულ იქნას როგორც მეორე რიგის დეტერმინირებული სტიმულირების ამოცანა. მის ამონახსნებს აქვს შემდეგი სახე:

$$\sigma^*(y) = \begin{cases} c(y^*), & y = y^* \\ 0, & y \neq y^* \end{cases} \quad (4)$$

სადაც შემსრულებლის ოპტიმალური მოქმედება y^* განისაზღვრება შემდეგი გამოსახულებით:

$$y^* = \arg \min_{y \in [0; T_{\text{კრ}} - T_{\text{გვგ}}]} [c(y) + r(T_{\text{კრ}} - T_{\text{გვგ}} - y)] \quad (5)$$

ვინაიდან დამკვეთის ჯარიმები $r(t)$ წრფივია და შემსრულებლის დანახარჯების ფუნქცია $c(y)$ მკაცრად ამოზნექილია, აქედან გამომდინარეობს, რომ ფუნქცია $[c(y) + r(T_{\text{კრ}} - T_{\text{გვგ}})]$ მონაკვეთზე $[0; T_{\text{კრ}} - T_{\text{გვგ}}]$ აღწევს ერთადერთ მინიმუმს.

3. დასკვნა

პროექტების ხანგრძლივობის მართვის ამოცანის მოდელში ეფექტურობის კრიტერიუმია ცენტრის ფინანსური მახასიათებლები, რომლებიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია პროექტის ხანგრძლივობაზე. მართვის საჭიროება ჩნდება იმ შემთხვევაში, როცა პროექტის დასრულების სავარაუდო დრო განსხვავებულია გეგმიურისაგან. სტრატეგიის ამორჩევა ხდება სტიმულირების სისტემის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს პროექტის ყველა მონაწილის ინტერესებს.

ლიტერატურა:

1. Новиков Д.А. (2003). Стимулирование в организационных системах. М., „Синтег“.
2. Гаврилов Н.Н., Карамзина Н.С., Колосова Е.В., Лысаков А.В., Цветков А.В. (2000). Анализ и управление проектами. -М., „Экон. акад.“
3. Ковальчук Е.В., Новиков Д.А. (2004). Модели и методы оперативного управления проектами. М., ИПУ РАН.
4. Гермайер Ю.Б. (1976). Игры с непротивоположными интересами. -М., Наука.

OPERATING PERFORMANCE OF THE PROJECT MANAGEMENT

Nareshelashvili Gulbaat, Sherozia Tamaz,

Nacylishvili Ioseb

Georgian Technical University

Summary

The article deals with the duration of the project operational task. The main indicator is the project completion time. In cases where the project predictable completion time will vary predictably, origins need for operational management to complete the unfinished project. Realization of these action require a certain expense or raises the optimal exposure to the optimal

activity. For the effectiveness criteria is used financial features, who are dependent on duration of the project and expenses of the work. The client must take into account the activity of the performer managers and their salary should be coordinated with the client's interests. Such mechanism is used as a material stimulation in the determined systems that operate in the external and internal parameters in full awareness condition.

ОПЕРАТИВНОЕ УПРАВЛЕНИЕ ВЫПОЛНЕНИЕМ ПРОЕКТА

Нарешелашвили Г., Шерозия Т.,

Нацвлишвили И.

Грузинский Технический Университет

Резюме

Рассматривается задача оперативного управления продолжительностью проекта. В качестве основного показателя выбрано время завершения проекта. В том случае, когда прогнозируемое время завершения проекта отличается от планового, возникает необходимость в оперативном управлении – дополнительных мерах по сокращению продолжительности выполнения незавершенной части проекта. Реализация этих мер требует определенных затрат, то есть возникает задача определения оптимальных коррекционных воздействий. В качестве критерия эффективности выбраны финансовые показатели, зависящие как от продолжительности проекта, так и от затрат на выполнение проекта. При решении задачи управления заказчик должен учитывать активность исполнителей проекта и их вознаграждение должно быть согласовано с предпочтениями заказчика. В качестве такого механизма используется материальное стимулирование для случая детерминированной системы, функционирующей в условиях полной информированности о существенных внешних и внутренних параметрах.

უსადენო ქსელების გამოყენებული მოდულაციის ტექნიკის და აუთენტიფიკაციის მექანიზმების განხილვა

გიორგი გამდლიშვილი, ვლადიმერ ადამია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

წარმოდგენილია უსადენო ქსელების კომუნიკაციის მოქნილი მექანიზმები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია ფიზიკური მედიასაშუალების დონეზე რადიო-სისტემის ტალღების გამოყენება. ასევე მოცემულია თუ როგორ ხდება რადიოსისტემის დატვირთვა გადასაცემი ინფორმაციით და რა ტექნოლოგიები გამოიყენება. ამ მიზნით სტატიაში აღწერილია სისტემის დიაპაზონები და მათი დანიშნულება. განხილულია მოდულაციის ტექნიკა და წარმოდგენილია ამ ტექნოლოგიის რამდენიმე ვარიანტი. წარმოდგენილია უსადენო ქსელის რამდენიმე სტანდარტი და მათი მაუწყებლობის შესაბამისი სისტემები. ასევე განიხილება აუტენტიფიკაციის მექანიზმები. შედეგად შესაძლებელია წარმოდგენილი მექანიზმების მეშვეობით ეფექტური უსადენო ქსელის აგება, რაც ინფორმაციის მოქნილი, სწრაფი და საიმედო გაცვლის ბაზისია.

საკვანძო სიტყვები: მოდულაციის ტექნიკა. ცენტრალიზებული აუტენტიფიკაცია. სისტემის დიაპაზონები.

1. შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ უსადენო ქსელები ბაზარზე გამოჩნდა 1990 წლიდან, ტექნოლოგია ფაქტიურად არსებობდა 1800 წლიდან. მუსიკოსმა და ასტრონომმა უილიამ ჰერშელმა (1732-1822) აღმოაჩინა ინფრაწითელი სხივები, რომელიც აღმიანის თვალისთვის უხილავი იყოს აღმოჩნა წარმოდგენდა გზას ელექტრომაგნიტური ტალღების თეორიისაკენ რომელიც სიღრმისეულად შეძლებომში გამოკვლეული იქნა ჯეიმს მაქსველის მიერ. მისი აღმოჩენების უდიდესი ნაწილი ელექტრომაგნიტიზმის კუთხით დაფუძნებული იყო მიხეილ ფარადეის და ანდრე მარია ამპერის აღლევებზე. მაქსუელის აღმოჩენები გამოიყენა ჰერიტ ჰერცმა და დასკვნა, რომ ელექტრომაგნიტური ტალღები მოძრაობს სინათლის სიჩქარით და ელექტრობა შესაძლებელია გადატანილი იქნას ამ ტალღების მიერ[2].

ჩნდება კითხვა - რა კავშირშია ყოველივე ზემოთქმული უსადენო ქსელებთან. ქსელში მონაცემები გადაიცემა ეზერნეტის სადენის საშუალებით ელექტრონული სიგნალის სახით, ხოლო ჰერცის აღმოჩნა საშუალებას იძლევა საპარო გზების მეშვეობით განხორციელდეს იგივე მონაცემების გადაცემა როგორც ელექტროსიგნალის. საბოლოოდ ყოველივე ამის გადაწყვეტა ხორციელდება რადიოტალღების მეშვეობით.

უსადენო ქსელების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მომხმარებლისთვის ქსელთან წვდომის მოქნილი სისტემის შექმნა და ასევე ისეთ გარემოში მუშაობა სადაც სადენის დამონტაჟება გართულებულია ან არ არსებობს შესაბამისი დონის მოთხოვნა. ამ შემთხვევაში ძალზედ მნიშვნელოვანია თუ რა მექანიზმით მოხდება ფიზიკური სიგნალების დატვირთვა გადასაცემი ინფორმაციით. ამის უზრუნველყოფა ხდება სხვადასხვა მოდულაციის ტექნიკის მეშვეობით. მნიშვნელოვანია აგრეთვე არხთან დაშვების ტექნილოგიები. ქსელურ რესურსებთან დაშვების მექანიზმს კი წარმოადგენს აუტენტიფიკაციის საშუალებები, რომლებითაც იზღუდება არალეგიტიმური მომხმარებლის დაშვება ქსელთან. ეს მექანიზმები ერთობლივად უზრუნველყოფს უსადენო ქსელის სტაბილურ და უსაფრთხო ფუნქციონირებას.


მთავარ მიზანს წარმოადგენს რადიოტალღების მეშვეობით მაქსიმალურად სწრაფად და მაქსიმალურად შორს განხორციელდეს ინფორმაციის გადაცემა, მაგრამ ასეთი ტექნოლოგიის

გამოყენებას თან სდევს ისეთი ფაქტორები როგორიცაა სხვადასხვა რადიოტალღების ურთიერთზემოქმედება და ჩახშობა.

2. ძირითადი ნაწილი

IEEE 802.11უსადენო ქსელების სტანდარტია, რომლის ოპერირებაც ხორციელდება ფედერალური საკომუნიკაციო კომისიის მიერ განსაზღვრული წესების ფარგლებში[3].უნდა აღნიშნოს, რომ ეს სტანდარტი იყენებს არალიცენზირებულ სიხშირეს (ISM). ინფორმაციის გადაცემის პროცესში ხორციელდება გადამტანი სიგნალის დატვირთვა მონაცემებით. ამ პროცედურას მოდულაციის ტექნიკა ეწოდება. უსადენო ქსელების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მომხმარებლისთვის ქსელთან წვდომის მოწილი სისტემის შექმნა და ასევე ისეთ გარემოში მუშაობა, სადაც სადენის დამონტაჟება გართულებულია ან არ არსებობს შესაბამისი დონის მოთხოვნა. ასევე მის მთავარი ამოცანაა მობილურ მომხმარებელზე ორიენტირებული გარემოს შექმნა და, საჭიროების შემთხვევაში, როგორინგის უზრუნველყოფა. უსადენო წვდომის მარშრუტიზატორს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს მაუწყებლობა მის განკარგულებაში არსებული არხებიდნ ერთ-ერთზე, რომელიც მოცემულ სიტუაციაში არ ფარავს სხვა არხს და ამით დაცულია ინფორმაციის დაზიანებისგან.

ნახ. 1-ზემოცემულია არხების დიაპაზონები და მათი განაწილების სქემა, რათა თავიდან არიდებულ იქნას სიგნალის დამახინჯება და ერთ წერტილში რამდენიმე დაფარვის ზონის არსებობის შემთხვევაში მათი ურთირთშეუფერხებელი მუშაობა. აქედან გამომდინარე შესაბამისი სიხშირელი დიაპაზონები უნდა განისაზღვროს წინასწარ ან დადგინდეს თვითონ მოწყობილობის მიერ წინასწარ სივრცის სკანირების შედეგად[2].



ნახ.1. არხების დიაპაზონები და მათი განაწილების სქემა

დღესდღეობით ყველაზე გავრცელებული არალიცენზირებული სიხშირეა 2,4Ghz. ამ სიხშირეზე მაუწყებლობენ 802.11b, 802.11g, 802.11n, ასევე გვაქვს 802.11a სტანდარტი, რომელიც მაუწყებლობისთვის იყენებს 5Ghz სიხშირეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსადენო ქსელებში გამოყენებული მოდულაციის ტექნიკის გარიანტებია: DSSS, OFDM, MIMO[3].


DSSS მოდულაციის ტექნიკის გამოყენების დროს ადგილი აქვს სიგნალის გავრცელებას მის მიერ გამოყენებულ მთლიან სიხშირულ სპექტრზე. მაგალითად, თუ უსადენო წვდომის მარშრუტიზატორი მაუწყებლობისთვის იყენებს 1 არხს, იგი ავრცელებს სიგნალს მთელ არხზე, რომლის სიგანეც არის 22MHz.

იმისათვის რომ განხორციელდეს მონაცემთა კოდირება DSSS-ის მეშვეობით, გამოიყენება მიკროკადრების თანმიმდევრობა. საბოლოოდ კოდირება ეს არის მონაცემთა ერთი ფორმატიდან მეორეში გარდაქმნა. მოდულაციის ეს ტექნიკა მუშაობს ინფორმაციის გადაცემის შედარებით დაბალ სიჩქარეებთან და 11 Mbps სიჩქარით მაუწყებლობის დროს იყენებს CCK მექანიზმს, რომელიც 64 უნიკალური კოდის სიტყვის მეშვეობით წარმოადგენს მონაცემების 6 ბიტს[2].

OFDM არ არის გადაწყვეტილი როგორც სიგნალის გავრცელების სპექტრული ტექნოლოგია. OFDM მოღულაციის ტექნიკის გამოყენებით შესაძლებელიამიღწეულ იქნას ინფორმაციის სწრაფი გადაცემა და გარე ზემოქმედების მიმართ მდგრადობა. OFDM განსაზღვრავს არხების გარკვეულ რაოდენობას მოცემულ სიხშირულ დიაპაზონში, ხოლო შემდგომში არხი რომელზეც ხორციელდება მაუწყებლობა, იყოფა ქვეარხებად. არხის სიგანე შეადგენს 20MHz და იგი იყოფა ქვეგადამტან სიხშირეებად 300 KHz დიაპაზონით. ასეთი მიღვომით ჩვენ ვღებულოთ 52 ქვეგადამტან სიხშირეს თითოეულ არხზე. OFDM წარმოადგენს ორთოგონალურად დაყოფილი სიხშირის მულტიპლექსინგს. ასეთი მოღულაციის ტექნიკა გამოიყენება 802.11a და 802.11g სტანდარტის უსადენო ქსელებში.

MIMO არის ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება ახალი სტანდარტის 802.11n უსადენო ქსელებში. ამ ტექნოლოგიაში რამდენიმე ანტენაა სიგნალების მიღება-გადაცემისთვის. ინფორმაციის გადაცემა წარმოებს რამდენიმე არხის მეშვეობით პარალელურად, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სიჩქარეს. ამ სტანდარტის მიღება-გადაცმის სიჩქარე 300Mbp/s აღწევს.

უსადენო ქსელებში გამოიყენება CSMA/CA ტექნოლოგია (ნახ.2) [1]. ვინაიდან ინფორმაციის გადაცემა წარმოებს უსადენო ქსელის წვდომის წერტილის მეშვეობით და მისი ფუნქციონირება მსგავსია პაბის ფუნქციონირების, უნდა განხორციელდეს კოლიზიების თავიდანაცილება. ამ მიზნით კლიენტის მხრიდან ხდება მოთხოვნის გენერირება ინფორმაციის გადაცემის უფლების მიღებაზე. ამ პროცესში ადგილი აქვს RTS/CTS სიგნალების კომბინაციის გენერირებას. ერთი აღნიშნავს გადაცემაზე უფლების მოთხოვნას, მეორე მინიჭებას[2].



ნახ.2. CSMA/CA - ტექნოლოგია

ზემოთ აღწერილი ტექნოლოგიების მეშვეობით ხორციელდება გარკვეულწილად ქსელთან წვდომის მოქნილობის გაზრდა და გარკვეულწილად დანახარჯების შემცირება.

უსადენო ქსელების აგებისას და მათი გამოყენებისას ძალზედ მნიშვნელოვანია უსაფრთხოების მექანიზმების გამოყენება. უსადენო ქსელებისთვის სამ ძირითად საფრთხეს წარმოადგენება:

- პირები, რომლებიც სკანირების მეშვეობით ცდილობენ დაუცეველი არის აღმოჩენას და შემდგომ მასთან მერთებას;
- კრეკერები, რომლებიც ცდილობენ არაავტორიზებული წვდომის მიღებას;
- თანამშრომლები, რომლებმაც შესაძლოა დაფარვის არის გაზრდის მიზნით განახორციელონ უსადენო ქსელის წერტილის მიერთება კორპორაციის ქსელთან.

ერთ-ერთი გავრცელებული საფრთხეა შუალედური უსადენო წვდომის წერტილის ჩანერგვა. როგორც ცნობილია, სადენის შემთხვევაში ჩვენ ფიზიკურად უნდა მიუვერთდეთ მას, რათა განხორციელდეს ტრაფიკის მოსმენა. უსადენო ქსელებში ამის აუცილებლობა არ არის, ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერ ნოუთბუქს აქვს შესაძლებლობა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაციის შედეგად იფუნქციონიროს როგორც უსადენო ქსელთან წვდომის წერტილში. ამ გზით შესაძლებელია განხორციელდეს ლეგიტიმური მომხმარებლების მიერთება და შემდგომ მათგან სენსიტური ინფორმაციის მოპოვება, ისეთისა, როგორცაა პირადი მონაცემები, პაროლები, კონფიდენციალური ბიზნეს მიმოწერა.

ამ პრობლემების თავიდან აცილების ერთ-ერთი მექანიზმია შეღწევის პრევენციის სისტემის არსებობა და, მაგალითად, საწარმოო ქსელის არსებობის შემთხვევაში დაფარვის ზონის სიხშირული სკანირება არალეგიტიმური უსადენო წვდომის წერტილების აღმოჩენის მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია მონიტორინგის სისტემის მიერ ხორციელდებოდეს უსადენო წვდომის წერტილის აპარატურული დატვირთვის შეფასება. თუ უსადენო წვდომის წერტილი ჩვეულებრივზე მეტადაა დატვირთული, მაშინ შესაძლებელია არაავტორიზიტებული წვდომის მიღების მცდელობის გარაუდი.

ცენტრალიზებული აუტენტიფიკაციის მიზნით შესაძლებელია გამოყენებული იქნას TACACS და RADIUS სერვერები, რომლებიც საშუალებას იძლევა ერთ კონკრეტულ აღვილას მოხდეს მომხმარებელთა აუტენტიფიკაცია და მხოლოდ ამის შეძლევ ქსელის რესურსებთან მათი დაშვება[2]. ამისთვის გამოიყენება EAP პროტოკოლი. სანამ ეს უსაფრთხოების მექანიზმები დამკიდრებდა ადგილს, გამოიყენებოდა ფიზიკური მისამართების დონეზე ფილტრაცია და არნის იდენტიფიკატორის დაფარვა რაც ვერ უზრუნველყოფდა შესაბამის უსაფრთხოებას, თუმცა ეს მექანიზმი დღესაც გამოიყენება როგორც ერთ-ერთიდამატებითი უსაფრთხოების საშუალება.

3. დასკვნა

მოდულაციის ტექნიკა საშუალებას გვაძლევს ეჭვეტურად გამოვიყენოთ რადიო სიხშირე, ინფორმაციის გადაცემის დროს თავიდან ავიცილოთ მონაცემთა დაკარგვა და გავზარდოთ ინფორმაციის გადაცემის სიჩქარე კოდირების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. ამასთანავე აუტენტიფიკაციის მექანიზმიშვნელოვანი საშუალებააქსელურ რესურსებთან დაშვების კონტროლისთვის.

ლიტერატურა:

1. Molish F.(2011). Wireless Communication. Published John Wiley & Sons Ltd. First edition published 2005 Registered office John Wiley & Sons Ltd, The Atrium, Southern Gate, Chichester, West Sussex, PO19 8SQ, United Kingdom.
2. CCNA Wireless Official Exam Certification Guide Person Education (2008). Brandon James Carroll. Published by: Cisco Press 800 East 96th Street Indianapolis, IN 46240 USA.
3. Steve Rackley. (2007). Wireless networking technology from principles to successful implementation. First published Linacre House, Jordan Hill, Oxford OX2 8DP 30 Corporate Drive, Suite 400, Burlington MA 01803.

REVIEW OF USED MODULATION TECHNIC IN WIRELESS NETWORKS AND AUTHENTIFICATION MECHANISMS

Gamdlishvili Giorgi, Adamia Vladimer
Georgian Technical University

Summary

In this article is presented flexible mechanisms of wireless network communication. Based this is possible using radio frequencies as transmission media at the physical layer. Also there is given how radio frequency may carry data and which technologies are used. To this aim in this article is described frequencies ranges and their purpose. There is reviewed modulation technic and presented some of different variance of this technology. There are presented number of wireless standards and their sufficient radio frequencies. Also there is described authentication mechanisms. Based this it is possible to build the efficient wireless network, which is platform of efficient, fast and reliable information exchange.

ОБЗОР ТЕХНИКИ МОДУЛЯЦИЙ В БЕЗПРОВОДНЫХ СЕТЯХ И МЕХАНИЗМОВ АУТЕНТИФИКАЦИЙ

Гамдлишвили Г., Адамия В.
Грузинский Технический Университет

Резюме

Представлены гибкие механизмы коммуникаций в беспроводных сетях, с помощью которых можно использовать радиочастотные волны как несущую частоту. Также описан процесс размещения данных на радиочастоте и какие технологии можно использовать. С этой целью в статье описаны частотные диапазоны и их назначение. Рассматривается техника модуляций и представлены различные варианты этих технологий. Также представлены несколько стандартов беспроводной сети и соответствующие частоты. Рассматриваются методы аутентификаций. Представленные механизмы дают возможность построить эффективную беспроводную сеть, которая является основой для быстрой и надёжной передачи информации.

ლიუბლოვანი გამოთვლების ტექნოლოგიის გამოყენება მარკეტინგში

ომარ გაბუდავა, სიმონ პოჩოვაანი, ნინო გაბუდავა,

გიორგი სებისკვერაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია მაღალტექნოლოგიური მარკეტინგის წარმოდგენისა და ფორმირების მიდგომები, პროდუქციის რეალიზაციისათვის, „ღრუბლოვანი ტექნოლოგიების“ საფუძველზე, IT-ინფრასტრუქტურის შექმნის კოცეფცია სერვისების სახით, მარკეტინგული მიღობა „ღრუბლოვანი“ მომსახურებისთვის. აღწერილია ღრუბლოვანი გამოთვლების ტექნოლოგიის შედარება ტრადიციულ ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან. ღრუბლოვანი ტექნოლოგიები მარკეტინგული საქმიანობისთვის თანამედროვე და მოხერხებულ ინსტრუმენტია. წარმოდგენილია „ღრუბლოვანი“ მომსახურების ოთხი ბაზური მოდელი და „ღრუბლოვანი გამოთვლების“ არქიტექტურა.

საკანონი სიტყვები: მარკეტინგი, „ღრუბლოვანი გამოთვლები“. ინფრასტრუქტურა, IT-სერვისი, არქიტექტურა.

1. შესავალი

„ღრუბლოვანი გამოთვლები“ არის IT-ეკოლუცია. განვითარების თანამედროვე ეტაპზე IT-ბაზრის მთავარი მოვლენა გახდა “ღრუბლოვანი გამოთვლები” (Cloud Computing) –ის განვითარება. იგი არის განაწილებულ მონაცემთა დამუშავების ტექნოლოგია ანუ “ღრუბლოვანი” ტექნოლოგია. “ღრუბლოვანი გამოთვლები” არის არა მარტო ტექნოლოგიური ინოვაცია, არამედ IT-მიმწოდებლებისათვის ახალი ბიზნეს-მოდელების შექმნის მეთოდი. ეს არის ის შემთხვევა, როდესაც ბაზარს თავაზობენ მცირე დანახარჯიან მეთოდს, ბიზნეს-იდეების ხორციელად. ამავე დროს, ხდება კომპანიების ფურადლების მიძყრობა საკუთარი „ღრუბლოვანი გამოთვლების“ პლატფორმების შესაქმნელად. „ღრუბლოვანი ტექნოლოგიებში“, დანართი როგორც სერვისი, არ მოითხოვს არც ძვირადიობულ პროექტებს, არც კაპიტალურ დანახარჯებს, არც ლიცენზიის შეძენას, არც დანახაჯებს ბიზნეს-დანართების მხარდასაჭერად. კორპორაციას აქვს შესაძლებლობა, თვითონ მოსინჯოს შესაძლო ვარიანტები და ამოირჩიოს კორპორაციისათვის შესაძლო ვარიანტი. ამჟამად, მოლგწეობის ვერცერთი სფერო ვერ შეძლებს IT-ტექნოლოგიების გვერდის ავლას, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის მოთხოვნას მმართველობით, მწარმოებლურ, მარკეტინგის და სხვა ფუნქციონალურ დანაყოფებში. ამგვარად, ტრადიციული IT-ტექნოლოგიის წინაშე დგას ამოცანა არა მარტო ინფორმაციის შექრების, შენახვის, დამუშავების და გადაცემის, არამედ ამ პროცესების სრულყოფისა. რაც შესაძლებელია “ღრუბლოვანი ტექნოლოგიების” IT-ინფრასტრუქტურის შექმნით. თანამედროვე პირობებში IT-ინფრასტრუქტურის განვითარების უახლესი აპარატურულ-პროგრამული პრიდუქტების დაწერვის სანაცვლოდ შემთბის კონცეფცია IT-ინფრასტრუქტურის, პროგრამული უზრუნველყოფის და მონაცემთა დამუშავებით გარე ცენტრებიდან.

2. ძირითადი ნაწილი


„ღრუბლოვანი ტექნოლოგიების“ ძირითად ეფექტს, რომლის დახმარებითაც უპირატესობას იძენს მარკეტინგი, წარმოდგენის ის, რომ იგი უზრუნველყოფს უფრო დიდი რაოდენობის იმ ობიექტებთან დამკავას, რომლებითაც სარგებლობენ მომსახუბლები. ეს საშუალებას აძლევს მომსახურებელთა დიდ რაოდენობას, მოძებნონ პოტენციალური კლიენტები, კავშირის არხებისგან დამოუკიდებლად, რომელსაც იყენებს დამკვეთი (ელ. ფოსტა, ტელეფონი, სოციალური მედია და

სხვ.). მარკეტინგული პროცესები წარმოადგენს უფრო ფუნქციონალურს და მოქნილს „ღრუბლოვანი ტექნოლოგიის” გამოყენებით. ასეთი მოქნილობა ახდენს ბიზნესის მდგრადობას. ამიტომაც მარკეტოლოგები მიგრაციას ახდენენ „ღრუბელში”. პირველ რიგში “ღრუბლოვანი ტექნოლოგიები” საშუალებას იძლევა მივიღოთ დაშვება თავის მონაცემებთან ნებისმიერი პლატფორმიდან, რომელიც მიერთებულია ინტერნეტთან. მეორეს მხრივ, უსაფრთხოება არ არის პრობლემა “ღრუბლოვანი გამოთვლებისას”. ფირმებისა და ჰოლდინგების მიერ დამუშავებული და შექმნილია, კლიენტის მონაცემების შენახვისა და უსაფრთხოების ინსტრუქციები.

„ღრუბლოვანი ტექნოლოგიები” ანუ „ღრუბლოვანი გამოთვლები” (Cloud Computing) წარმოადგენს მონაცემთა განაწილებული დაშვებავების ტექნოლოგიის დასახელებას, რომლის დროსაც გამოთვლითი რესურსები და სიმძლავრები მიწოდება მომხმარებელს, როგორც ინტერნეტ-სერვისი. სხვაგვარად, „ღრუბლოვანი გამოთვლები” წარმოადგენს აპარატულ-პროგრამული პროდუქტების და IT-მომსახურების თავმოყრას, რომელიც წარედგინება მომხმარებელს, მოთხოვნის შესაბამისად, IT-სერვისების სახით. „ღრუბლოვანი გამოთვლები” წარმოადგენს ტექნოლოგიურ ევოლუციას, რომელიც რადიკალურად ცვლის ინფორმაციის დაშვებას სიტუაციას არა მარტო საბოლოო მომხმარებლისათვის, არამედ კორპორაციული შემგეთხებისათვის.

„ღრუბელი” არის პროგრამული გამოთვლითი რესურსების და მომხმარებლისათვის მოთხოვნის მიხედვით მომსახურების მიწოდება. „ღრუბელი” შეიცავს სამ სერვისულ მოდელს: პროგრამული უზრუნველყოფა, როგორც მომსახურება; პლატფორმა, როგორც მომსახურება; ინფრასტრუქტურა, როგორც მომსახურება. „ღრუბლოვანი გამოთვლებისას” მონაცემები მუდმივად ინახება ვირტუალურ სერვერზე, რომელიც განთავსებულია „ღრუბელში”, აგრეთვე დროებით ხდება კეშირება კლიენტის კომპიუტერზე, ნოუთბუქზე, მობილურ მოწყობილობებზე.

1-ელ ნახაზზე წარმოდგენილია „ღრუბლოვანი გამოთვლების” არქიტექტურა, საიდანაც ჩანს, რომ „ღრუბლის” საფუძველს წარმოადგენს ინფრასტრუქტურა, როგორც სერვისი (LaaS - Infrastructure as a Service); პლატფორმა, როგორც სერვისი (PaaS - Platform as a Service); პროგრამული უზრუნველყოფა, როგორც სერვისი (SaaS - Software as a Service).




ნახ.1. „ღრუბლოვანი გამოთვლების” არქიტექტურა

ინფრასტრუქტურა, როგორც სერვისი, წარმოადგენს კომპიუტერულ ინფრასტრუქტურას, როგორც მომსახურებას, „ღრუბლოვანი გამოთვლების” კონცეფციის საფუძველზე. ამ დონეზე მომხმარებლები იღებენ ბაზურ გამოთვლით რესურსებს. მაგალითად, დანართების შესაქმნელად იყენებენ თავიანთ ოპერაციულ სისტემებს. ასეთი მიდგომის ერთ-ერთი მაგალითია Amazon Elastic Compute Cloud – კორპორაციებს შეუძლიათ ისარგებლონ ამ ინფრასტრუქტურით. ამ შემთხვევაში ვირტუალურ მანქანებზე აყენებენ Linux-სერვერებს და აუცილებლობის შემთხვევაში ზრდიან

გამოთვლით სიმძლავრეებს. ასეთი მოდელი გულისხმობს მონაცემების უფასოდ შენახვას და წარმოდგენას.

პლატფორმა, როგორც სერვისი არის ინტეგრირებული პლატფორმის წარმოდგენა დამუშავებისათვის, ტესტირებისათვის, ვებ-დანართების, როგორც მომსახურების გაშლისა და მხარდაჭერისათვის. მომხმარებლებს შეუძლიათ დააყენონ თავიანთი დანართები პლატფორმაზე, რომელიც პროვაიდერის მომსახურებაა. მაგალითისათვის შეიძლება განვიხილოთ Google AppsEngine სერვისი, რომელიც საშუალებას აძლევს დამმუშავებლებს შექმნან და დააყენონ დანართები. პროგრამული უზრუნველყოფა, როგორც სერვისი არის მოდელი დანართის შექმნისათვის, რომელიც გულისხმობს დანართის მიწოდებას მომხმარებლისათვის, როგორც მოთხოვნის მიხედვით მომსახურება. ამისათვის „ღრუბლები“ ინახება არა მარტო მონაცემები, არამედ მათთან დაკავშირებული დანართები, მომხმარებელს სამუშაოდ ესაჭიროება მხოლოდ ვებ-ბრაუზერი.

თანამედროვე ეტაპზე რეალიზებულია „ღრუბლოვანი“ სისტემის განშლის ოთხი ტიპი: კერძო, საჯარო, პიბრიდული და კომუნალური (ნახ.2).



ნახ.2 „ღრუბლოვანი“ სისტემის განშლის ოთხი ტიპი
(კერძო, საჯარო, პიბრიდული, კომუნალური)

კერძო „ღრუბელი“ (Private Cloud) – გამოიყენება ერთი ორგანიზაციის სერვისების წარმოდგენისათვის. მას შეუძლია ჩართოს რამდენიმე მომხმარებელი. მაგალითად, ფირმის ქვედანაყოფები, რომელთა კლიენტებიც განლაგებული არიან სხვადასხვა შენობებში. ხშირად მას უწოდებენ შიდაკორპორაციულ მონაცემთა დამუშავების კერძო „ღრუბლოვანი“ ცენტრს.

საჯარო „ღრუბელი“ (Public Cloud) – არის გამოთვლითი ინფრასტრუქტურა, რომელიც დანიშნულია მომხმარებელთა ფართო წრის, ფიზიკური და იურიდიული პირების ჩართვით, თავისუფალი გამოყენებისათვის. საჯარო „ღრუბლით“ შეიძლება გმართოთ (ექსპლუატაცია გაუწიოთ) სახელმწიფო, კომერციულ ორგანიზაციებს. საჯარო „ღრუბელი“ ჩვეულებრივ იმყოფება მისი მფლობელის იურისდიქციაში – მომსახურების მომწოდებელთან. იგი არის „ღრუბლოვანი“ მომსახურების ნაკრები, რომელსაც წარმოადგენს პროვაიდერი.

პიბრიდული „ღრუბელი“ (hybrid Cloud) – არის ორი ან მეტი სხვადასხვა ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურის კომბინაცია (კერძო, კომუნალური ან საჯარო), თითოეული მათგანი დარჩება უნიკალურ ობიექტად.

კომუნალური „ღრუბელი“ (Community Cloud) – არის გამოთვლითი ინფრასტრუქტურის სახე, რომელიც დანიშნულია კონკრეტული მომხმარებლის (კორპორაციის) გამოყენებისათვის,

რომელთაც აქვთ საერთო ამოცანები. კომუნალური „ღრუბლის” მაგალითია პლატფორმა Windows Azure, ვებ-სერვისი Amazon.

„ღრუბლოვანი გამოთვლების” დადებითი მხარეებია: პერსონალური კომპიუტერების გამოთვლითი სიმძლავრეების შემცირება (ძირითადი მოთხოვნაა ინტერნეტზე დაშვება);

საშუალებების ეკონომია (IT-სისტემის მფლობელებისათვის ღირებულების შემცირება 50-75%); ღროვის ეკონომია; პროგრამული უზრუნველყოფის და მონაცემების დაცვის გამოყენება; რესურსების ეფექტური გამოყენების შესაძლებლობა, მომხმარებლებს შორის გადანაწილების ხარჯზე; მანქანური მატარებლების ეკონომია (მონაცემები და პრაგრამები ინახება ინტერნეტში; მონაცემთა დამუშავების მაღალი სიჩქარე. უარყოფითი მხარეებია: მომხმარებელთა მონაცემების შენახვა დამოკიდებულია კომპანიებზე, რომლებიც განაგებენ „ღრუბლოვანი გამოთვლების” სერვისებს; არადამაკმაყოფილებელი უსაფრთხოება; არასამედო ინტერნეტი და ქსელური მომსახურების მაღალი ღირებულება; მომწოდებელზე დამოკიდებულება; თურიდიული უზრუნველყოფის არ არსებობა. მსხვილი „გამოთვლითი ღრუბელი” შედგება ათასობით სერვერისაგან, რომლებიც განთავსებულია მონაცემთა დამუშავების ცენტრებში. ისინი უზრუნველყოფს რესურსებით ათობით ათას დანართებს, რომლებსაც ერთდროულად იყენებს მიღიონიბით მომხმარებელი. თანამედროვე „ღრუბლოვანი ტექნოლოგიები” გამოიყენება ქსელებსა და სერვერების მიერ მოწყობილობებში, ხდება მარკეტინგის რესტრუქტურიზაციის მიზეზი.

3. დასკვნა

„ღრუბლოვანი ტექნოლოგიის” რეალური უპირატესობა ტრადიციულ IT-სთან მიმართებაში არის ეკონომიური ეფექტურობა. საჭირო არ არის დიდი თანხის დახარჯვა მოწყობილობებზე, ინფრასტრუქტურის მოწყობაზე. „ღრუბლოვანი ტექნოლოგიის” სისტემაში მოსახვედრად, აუცილებელია სწრაფქმედ ინტერნეტთან მიერთება. მარკეტინგული მომსახურება „ღრუბლოვანი ტექნოლოგიების” საფუძველზე გულისხმობს, ინფრასტრუქტურის (IaaS) და პროგრამული უზრუნველყოფის (SaaS), როგორც სერვისების გამოყენებას. მარკეტინგული სისტემის მომსახურების ნებისმიერ პერსონალს შეუძლია „ღრუბლოვანი ტექნოლოგიების” რესურსებთან და სერვისებთან დაშვება, ნებისმიერ დროს და ნებისმიერი ადგილიდან, სხვადასხვა მოწყობილობების გამოყენებით (ნოუთბუქები, პლანშეტები, სმარტფონები და სხვ.).

„ღრუბლოვანი გამოთვლების” გამოყენების ანალიზისას, შეიძლება ასეთი დასკვნის გაკეთება, რომ ყველა მარკეტინგული ორგანიზაცია იყენებს „ღრუბლის” მოდელებს და სერვისებს. ასეთი მოდელებისა და სერვისების გამოყენება არ მოითხოვს საკუთარი სერვერების შექმნას და მის მომსახურებას, თავისუფალი არიან ეკონომიური და ორგანიზაციული დანახარჯებიდან. მათ საშუალება აქვთ დააყენონ თავიანთი დანართები პლატფორმაზე, რომლითაც შესაძლებელია პროგანდროს მომსახურების მიღება.

ლიტერატურა:

1. Зверева А.В. (2014). Формирование маркетинга услуг системной интеграции на основе облачных технологий. № 66 Уэкс. <http://www.Ues.ru/index.php?Option=com-flexicontent&view=items&id=2925>
2. Кузькин М. (2011). Особенности разработки в облаках. Открытые системы-2014-№6.<http://www.osp.ru/os/2011/06/13009981>
3. <http://www.Tadviser.ru/index.php> / Статья: Облачные вычисления.

Gabedava Omar, Pochovyan Simon, Gabedava Nino,
Sebisikveradze Giorgi

Georgian Technical University

Summary

The article describes the approach and presentation of the formation of high-tech marketing sales based on cloud technology. The concept of creation of IT infrastructure in the form of IT services marketing approach creation of cloud services. Described comparison of cloud computing technology with traditional information technology, resulting in cloud technologies are modern and convenient tool of marketing activity. There are four basic models for cloud services and cloud computing architecture.

**ИСПОЛЬЗОВАНИЕ ТЕХНОЛОГИИ ОБЛАЧНЫХ ВЫЧИСЛЕНИЙ
В МАРКЕТИНГЕ**

Габедава О.В., Почовян С.М., Габедава Н.О.,
Себисикверадзе Г.Н.

Грузинский Технический Университет

Резюме

Рассмотрены подходы представления и формирования высокотехнологического маркетинга реализации продукции на основании облачных технологий Концепция создания ИТ-инфраструктуры, в виде ИТ- сервисов, маркетинговый подход создания облачного обслуживания. Описано сравнение технологии облачных вычислений с традиционными информационными технологиями, в результате облачные технологии представляют современный и удобный инструмент маркетинговой деятельности. Представлены четыре базовых моделя для облачного обслуживания и архитектура облачных вычислений.

СОВРЕМЕННЫЕ ИТ ОБЕСПЕЧЕНИЯ БЕЗОПАСНОСТИ ИНФОРМАЦИИ В АСУ

Почовян С.М., Габедава О.В.

Грузинский Технический Университет

Резюме

Рассмотрены основные современные информационные технологии обеспечения безопасности информации в автоматизированной информационной системе управления, необходимые для обеспечения эффективного функционирования фирмы. Описаны информационная технология облачных вычислений, системы обнаружения вторжений и система предотвращения вторжений, технология клиент-сервер, основные задачи системы защиты информации для выполнения бизнес-процессов в фирме, а также структура системы автоматизированного управления информационной безопасностью автоматизированной информационной системы управления.

Ключевые слова: АСУ. Информационная система. Защита информации. ИТ. Безопасность.

1. Введение

Для обеспечения эффективности и конкурентоспособности фирмы необходимо обеспечить разработку автоматизированной информационной системы управления, с необходимостью вывода её на уровень современных требований.

Эффективное функционирование фирмы обеспечивается использованием в автоматизированной информационной системы управления современных информационных технологий на основе использования современных методов планирования, контроля и анализа финансово-хозяйственной деятельности, эффективной организации информационного обмена с потребителями информации, с обеспечением защиты информации в коммерческой деятельности фирмы.

2. Основная часть

Для эффективного функционирования фирмы необходимо использовать современные информационные технологии, применять современные методы использования сети Интернет, включая применение концепции облачных вычислений, создания электронных каталогов услуг всех сервисных служб, а также принятия управлеченческих решений, с учётом информации внешней среды. Информационная технология облачных вычислений (Cloud computing) позволяет фирме использовать ресурсы Интернета для создания, хранения, представления, обработки и обмена информации, с представлением множества вычислительных услуг и приложений.

Необходимо обеспечить контроль и защиту информации в коммерческой деятельности фирмы, применять криптографические методы и средства защиты информации, уменьшить риск незаконного вмешательства в процессы функционирования автоматизированной информационной системы управления, разработать совокупность организационных и технических мер защиты информации для системы защиты автоматизированной информационной системы управления, для устранения угроз безопасности информации. При решении основных задач автоматизированной информационной системы управления должна быть обеспечена доступность ко всей используемой и обрабатываемой в системе информации,

а также их целостность и конфиденциальность, с определением неправомерного копированая, исправления и удаления информации, включая угроз нарушения целостности и подделки электронного документа. Для обнаружения неавторизованного доступа в автоматизированную информационную систему управления через сеть Интернет необходимо использовать системы обнаружения вторжений (Intrusion Detection System): хостовые – для отслеживания файлов журналов брандмауэра, веб-сервера и системных журналов, и целостности системных файлов; сетевые – для проверки сетевого трафика на наличие подозрительных шаблонов и обнаружения аномалий. Для компьютерной и сетевой безопасности автоматизированной информационной системы управления необходимо использовать систему предотвращения вторжений (Intrusion Prevention System), в которой система обнаружения вторжений (Intrusion Detection System) связана с брандмауэром, и таким образом система предотвращения вторжений (хостовая, сетевая и распределённая) обнаруживает вторжения и автоматически защищает от них.

Для обеспечения безопасности информации при разработке системы защиты автоматизированной информационной системы управления необходимо учитывать состав, режимы функционирования и функциональные характеристики автоматизированной информационной системы управления, включая программное обеспечение, информационные её взаимосвязи со всеми другими телекоммуникационными сетями и автоматизированными информационными системами управления, с определением объектов защиты, методов управления доступом, типов доступа к информации, правил разграничения доступа, структуры системы защиты автоматизированной информационной системы управления, с определением средств защиты информации.

Должно быть обеспечено оперативное централизованное управление системой защиты информации автоматизированной информационной системы управления, сопровождение функционирования системы защиты, мониторинг за обеспечением уровня защищённости автоматизированной информационной системы управления фирмы, с определением сотрудников фирмы, которые обеспечивают изменения функциональных характеристик автоматизированной информационной системы управления и системы защиты, анализ функционирования системы защиты автоматизированной информационной системы управления, с оперативным устранением недостатков в функционировании системы защиты.

Для защиты коммуникаций автоматизированной информационной системы управления необходимо применить технологию IP-безопасности, которая базируется на протоколе IPSec (IP Security). Данный протокол представляет собой протокол транспортного уровня с защитой данных на основе шифрования, цифровой подписи и алгоритмов кэширования.

Данная технология позволяет осуществлять, при обмене информации между пользователями и компьютерными сетями, защиту информации от перехвата, исправления и копированая [1].

Структура системы автоматизированного управления информационной безопасностью автоматизированной информационной системы управления должна иметь трёхуровневую архитектуру (рис.1).

На первом уровне (уровень сбора информации) происходит сбор, первичная обработка и передача на второй уровень собранной информации по событиям информационной безопасности, а также интеграция с системой физической защиты информации. Средствами SIEM-систем (Security Information and Event Management), либо набором специализированных коннекторов, обеспечивающих сбор необходимой информации, осуществляется сбор информации от систем и средств обеспечения информационной безопасности, системного и специального прикладного программного обеспечения автоматизированной информационной

системы управления, сетевого оборудования, серверов, межсетевых экранов и средств антивирусной защиты.




Рис.1. Структура АСУ информационной безопасностью

На втором уровне (уровень обработки информации) осуществляется сбор, анализ и корреляция событий, поступающих от первого уровня. Средствами SIEM-систем (Security Information and Event Management) осуществляется проверка собранной информации на соответствие политике управления инцидентами, обработка и корреляция информации, с выделением из множества событий информационной безопасности информации по инцидентам, а также передача полученной информации на третий уровень. На третьем уровне (уровне управления) осуществляется автоматизация процесса управления информационной безопасностью автоматизированной информационной системы управления, и таким образом, данный уровень представляет собой адаптивный интерфейс, который в режиме реального времени управляет инцидентами информационной безопасности, проводит анализ состояния системы защиты, выдаёт отчётную информацию по состоянию информационной безопасности автоматизированной информационной системы управления фирмы.

Разработанная система защиты автоматизированной информационной системы управления обеспечивает управление доступом пользователей к информационным распределённым базам данных и программам, контроль и анализ защищённости информации и угроз безопасности информации и рисков, обнаружение вторжений, антивирусную защиту, контроль Интернет и почтового трафика, криптографическую защиту информации, целостность и защиту автоматизированной информационной системы управления, включая информационное и программное обеспечения, машинные носители [2]. Таким образом обеспечивается безопасность информации в автоматизированной информационной системе управления, то есть обеспечивается защита от внутренних и внешних угроз.

Процессный подход к разработке новой системы управления обеспечит автоматизацию технологий выполнения бизнес-процессов в фирме. На процедурном уровне фиксируются решения по документообороту, учёту, организации управления, планированию и прогнозированию. С повышением требований к безопасности информации и для уменьшения нагрузки на компьютерную сеть используется современная технология клиент-сервер, которая базируется на реляционных серверах баз данных с передачей по сети лишь изменённой информации. Сотрудники фирмы получают возможность работать с системой на локальных таблицах с привычным для них интерфейсом и получать необходимую информацию от других пользователей по компьютерной сети. Данная технология

обеспечивает равномерное распределение нагрузки на серверные и клиентские узлы и защиту информационных баз данных от несанкционированного доступа на уровне сервера [1,2].

3. Заключение

Современные информационные технологии обеспечивают эффективность и конкурентоспособность фирмы. Процессный подход позволяет автоматизировать технологии выполнения бизнес-процессов и сократить количество уровней принятия решения в фирме. Для обеспечения безопасности информации необходимо учитывать состав, режимы функционирования и функциональные характеристики автоматизированной информационной системы управления. На основе разработанной системы защиты автоматизированной информационной системы управления обеспечивается доступность ко всей используемой и обрабатываемой информации, с обеспечением их целостности и конфиденциальности.

Литература:

1. С.М. Почоян, Г.Р. Майсурадзе. (2009). Проектирование баз данных. სტუ, საგ.სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი
2. გაბედავა ო., პოჩოვანი ს. (2012) სერვერული ტექნოლოგიები. სტუ, საგ.სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი.

INFORMATION SECURITY MODERN IT FOR AUTOMATED MANAGEMENT INFORMATION SYSTEMS

Pochovyan Simon, Gabedava Omar

Georgian Technology University

Summary

The basic modern information technology security information in an automated information management system required for the effective functioning of the company. Describes information technology cloud computing, intrusion detection systems and intrusion prevention system, client-server technology, the main task of protecting information for the execution of business processes in the company, as well as the structure of the automated control system of information security of automated information management system.

ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამდებობები ტექნოლოგიები გართვის ავტომატიზებულ სისტემებში

სიმონ პოჩოვანი, ომარ გაბედავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია მართვის ავტომატიზებულ სისტემებში ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამდებოვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, აუცილებელი ფირმის ეფექტური ფუნქციონირებისათვის. აღწერილია ღრუბლოვანი გამოთვლების ინფორმაციული ტექნოლოგია, „შეჭრის“ აღმოჩენის სისტემები და მათი აღკვეთის სისტემა, კლიენტ-სერვერული ტექნოლოგია, ფირმაში ბიზნეს-პროცესების შესრულებისათვის ინფორმაციის დაცვის სისტემის ძირითადი ამოცანები, აგრეთვე, მართვის ავტომატიზებული სისტემის ინფორმაციული უსაფრთხოების, მართვის ავტომატიზებული სისტემის სტრუქტურა.

სამედიცინო ინჟინერიაში აპარატურული მოწყობილობების უსაფრთხოების ღონის მაჩვენებლის ამაღლების კლასიფიკაცია

ლილი პეტრიაშვილი, ნათა გოგილიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

სამედიცინო მოწყობილობები ასრულებს მნიშვნელოვან როლს პაციენტისათვის მაღალი დონის სამედიცინო სამსახურის მიწოდებაში. თუმცა ბოლო დროის ტექნოლოგიურმა პროგრესმა მოგვცა ბევრად უფრო სანდო და უსაფრთხო სამედიცინო მოწყობილობები, სადაც არ შეიძლება უგულებელყოფილი იქნას პოტენციური გაუმართაობის რისკი და მასთან დაკავშირებული გვერდითი მოვლენების შესაძლებლობა. სამედიცინო მოწყობილობების პროგრამული ანალიზი ხელს უწყობს მოწყობილობების უსაფრთხო ფუნქციონირებას, რათა თავიდან იქნას აცილებული ინციდენტები, რომელთაც შეიძლება მოჰყვეს ადამიანის სხეულის დაზიანება ან გარდაცვალება.

საკვანძო სიტყვები: სამედიცინო მოწყობილობა. გვერდითი მოვლენა. პროგრამული დისფუნქცია. FDA Medical Devices. Adverse events. Software failures.

1. შესავალი

ბოლო ორმოცდათი წლის განმავლობაში, ბიოსამედიცინო ტექნოლოგიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე ჯანდაცვის პროგრესში. სამედიცინო მოწყობილობები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს ჯანდაცვის ეფექტურ უზრუნველყოფაში. ინოვაციური სამედიცინო ტექნოლოგიები, რომლებიც გვაწვდის ახალ პრევენციულ, დიაგნოსტიკურ და სამკურნალო მოდალობას, უწყვეტად შემოდის ბაზარზე. თუმცა ბოლო დროის ტექნოლოგიურმა წინსვლაშ უზრუნველყო უფრო მეტად საიმედო და უსაფრთხო სამედიცინო მოწყობილობები, ამასთან არ შეიძლება უგულებელყოფილი იქნას მოწყობილობების გაუმართავი მუშაობის და მასთან დაკავშირებული გვერდითი მოვლენების პოტენციური საშიშროებები. დღესდღეობით სამედიცინო მოწყობილობების რიცხვი სწრაფად იზრდება, რაც ამ დროისთვის ასიათასობით განსხვავებული სახით არის მსოფლიო ბაზარზე წარმოდგენილი. ინფორმატიკის გავლენა ჯანდაცვის სექტორზე ასევე გიგანტური მასშტაბებით გაიზარდა ბოლო ოცი წლის განმავლობაში. კომპიუტერული ტექნოლოგიების ევოლუცია პროგრამული უზრუნველყოფის წინსვლასთან ერთობლივად უზრუნველყოფს ამ სფეროში პროგრესის მაღალ მაჩვენებლებს. დღესდღეობით, პროგრამული უზრუნველყოფა ინტეგრირებულია ან მრავალფეროვან სამედიცინო მოწყობილობებში, რომელთაც დამშარე ფუნქცია აქვთ, ან დამოუკიდებელ სამედიცინო მოწყობილობაში. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას მათი უსაფრთხო და საიმედო მუშაობა და მათი გამოყენებისას პაციენტებზე მაქსიმალური ეფექტების მიაღწევად შესაძლებელი გახდეს მინიმალურ რისკთან ერთად, აუცილებელია სათანადო ყურადღება დაეთმოს პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების ხარისხიანი პროექტირების საქმეს.

პროგრამული უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად განსხვავდება აპარატული უზრუნველყოფისაგან სხვადასხვა პარამეტრებით. ძალიან იოლია პროგრამის მოდიფიცირება და განახლება ძირეული კონტროლის გარეშე, და ასევე ასლების წარმოება შეიძლება განხორციელდეს ზედამხედველობის გარეშე. ამის შედეგად მნელდება კონტროლზე თვალის მიღევნება. ამას გარდა,

მისი საქმაო სირთულის გამო, ზოგადად თითქმის შეუძლებელია პროგრამული უზრუნველყოფის სრული შემოწმება და კონტროლი ხარისხზე და უსაფრთხოებაზე [1]. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ნაჩვენებია პროგრამული უზრუნველყოფით გამოწვეული სამედიცინო მოწყობილობების გაუმართავი მუშაობის ტენდენცია, რაც მიუთითებს ამ მოწყობილობებში პროგრამული უზრუნველყოფის მზარდ მნიშვნელობაზე. მომხდარია ფატალური შემთხვევები, რომლებიც გამოწვეულია პროგრამული უზრუნველყოფის შეცდომებით, რამაც გამოიწვია პაციენტის სისხლის ჯგუფის არასწორი იღენტიფიკაცია, ან არასწორი ელექტრონული რეცეპტი და ა.შ. [2].

მოცემული ნაშრომის მიზანია წარმოადგინოს უახლესი ინფორმაცია ავტომატიზებულად მართვადი სამედიცინო მოწყობილობების შესახებ, რომელთა გაუმართაობა გამოწვეულია პროგრამული უზრუნველყოფის ხარვეზებით. კერძოდ, დასახული მიზნებია:

- მოპოვებული მონაცემების საფუძველზე გამოვლენილ იქნას პროგრამული ხარვეზით მიღებული არაზუსტი შედეგები;
- მოხდეს მონაცემთა ანალიზი სხვადასხვა მეთოდის და კლასიფიკაციის სქემების გამოყენებით;
- შედეგები წარმოდგენილი იქნას ამომწურავად და ეფექტურად;
- გაქოთდეს სათანადო დასკვნები და იღენტიფიცირებული იქნას მომავლის ტენდენციები.

2. ძირითადი ნაწილი

თანამედროვე სამედიცინო მოწყობილობების უმეტესი ნაწილი აღჭურვილია პროგრამული უზრუნველყოფით, რაც აქტიურად გამოიყენება დიაგნოსტიკისა და პრევენციის სფეროში. დღით - დღე იზრდება მოთხოვნა სამედიცინო აპარატურული მოწყობილობის პროგრამულად ფუნქციონირებაზე, რაც სამწუხაოდ ზრდის უსაფრთხოების რისკის ფაქტორებს. შეიძლება ითქვას ყოველი ათი სამედიცინო მოწყობილობიდან, რომელსაც ახლავს პროგრამული უზრუნველყოფა, ოთხი არასწორად ფუნქციონირებს პროგრამული უზრუნველყოფის პრობლემების გამო. ხშირ შემთხვევაში ასეთი მოწყობილობებია: კომპიუტერული ტომოგრაფიის სკანერი, მაგნიტური რეზონანსის სამიჯო სისტემა, სისხლის ჯგუფის შესამოწმებელი აპარატი და ა.შ.

სამედიცინო მოწყობილობების კლასიფიკაცია მათი გაუმართაობის მიზეზების მიხედვით. სამედიცინო მოწყობილობების გაუმართაობა დავყავით ოთხ ძირითად კატეგორიად, სადაც კლასიფიკაციის კრიტერიუმად არჩეულია თუ რა იყო ძირითადი მიზეზი აღნიშნული სამედიცინო მოწყობილობის მუშაობის ხარვეზისა. სამედიცინო მოწყობილობების ხარვეზი დაჯგუფებულ იქნა შემდეგ ოთხ კატეგორიად:

- აპარატული უზრუნველყოფის გაუმართაობა MD- (Medical Devices)
- პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობა – (MDSW)
- მომხმარებლის ინტერფეისის პრობლემები (IP)
- სხვა მიზეზები
 - აპარატული უზრუნველყოფის გაუმართაობაში იგულისხმება გაუმართაობა მექანიკურ კომპონენტებში, ელექტრომექანიკურ კომპონენტებში, ან სამედიცინო მოწყობილობის სისტემის ელექტრონული წრედის გაუმართაობა. აპარატული ნაწილის გაუმართაობის აღმოფხვრა გულისხმობს დეფექტური ნაწილის გამოცვლას.

- პროგრამული გაუმართაობა არის პროგრამის ან სისტემის შეცდომა, რაც იძლევა არასწორ ან მოულოდნელ შედეგს, ან იწვევს მის გაუთვალისწინებელ ქმედებას. შეცდომათა უმეტესი ნაწილი განპირობებულია ადამიანების შეცდომებით (პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერებით) ან უშუალოდ პროგრამის კოდში, ან მის დიზაინში, და შეცდომების ბევრად უფრო მცირე ნაწილი გამოწვეულია კომპილერების შეცდომებით, რომლებიც კოდს არასწორად თარგმნიან.

- მომხმარებლის ინტერფეისის გაუმართაობად ითვლება ნებისმიერი პრობლემა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ინტერფეისთან, ოპერაციის შესასრულებელ საკონტროლო ინსტრუმენტებთან, და მომხმარებელსა და სამედიცინო მოწყობილობას შორის კომუნიკაციასთან.


- მეოთხე კატეგორია, რომელშიც შედის დანარჩენი შემთხვევები, მოიცავს ნებისმიერ სამედიცინო მოწყობილობის ხარვეზს, რომელიც არ შედის ზემოთ აღნიშნულ სამ კატეგორიაში.

პროცენტული თანაფარდობა პროგრამული უზრუნველყოფით მომუშავე სამედიცინო აპარატურის უკან გაწვევისა, სადაც ხარვეზის მიზეზი პროგრამული უზრუნველყოფა იყო, იმ უკან გაწვეული შემთხვევების რაოდენობასთან, რომელიც ეხებოდა პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილ სამედიცინო აპარატურას, მოცემულია ანალიტიკურად ყოველი წლისთვის, რომელიც მიღებულია საქართველოში არსებულ რამდენიმე სამედიცინო კლინიკის ბაზაზე. ეს მონაცემები ასახავს პროგრამული უზრუნველყოფის როლს სამედიცინო მოწყობილობების ავარიულ მუშაობაში. ეს მაჩვენებლები იცვლება 20%-დან და სცილდება 50%-იან ნიშნულს მთელი საანგარიშო პერიოდისთვის, ანუ 2009-2015 წლების შეალებისთვის 39,8%-იანი საშუალო მაჩვენებლით.

პროცენტული თანაფარდობა პროგრამული უზრუნველყოფით მომუშავე სამედიცინო აპარატურის უკან გამოწვევისა, სადაც ხარვეზის მიზეზი პროგრამული უზრუნველყოფა იყო, სამედიცინო მოწყობილობების უკან გამოწვევის მთლიან რაოდენობასთან მოცემულია ანალიტიკურად ყოველი წლისთვის. შესაბამისი მაჩვენებლები ცვალებადობს 10%-დან საანგარიშო პერიოდის დასაწყისში, 30%-ზე მაღლა პერიოდის დასასრულისთვის, 18,3%-იანი საშუალო მნიშვნელობით, რაც მიუთითებს პროგრამული უზრუნველყოფის ხარვეზის ხელშესახებ როლზე სამედიცინო მოწყობილობების არაეფექტურ მუშაობაში.

1-ელ ნახაზზე წარმოდგენილია მოწყობილობათა უკან გამოხმობის პროცენტული ნაწილები მთლიანად სამედიცინო მოწყობილობებითვის, იმ მოწყობილობებისთვის, რომელთაც ახლავს პროგრამული უზრუნველყოფა, და იმ მოწყობილობებისთვის, რომელთაც ახლავს პროგრამული უზრუნველყოფა და რომლის არასათანადო მუშაობა გამოწვეულია პროგრამული უზრუნველყოფის ხარვეზებით შესასწავილი 2009 – 2015 წლების პერიოდის თითოეული წლისთვის.

ანალიზის შედეგები აჩვენებს, რომ სამედიცინო მოწყობილობების უკან გაწვევის თითქმის ნახევარი განპირობებულია აპარატული ანუ ფიზიკური სახის გაუმართაობით. პროცენტულად მთლიანი უკან გაწვევების 45,7% გამოწვეულია აპარატული უზრუნველყოფის დეფექტებით, 39,9% პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით, 9% წარმოადგენს მომხმარებლის ინტერფეისის პრობლემებს, და დარჩენილი 5,4% იმ შემთხვევებს მიუთითებს, რომლებიც წინა სამ კატეგორიაში არ შედის.



ნახ.1.

წინა გამოკვლევებთან შედარება აჩვენებს, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით გამოწვეული უკან გაწვევების რაოდენობა. ბოლო წლებში პროგრამული უზრუნველყოფის არასწორი მუშაობით გამოწვეული სამედიცინო მოწყობილობების უკან გამოწვევების რიცხვის ზრდა. ეს არის იმის უშუალო შედეგი, რომ უფრო მეტი სამედიცინო მოწყობილობა გამოდის, რომელსაც მართავს კომპიუტერული პროგრამა.

უკან გამოწვევების მზარდი წილი იმ სამედიცინო მოწყობილობებისა, რომელთაც ახლავს პროგრამული უზრუნველყოფა მიუთითებს იმაზე, რომ უფრო და უფრო მზარდი მასშტაბებით ხდება პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი სამედიცინო მოწყობილობების წარმოება. დღესდღეობით ზოგადად პროგრამული უზრუნველყოფა ახლავს უმარტივეს სამედიცინო მოწყობილობას, რომ არაფერი ვთქვათ მაღალტექნიკურ სამედიცინო მოწყობილობებზე. უკან გამოხმობილი სამედიცინო მოწყობილობებს თითქმის ნახევარი (46%) იყენებს კომპიუტერულ პროგრამას მისი ფუნქციონირებისათვის. უკან გამოხმობის რიცხვის ზრდა იმ მოწყობილობებისათვის, რომლებიც გამოწვეულია პროგრამული უზრუნველყოფის დისფუნქციით, არის პირდაპირი შედეგი იმისა, რომ იზრდება სამედიცინო მოწყობილობების წილი ჩაშენებული პროგრამული უზრუნველყოფით. მთელი შესწავლილი პერიოდის განმავლობაში, პროცენტული ნაწილი სამედიცინო მოწყობილობების უკან გაწვევისა, როდესაც მოწყობილობებს ახლავდათ პროგრამული უზრუნველყოფა და გაუმართაობა გამოწვეული იყო პროგრამული უზრუნველყოფის დეველებით, უკან გამოწვევათა იმ შემთხვევებთან შედარებით, სადაც მოწყობილობები აღჭურვილია პროგრამული უზრუნველყოფით, აღწევდა თითქმის 40%-ს საშუალოდ. ეს ნიშნავს, რომ ყოველი ხუთი სამედიცინო მოწყობილობიდან, რომელთაც ახლდა პროგრამული უზრუნველყოფა, ორს ჰქონდა პრობლემები პროგრამის გაუმართაობის გამო.

რაც შეეხება გაუმართაობის მიზეზებს, 2009-2015 წლების შედეგები გვაჩვენებს, რომ თითქმის ნახევარი სამედიცინო მოწყობილობებისა უკან იქნა გამოწვეული აპარატული

პრობლემების გამო. პროცენტულად უკან გამოწვევათა 45,7% გამოწვეული იყო აპარატული პრობლემებით, 39,9% - პროგრამული უზრუნველყოფის პრობლემებით, 9% - მომხმარებლის ინტერფეისის პრობლემებით, და დარჩენილი 5,4% - სხვა მიზეზებით გამოწვეული პრობლემებით.

3. დასკვნა

ნაშრომში წარმოდგენილია სამედიცინო მოწყობილობების მუშაობის ხარვეზის წარმოქმნის მიზეზები, რაც კლასიფიცირებულია ოთხ ეტაპად. ნალიზის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ აპარატურის ხარვეზი უმეტეს შემთხვევაში გამოწვეულია პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართავი მუშაობით. შედეგებმა აჩვენა, რომ უკან გამოწვეული სამედიცინო მოწყობილობების თითქმის ნახევარი იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას, რაც მიუთითებს მათ მზარდ როლზე სამედიცინო მოწყობილობების სფეროში. მოუხედავად ამისა, ეს იწვევს პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით გამოწვეული სამედიცინო მოწყობილობების უკან გამოწვევის რიცხვის ზრდას.

კვლევები აჩვენებს რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა პროგრამული უზრუნველყოფა მართული მოწყობილობების ხარვეზები. ეს ზრდა პირდაპირ კავშირშია იმ ფაქტთან, რომ გაზრდილია იმ სამედიცინო მოწყობილობათა რიცხვი, რომლებიც იყენებს ჩაშენებულ სისტემებს. გამოკვეთილია ტენდენციები და საკითხები, რაზედაც ყურადღება უნდა იქნეს, გამახვილებული რათა მიღწეული იქნას ბიოსამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენების უსაფრთხოების დონის ამაღლება.

ლიტერატურა:

1. Bliznakov Z., Pappous G., Pallikarakis N. (2002). Development of a Biomedical Technology Management System. 3-rd European Symposium on Biomedical Engineering and Medical Physics, In Proceedings, Patras, Greece
2. U.S. Food and Drug Administration Enforcement Reports. <http://www.fda.gov/opacom/Enforce.html>
3. UMDNS at http://www.ecri.org/Products_and_Services/Products_DNS/Default.aspx
4. IEEE Transactions LaTeX and Microsoft Word Style Files, Available: <http://www.ieee.org/web/publications/authors/transjnl/index.html>
5. IEC 62304. Medical device software - Software lifecycle processes, (2004).
6. Knuth D. (1973). The Art of Programming. Addison-Wesley
7. IEEE Criteria for Class IE Electric Systems (Standards style). (1969). IEEE Standard 308.
8. Health Plan Watch, Emergency Care Research Institute. (2010). www.ecri.org/.

**HARDWARE SECURITY CLASSIFICATION LEVEL INDICATOR
RAISING IN MEDICAL ENGINEERING**

Petriashvili Lily, Gogilidze Natia

Georgian Technical University

Summary

The paper presents research of existing in the organization different risk type correlation accounting and monitoring processes. Out of main risk types special attention is paid to operational risk. By studying this risk different dependent risk subtypes are identified. The functional model of risk analysis system is described, which introduces new automated tools to measure and monitor correlated risks. The result of incident and correlated risk measurement provides data source for risk realization forecast, which makes possible to use forecasting methods. Usually, this type of analysis in operational risk management models losses using Monte-Carlo method, empirical distribution, Poisson, Weibull, Gamma, negative binomial, and other distributions. This approach makes possible to minimize unexpected events and provides high efficiency in decision making under uncertainty.

**ОБРАБОТКА АНАЛИТИЧЕСКИХ АВТОМАТИЗИРОВАННЫХ ИНСТРУМЕНТОВ
ДЛЯ АНАЛИЗА ПРОЦЕССОВ КОРРЕЛЯЦИОННЫХ РИСКОВ**

Туркия Е., Морози Н.
Грузинский Технический Университет

Резюме

Рассматриваются вопросы исследования процессов мониторинга и учета взаимо-корреляции разных типов рисков, существующих в организации. Акцент сделан на операционный риск, на основании исследования которого выявляются типы разных зависимых рисков. Описана функциональная модель системы анализа рисков, по которой предложены реализованные механизмы автоматизации мониторинга и учета взаимо-корреляционных рисков и инцидентов. Полученные результаты формируют источник данных для анализа рисков, на основе которого возможно использовать методы прогнозирования. Для такого типа анализа, как правило, в операционных рисках применяются моделирование по методу Монте-Карло, распределение Пуассона, эмпирическое распределение, распределение Вейбулла, гамма распределение, негативное биноминальное распределение и т.п. Подобный подход делает возможным уменьшение эффекта неожиданности и обеспечивает высокую эффективность принятия решений при неопределенных условиях.

პროგრამის აპლიკაციის შერჩევისა და პროგრამული განვითარების განვითარების ტექნიკური უნივერსიტეტი

გულნარა ჯანელიძე, ბადრი მეფარიშვილი, თამარ მეფარიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ეს მუნიციპალური წარმატების მიღწევა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტურია ცალკეული თანამშრომელი მის მიერ დაკავებულ პოზიციაზე. თანამდებობაზე დანიშვნისას შეცდომების რაოდენობა საკმაოდ დიდია, ხოლო ცალკეული შეცდომა ძალიან ძვირად უჯდება კომპანიას. პერსონალის შერჩევა საკადრო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტია. სტატიაში წარმოდგენილია კადრების შერჩევისა და კომპეტენტურობის განსაზღვრისადმი თანამედროვე მიდგომა. მოცემულია რეკომენდაციები, რომელიც ხელს შეუწყობს ბიზნესის სტაბილურად ორგანიზებას. გამოკვლეულია ხერხები და მეთოდები, რომელიც გამოიყენება არა მარტო კავლიფიციური კადრების შერჩევის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, არამედ მათი ეფექტურად შეფასებისათვის. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს გამოვლენილ იქნას პერსონალის მიერ კომპანიის წინაშე დასმული ამოცანების გადაწყვეტის უნარი. მსგავსი მიდგომითპერსონალი გამოიმუშავებს სტრატეგიული პრიორიტეტების ახლებურ ხედვას, რომლის შესაბამისად განხორციელდება კომპანიის ევოლუციური გარდაქმნა და არა სტიქიური რეორგანიზაცია.

საკვანძო სიტყვები: პერსონალის შერჩევა. კომპეტენტურობის განსაზღვრა.

1. შესავალი

კომპანიაში სადაც ბიზნესის განვითარების სტრატეგია მჭიდრო კავშირშია თანამშრომლებისა და ლიდერების ზრდასთან, ამავდროულად განვითარება და სწავლება არის ძირითადი რგოლი, საქმე მიღის მნიშვნელოვნად წარმატებულად[1].

თუ გადავხედავთ კომპანიებისათვის დამახასიათებელ ტიპიურ პრობლემებს მივიღებთ ასეთ სურათს: მესაკუთრეები და მმართველი კომპანიები ზშირად უკმაყოფილოები არიან ბიზნესის განვითარების ტემპებითა და მოცულობით, მმართველი გადაწყვეტილების მიღების სისტრაფით, ტოპ-მენეჯერების უინიციატივობით, განათლებული და მაღალკომპეტენტური, გამოცდილი მმართველების ნაკლებობით, მრავალი წინადადების და არსებული პრობლემების იგნორირებით, გასაღებურ საქმეებზე დროის უკმარისობით და სხვა. არის სირთულეები პრიორიტეტების მქაფიოდ წარმოსახვაში, ეფექტურ რეალიზებაში, ბიზნესის განვითარებაში მენეჯერების პირადი როლის განსაზღვრაში. ზშირად სტიქიურია მრავალი მიმდინარე ცვლილება, ხდება მენეჯერების აზრის იგნორირება. არ არის ერთწლიანი ან მეტი რეალური გეგმა, სხვადასხვა რგოლებს შორის მჭიდრო კავშირი. ხდება კადრების გადინება[2].

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად თუ გავანალიზებთ სხვა წარმოქმნილ სირთულეებს გასაგები გახდება, რომ ბიზნესის ოპტიმიზაციის გზები მნიშვნელოვნად დაკავშირებულია პერსონალის შერჩევის საკითხთან. მრავალი ხელმძღვანელი უჩივის განათლებული კადრების ნაკლებობას. ზშირად ისინი სწორად არ ეძებენ კადრებს და ეს არის ძირითადი მიზეზი. ასეთ შემთხვევაში ახალგაზრდა სპეციალისტი და ზოგჯერ გამოცდილიც კი, განწირულია მარცხისათვის. იგი ორმაგად ვარდება რთულ სიტუაციაში: მისთვის არცოუისე გასაგებია რა უნდა გააკეთოს და არ არის ცხადი ვის ჰკითხოს რჩევა. განვიხილოთ ამ საკითხებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ასპექტები.

2. ძირითადი ნაწილი

სირთულის მიზეზებიდან უმთავრესია ეფექტური ინსტრუმენტის და სისტემის არარსებობა. შედეგი ერთია: საშუალებების, ძალისხმევის და დროის გადახარჯვა.

განვიხილოთ ანკეტის მაგალითი, რომელიც გათვალისწინებულია გაყიდვების მენეჯერის თანამდებობაზე ასაყვანად. ანკეტაში შეიძლება იყოს შეკითხვები: შეაფასეთ თქვენი ცოდნა და კომპეტენტურობა ათქველიანი სისტემით (1-ვიცა/ვფლობ ძალის სუსტად; 10 - ვიცა/ვფლობ წარმატებით); პროფესიული და პირადი თვისებები; ცოდნა შემდეგი საფუძვლების: მარკეტინგი (ბაზრის ანალიზი, ასორტიმენტის განსაზღვრა), ფასთა წარმოქმნა, დისტრიბუციის არხები და სქემები, შრომითი კანონმდებლობა და სამოქალაქო კოდექსი, მონაცემთა ბაზებთან და მონაცემთა ანალიზთან მუშაობა, მენეჯმენტი; კომუნიკაციურობა. კანდიდატი თავდაპირველად უნდა გაეცნოს მის მომავალ საქმიანობას, ხოლო შემდეგ შეავსოს ანკეტა. ყოველივე ამის საფუძველზე იგი გაიგებს არის თუ არა მისთვის მიზანშეწონილი მომავალი სამსახურეობრივი მოვალეობები. ანკეტის უპირატესობა არის მისი სიმარტივე, იგი გასაგები უნდა იყოს ფსიქოლოგის, კადრების განყოფილების სპეციალისტის და კანდიდატისათვის ერთდროულად. მნიშვნელოვანია, რომ ყველა საუბრობდეს კომპეტენტურობის აღწერის ერთ ენაზე და ჰქონდეს კრიტერიუმების ერთი სისტემა. რაც უფრო ცხადი იქნება იგი ბიზნესის ყველა მონაწილესათვის, მით უფრო უკეთესია საქმისათვის და მით უფრო დაბალი დოზით იარსებებს მაღალფარდოვან ტესტებს ამოფარებული გადარჩევის ზუსტი პარამეტრების ნაკლებობა.პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ როგორც კი ვიწყებთ კონკრეტულ მოქმედებებსა და ცოდნაში კომპეტენტურობის განსაზღვრას, მრავალი საკითხი კიდევ უფრო ცხადი ხდება.

მენეჯერი უნდა იყოს კომუნიკაციური. მან უნდა იცოდეს როგორ განაწყოს თავი, წარმართოს მოლაპარაკებები, დასვას სწორი შეკითხვები. ასეთი მიდგომისას გასაგები ხდება თუ რა უნდა შეფასდეს და იოლად განისაზღვრება შეფასების სისტემა და პროცედურები.

კადრების შერჩევის ტექნოლოგიაში სასურველია კანდიდატი შეფასდეს თუ რამდენად შეუძლია კონკრეტული მოქმედების შესრულება, ხოლო შემდეგ გამოწმებთ მისი თვითანალიზის ობიექტურობას. ასეთი მიდგომით ჩვენ მივიღეთ მაღალი დონის ინფორმაციას, ხოლო კანდიდატი ზუსტად გაიგებს რისი უნარი აქვს.

ამდენად, ურთიერთობას კადრების შერჩევისას, რომელიც იწყება ინსტრუქციის წაკითხვიდან და ანკეტის შევსებიდან, აქვს სწავლების ხასიათი. თუ კანდიდატი წარმატებით გაივლის გასაუბრებას, შეიძლება წინასწარ განისაზღვროს თუ როგორი მომავალი საქმიანობის და მუშაობის ხარისხის მოლოდინი იქნება კომპანიაში.

ციკლოვრამის შედეგის, სამსახურეობრივი ვალდებულებების დაზუსტების, კადრების შესარჩევი ანკეტის შევსების და პრაქტიკული დავალებების შედეგნის შემდგომი ნაბიჯი არის სტრატეგიის და სპეციალისტის პროფესიული საქმიანობის ტექნოლოგიის შემუშავება. ეს საქმიანობა არის ყველაზე კომპეტენტური თანამშრომლების, რომლებმაც თავიანთ საქმიანობაში დააგროვეს შედეგის მიღწევის უნიკალური სტრატეგია, პროფესიონალური ცოდნის და გამოცდილების კრისტალიზაციის ხერხი.

პრაქტიკულ საქმიანობაში ხშირად ვხვდებით პრობლემას, როცა სპეციალისტები მუშაობენ ერთიდამავე სფეროში, თითქმის ერთნაირ პირობებში, ხოლო მათი შრომის შედეგები შეიძლება არსებითად განსხვავდებოდეს. შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ მათ სხვადასხვა უნარი აქვთ, კერძოდ: ერთი ნიჭიერია, ხოლო მეორე არა. თუმცა საქმე სულ სხვაგვარად არის, განსხვავება ყველაზე ხშირად დაკავშირებულია იმასთან, რომ წარმატებულმა თანამშრომელმა დამოუკიდებლად ან სპეციალური სწავლების პროცესში გამოიმუშავა თავისთვის ეფექტური

მოქმედებების სისტემა ანუ სტრატეგია, რომელიც მიმართულია სტაბილური და ეფექტური შედეგების მიღებაზე[3,4].

საინტერესოა როგორ გამოვავლინოთ თანამშრომლის ინდივიდუალური სტრატეგია და გადავაქციოთ იგი ტექნოლოგიად, რომელიც გარანტირებულ შედეგებს იძლევა და ამავდროულად უზრუნველყოფს ცოდნის და გამოცდილების გადაცემას.

საყურადღებოა, რომ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პროცესიული საქმიანობა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ბიზნეს-პროცესების მართვის სრული ციკლის ცალკეული რგოლი:

- დაგნოსტიკა;
- მიზნის დასმა;
- პრაქტიკული მოქმედებების რეალიზაცია;
- მიმდინარე კონტროლი და კორექცია;
- შედეგების ფიქსაცია;
- შედეგების წარმოდგენა.

თანამედროვე მენეჯერი უნდა იყოს განსწავლული, თუ როგორ უნდა გაუკეთოს ორგანიზება მომავალ საქმიანობას პროცესის ოპტიმიზების მიზნით. ხოლო თვით პროცესი გარდაიქმნას ტექნოლოგიად. მართვის ციკლი წარმოადგენს ნებისმიერი ადამიანური საქმიანობის საფუძველს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ სპეციალისტის ნებისმიერი საქმიანობა ბიზნესში ხორციელდება ციკლის ეტაპების შესაბამისად იმ განსხვავებით, რომ საქმიანობის ათვისებული სახე გარდაიქმნება ავტომატიზებულ პროცესში, რომელიც თითქმის არ მოითხოვს გაცნობიერებულ კონტროლს. უფრო მეტიც ანალიზი და კონტროლი ავტომატიზების გამო გართულებულია.

სისტემური ანალიზის ჩატარების თვალსაზრისით საჭიროა შეიქმნას კითხვარი მართვის ციკლის საფუძველზე, რომელიც შემდგომ გვეხმარება გაანალიზებულ იქნას ყველა მნიშვნელოვანი მოქმედება, რომელიც მიმდინარეობს ავტომატურად და აღიწეროს სტრატეგია.

საქმიანობის პერსონალური ორგანიზების თვალსაზრისით მართვის ციკლი შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნას როგორც ორგანიზაციის ინდივიდუალური თავისებურებების კომპლექსი საქმიანობის შემდეგ ეტაპებზე:

- მიზნის წარდგენა;
- მოტივაცია;
- მიზნის მიღწევის კრიტერიუმები;
- მიზნის რეალიზაციაზე მიმართული ძირითადი ოპერაციები და მოქმედებები;
- მოქმედებების და ოპერაციების მიმღევრობა;
- ოპერაციების შესრულებაზე კონტროლი და შუალედური შედეგების მიღება;
- ოპერაციის სტადიების ან მიზნის წარმოდგენის კორექცია;
- საქმიანობითი პროცესის შეწყვეტის კრიტერიუმები;
- საქმიანობის რეზულტატის ფიქსაციის ფორმები.

თუ ცალკეული ეტაპისათვის შევარჩევთ სპეციფიურ კითხვებს, რომელიც დაგვეხმარება ნებისმიერი პროცესიული საქმიანობის მქონე ორგანიზაციის თავისებურებების შეცნობაში, მაგალითისათვის მივიღებთ შემდეგ ვარიანტს:

- როგორ ფორმულირებას გაუკეთებდით წარმოდგენილი საქმიანობის მიზანს?
- როგორი წარმოგედვინათ საბოლოო შედეგი ჯერ კიდევ რომელიმე მოქმედების განხორციელების დაწყებამდე?
- რა გაძლევდათ წინსვლის მოტივაციას?

- როგორ განსაზღვრავთ ეფექტურობის კრიტერიუმებს? რომელია მთავარი კრიტერიუმები? როგორია მათი პრიორიტეტულობა? არის იქარქია?
- რომელმა მოქმედებებმა მიგიყვანათ შედეგებამდე?
- მნიშვნელოვანია თუ არა მათი მიმდევრობა? რომელი მიმდევრობა არის ოპტიმალური და რატომ?
- რა სირთულები წარმოგეშვებოდათ ხოლმე? როგორ უსწორდებოდით მათ?
- როგორ ხდებოდით რომ საქმე წარმატებით გამოდიოდა?
- მოქმედებები იცვლებოდა მსვლელობის პროცესში? როგორ საზღვრავდით, რომ მომავალში შეცვლიდით თქვენს ქმედებას?
- სად, როგორ და როდის აფიქსირებდით თქვენს შედეგებს? კონკრეტულად რაში გამოიხატება იგი?
- დაქმთხეა შედეგი მიზნის თავდაპირველ წარმოდგენას? სახელდობრ, როგორ?
- როგორ დარწმუნდით მიღწეული შედეგის სამედობაში?

გაკეთებული ანალიზის საფუძველზე განხილული სტრატეგიები განზოგადდება და ფორმდება ტექნოლოგიის სახით, რომელიც გაცილებით მოხერხებულია გადასაცემად. სასურველია ეს გაკეთდეს მენეჯერებისათვის მიღებული ფორმით - ბლოკ-სქემის სახით, ვინაიდან ყველა ნაბიჯი იყოს ხილული, ასევე მომზადდეს ინსტრუქცია, რეკომენდაცია, სქემის გზაძპვლევი. მოხერხებულია სტრატეგიის ფორმალიზება უფრო მარტივი სახის საქმიანობის აღწერით, ხოლო უკვე როდესაც გაჩნდება მსგავსი ანალიზის გამოცდილება, მოხდეს გადასვლა რთულად აღსაქმელი სტრატეგიის აღწერაზე.

თანამშრომლები უნდა მიეჩიონ თავიანთი საქმიანობის გასაღებური სტრატეგიების ახლებურად ხედვას, რაც თვითგანვითარების სტაბილური სისტემის შექმნის საშუალებას იძლევა. ასეთი მიდგომით კომპანია მიიღებს მუდმივ, ეტაპობრივ, ბუნებრივ ეპოლუციურ გარდაქმნას და არა სტიქიურ რეორგანიზაციას, რომელსაც ბევრი გაუგებრობა შეაქვს ადამიანის საქმიანობაში. აუცილებელია სინქრონიზება ერთი მთლიანის გარშემო სინერგიული შედეგის მისაღწევად [3,4].

პერსონალის ატესტაცია რომ არ გადაიქცეს მორიგე ბიუროკრატიად საჭიროა პროცედურების შედეგენაში, მისი დამუშავების ერთიანი მიდგომის განსჯის შემდგომ, ჩაერთოს მთელი კოლექტივი. მნიშვნელოვანია მოლაპარაკება იმის თაობაზე ატესტაცია თუ როგორ გაუკეთებს სტიმულირებას თანამშრომლების ინიციატივობას. იგი უნდა გამოიდიოდეს „მოგება-მოგება“ მოდელიდან კომპანიისა და მისი სპეციალისტებისათვის. ბიზნესის სფეროში მიღებული გამოცდილება გვჩვენებს, რომ თვით ხელმძღვანელები თავისი აზროვნებით და მოქმედებებით ქმნას განსაზღვრულ ატმოსფეროს თავიანთ გარშემო. ირგვლივ მყოფი თანამშრომლები მათი პროფესიონალიზმის და მენეჯმენტის უნარის მთავარი მაჩვენებელია.

3. დასკვნა

დასასრულს, უნდა აღინიშნოს, რომ თანამშრომლები ხშირად განიცდიან ხელმძღვანელობის მხრიდან ადამიანური ყურადღების იგნორირების პრობლემებს, არის მოტივაციის ნაკლებობა, კარიერული ზრდის პერსპექტივების არარსებობა. ცხადია, რომ ყველაზე მარტივი კომპანიაც კი, რაც უნდა სუპერთანამედროვე მოწყობილობებით აღვჭურვოთ, ვერ განვითარდება თუ მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგია არ იქნება კვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა და შენარჩუნება.

ლიტერატურა:

1. ჯანელიძე გ. (2013). კომპანიაში ცოდნის მართვა. სტუ-ს შრ. კრებ., „მართვის აგტომატიზებული სისტემები“. №2(15), გვ. 55-58

2. Ульрих Д. (2006). Эффективное управление персоналом: новая роль HR-менеджера в организации = Human Resource Champions: The Next Agenda for Adding Value and Delivering Results. -М.: „Вильямс”
3. Морнель П. (2005). Технология эффективного найма.
4. Иванова С. (2014). Поиск и оценка линейного персонала: Повышение эффективности и снижение затрат. -М.: Альпина Паблишер.

TECHNOLOGY OF STAFF RECRUITMENT AND DETERMINATION OF COMPETENCE IN THE COMPANY

Janelidze Gulnara, Meparishvili Badri, Meparishvili Tamar

Georgian Technical University

Summary

Success of the company is significantly depended on the fact, how efficient is every worker in his/her own position. When number of errors is large in the appointment process and the company has to pay too dear for every mistake, recruitment is an important element of personnel policy. The article resents a modern approach of personnel recruitment and determination of their competence. There is given some recommendations, which will help the business for stable organizing. Here are studied the techniques and methods, that are used in the company not only for satisfying the demand of selection of qualified personnel, but also for evaluating them effectively. All of it will promote to detect the problem-solving skill of the personnel in the company. With this approach, the staff will develop a new vision of strategic priorities, which will cause evolutionary transformation of the company and not a spontaneous reorganization.

ТЕХНОЛОГИЯ ПОДБОРА ПЕРСОНАЛА И ОПРЕДЕЛЕНИИ КОМПЕТЕНТНОСТИ В КОМПАНИИ

Джанелидзе Г., Мепаришвили Б.,

Мепаришвили Т.

Грузинский Технический Университет

Резюме

Успех деятельности компании в значительной степени зависит от эффективной работы каждого сотрудника. При назначениях на должности количество ошибок достаточно велико, а каждая такая ошибка очень дорого обходится компании. Подбор персонала - важный элемент кадровой политики. В статье представлен современный подход к подбору кадров и определении их компетентности. Даны рекомендации, которые будут поддерживать стабильную организацию бизнеса. Исследованы приемы и методы, которые применяются в компании для удовлетворения спроса при подборе квалифицированных кадров, а также для эффективной оценки их способностей выполнить задачи, поставленные перед компанией. Таким образом, персонал выработает новый взгляд на стратегические приоритеты, в следствии которых осуществится эволюционное преобразование компании, а не стихийная реорганизация.

უფლებამოსილების და აასუხისმგებლობის დელეგირების მართვა კომპანიაში

გულნარა ჯანელიძე, ქათევან მეფარიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული უფლებამოსილებების ეფექტურად განაწილებაზე მართვის დონეების მიხედვით. ორგანიზაციის ხელმძღვანელს აქვს ნებისმიერ საკითხში გადაწყვეტილების მიღების უფლება, მაგრამ იგი ხშირად არასაკმარისად კომპეტენტურია ან არა აქვს დრო და ძალა ყველა ამოცანის ეფექტურად გადასაწყვეტად, რაც განსაზღვრავს უფლებამოსილებების დელეგირების საჭიროებას. ნაშრომში წარმოდგენილია უფლებამოსილებების დელეგირების განსხვავებული მოდელები. დამუშავებულია დელეგირების დიაპაზონის მკაფიოდ განსაზღვრის და პასუხისმგებლობების რეგულირების საკითხები. გაანალიზებულია უფლებამოსილებების და პასუხისმგებლობების დელეგირების ჩვეულებრივი და განსაკუთრებული შემთხვევები.

საკვანძო სიტყვები: უფლებამოსილებების დელეგირება. პასუხისმგებლობების დელეგირება.

1. შესავალი

ხელმძღვანელობა გადაწყვეტილოს ასრულებს კომპანიის სტრატეგიულ განვითარებაში. ცალკეულ შემთხვევაში მის მოქმედებას ან უმოქმედობას მივყავართ არა მარტო ფინანსურ დანაკარგებამდე, არამედ მთლიანობაში ნებატიურად აისახება კომპანიის მომავალზე. ეს აიხსნება იმით, რომ მაღალი რგოლის ხელმძღვნელები არ ასრულებენ მათი რანგისთვის შესაფერ სამუშაოს. ძირითადად ეს შეეხება საშუალო და მცირე საწარმოების ხელმძღვანელობას, რომელიც როგორც წესი, თავზე იღებს ფინანსისტების, ბუღალტრების, მარკეტოლოგების, ანალიტიკების, მომმარაგებლების, გამსაღებლების ფუნქციებს. თუმცა ხელმძღვანელის ფუნქცია კომპანიის განვითარების სტრატეგიის და კონკურენტუნარიანობის ზრდის მეთოდების შემუშავება [1].

მართვის ყველა დონეზე არსებობს მოვალეობების წრე, რომელსაც ხელმძღვანელი უნდა ასრულებდეს თვითონ, მაგრამ არის ისეთებიც, რომელთა დელეგირებაც მას შეუძლია ხელქვეითებზე მსგავსიაკითხების განხილვა წარმოადგენს მოცემული სტატიის მიზანს.

2. ძირითადი ნაწილი

კომპანიის ხელმძღვანელი პასუხს ვერ აგებს კომპანიის ჩარჩოებში მიმდინარე ყველა ხდომილებაზე. იგი ახორციელებს უფლებამოსილებების დელეგირებას იერარქიის ქვედა დონეზე შესაბამის ხელმძღვანელზე. ხოლო თვითონ იტოვებს კონტროლის ფუნქციას. ამდენად პასუხისმგებლიბა ქმედებაზე ან უმოქმედობაზე ეკისრება კონკრეტული სამუშაოს შემსრულებელს. არსებობს არადელეგირებადი მოვალეობები ანუ, რომელთაც უნდა ასრულებდეს თვით ხელმძღვანელი, როგორიცაა:

- კომპანიის მისიის შემუშავება;
- მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი მიზნების ფორმულირება;
- კომპანიის სტრატეგიის შემუშავება;

- საწარმოს წარმოებითი და ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრა;
- მარკეტინგის კონცეფციის შემუშავება;
- საფინანსო და საინვესტიციო პოლიტიკის მიმართულებების დამტკიცება;
- საკადრო და სოციალური პოლიტიკის შემუშავება;
- თანამშრომლების უფლებამოსილებების დიაპაზონის განსაზღვრა;
- მმართველი პერსონალის დაქვემდებარების განსაზღვრა;
- კომპანიის სტრუქტურიზაცია;
- დივერსიფიკაციის, აქტივების შექნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

ავტორიტარულ საწარმოშიც შესაძლებელია უფლებამოსილების დელეგირება. იგი ეფუძნება შინაგანაწესის გადაცემას ზემოდან ქვემოთ და ქვემდგომი ორგანოების დაქვემდებარებას ზემდგომ ორგანოებზე. ასეთ მოდელს შეიძლება ვუწოდოთ ტრადიციული. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ხელმძღვანელი და დაქვემდებარებული პირი მოქმედებენ მხოლოდ პირველის მიერ მეორეზე გადაცემული ვალდებულებებით. დელეგირება შეზღუდულია ფორმალური წესებით. უფლებებოსილებები გადაცემა დავალებების შესასრულებლად, მაგრამ დაქვემდებარებულ პირს დამოუკიდებელი ქმედების არჩევის უფლება არ გააჩნია და აქედან გამომდინარე მის ქმედებებზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელს. ამიტომაც მას შეუძლია ჩაერიოს თავისი დაქვემდებარებულის ყველა საქმეში, აკონტროლოს შრომის პროცესი, თავს მოახვიოს თავისი გადაწყვეტილებები. ერთი სიტყვით, ვისზეც არის პასუხისმგებლობა, მასზე არის გადაწყვეტილებების მიღების პრივილეგია[2].

ზემოთ აღწერილი მიდგომისაგან განსხვავებით დელეგირების განსხვავებული მოდელი ეფუძნება არა მხოლოდ უფლებამოსილების, არამედ პასუხისმგებლობის გადაცემას. ასეთ შემთხვევაში შეიქმნება შემოქმედებითი აზროვნების, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების, ინიციატივის განვითარების ყველა პირობა. ხელმძღვანელი უნდა მართავდეს მხოლოდ იმ თანამშრომლებით, რომლებიც იმყოფებიან მართვის იერარქიის უშუალოდ ქვედა საფეხურზე. ეს პროცესი მკაფიოდ განსხვავებულია ავტორიტარულისგან, მხოლოდ ამ შემთხვევაში აღიძვრება მმართველობითი ნორმის პრობლემა, რომელიც წარმოადგენს კვლევის დამოუკიდებელ საგანს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ადამიანი შეიძლება მართავდეს 5-დან 15-მდე დაქვემდებარებულს, რაც დამოკიდებულია მის პიროვნულ თვისებებზე, გამოცდილებასა და პროფესიონალიზმზე.

დელეგირების დიაპაზონი მკაფიოდ უნდა იქნას გამიჯნული. საწარმოში უფლებების და პასუხისმგებლობების გადაცემა ეფუძნება მოქმედებების, დელეგირების და პასუხისმგებლობის დიაპაზონს. აღნიშნული დიაპაზონები მკაფიოდ უნდა იქნას განსაზღვრული, რათა ყველა თანამშრომელმა იცოდეს რა შედის მის მოვალეობებში, რა ამოცანები უნდა გადაწყვიტოს, რა უფლებამოსილებები აქვს და კონკრეტულად რაზე არის პასუხისმგებელი.

ამდენად, საწარმოში ყველა თანამდებობა უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

- თანამდებობის მფლობელის მიზნები;
- მკაფიოდ განსაზღვრული ამოცანების ნუსხა, რომელიც დაკავშირებულია მოცემულ თანამდებობასთან;
- უფლებები, რომელსაც ფლობს თანამშრომელი მოცემულ თანამდებობაზე, დასმული ამოცანების გადასაწყვეტად;
- პასუხისმგებლის, რომელსაც ატარებს თანამშრომელი მისი მიზნების, ამოცანების და უფლებების შესაბამისად.

განვიხილოთ მაგალითი: გაყიდვების მენეჯერი აგროვებს მსმენელებს გაყიდვების აგენტების თანამდებობისათვის მოსამზადებელად. გამოვყოთ მოცემული პროექტის ცალკეული კომპონენტი:

მიზანი: მსმენელების შეგროვება.

ამოცანა: უნდა შეგროვდეს დაახლოებით მინიმუმ 10 მსმენელი, რომელთაც აქვთ შესაბამისი განათლება და გამოცდილება.

უფლებები დამოუკიდებელი ქმედებების შესასრულებლად: მსმენელებთან მოლაპარაგებების წარმოება, სწავლებაზე ხელშეკრულებების მომზადება. მეცადინეობების ცხრილის შედგენა და შეთანხმება.

პასუხისმგებლობა: სწავლების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ჯგუფის შეკრება და ინფორმირება. ხელმძღვანელისათვის ინფორმაციის წარდგენა პროექტის რეალიზებისათვის მზადყოფნაზე.

ხელმძღვანელს აქვს პასუხისმგებლობა შეარჩიოს და სწორად გადაანაწილოს თანამდებობებზე კომპეტენტური თანამშრომლები კომპანიის ჩარჩოებში. კომპეტენტურად ჩაითვლება თანამშრომელი, რომელსაც აქვს უნარი, ცოდნა, ჩვევები და კვალიფიკაცია, რომელიც საჭიროა და საკმარისია სამუშაოს წარმატებით შესასრულებლად და დასმული ამოცანების გადასაწყვეტად გადაცემული უფლებამოსილების ჩარჩოებში.

დელეგირების დიაპაზონის საზღვრების დადგენა შედის კომპანიის ხელმძღვანელობის ვალდებულებებში. დელეგირების დიაპაზონი უნდა განისაზღვროს უპირველეს ყოვლისა საწარმოს მიზნების, ამოცანების და განვითარების სტრატეგიის გათვალისწინებით[2,3].

ცალკეული თანამდებობისათვის დასახული მიზნების შესაბამისად განისაზღვრება ამოცანები, უფლებამოსილებები და შესაბამისი პასუხისმგებლობები. დელეგირების პროცესი აიგება საქმის ობიექტური მდგომარეობიდან და არა პიროვნებებიდან გამომდინარე. სამწუხარის პერსონალის შერჩევისას ხშირად აღიძერება კომპარომისის საჭიროება ობიექტურ მოთხოვნებსა და თანამშრომლების რეალურ კვალიფიკაციას შორის. კომპანია ყოველთვის არ არის დაკომპლექტებული თანამშრომლებით, რომელთაც დასმული ამოცანის გადაწყვეტის უნარი აქვთ. ამიტომ ხელმძღვანელებმა სისტემატურად უნდა მიაქციონ ყურადღება მათ სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

დელეგირების დიაპაზონის საზღვრების დადგენისას კომპანიის ხელმძღვანელობის წინაშე დგას ამოცანა ცხადად წარმოადგინოს თუ რა კონკრეტული ამოცანები უნდა გადაწყდეს ცალკეულ სამუშაო ადგილზე. აქედან გამომდინარე სერიოზული საკითხია სამუშაო ადგილის აღწერა, რომლის შემადგენლობაში შედის:

- თანამდებობის დასახელება;
- დაქვემდებარებულობის განსაზღვრა;
- ინფორმაციის გადაცემის ხერხები, პირობები;
- ჩანაცვლება, ვინ და რის საფუძველზე ჩანაცვლებს თანამშრომელს მისი არყოფნის შემთხვევაში;
- გალდებულებების კონკრეტული ნუსხა;
- განსაკუთრებული უფლებამოსილებები.

ხელმძღვანელი პასუხისმგებელია თანამშრომლის შეცდომებზე და ხარვეზებზე განსაზღვრულ შემთხვევებში, კონკრეტულად როდესაც:

- დავალება მიეცა არაკომპეტენტურ თანამშრომელს;

- თანამშრომელი არ იყო ინფორმირებული მუშაობის პროცესში მასზე, თუ რა უნდა სცოდნოდა მის წინაშე მდგარი ამოცანის შესასრულებლად;
 - თანამშრომლის წინაშე არ იყო დასმული კონკრეტული მიზნები და ამოცანები, არ იყო განსაზღვრული უფლებამოსილებები;
 - არ მოხდა დაქვემდებარებული თანამშრომლების მუშაობის კოორდინაცია;
 - არ განხორციელდა საჭირო დოზით თანამშრომლის მუშაობის შედეგებზე კონტროლი, როგორც პროფესიონალურ, ასევე მმართველობით საკითხებში;
 - არ გაკეთდა საჭირო დასკვნები თანამშრომლების კონტროლის შედეგებზე დაყრდნობით;
 - კონტროლის შედეგები არ იქნა განსჯილი თანამშრომლებთან;
- ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები მეტყველებს ხელმძღვანელის მოვალეობების შეუსრულებლობაზე.

საშუალო რგოლის ხელმძღვანელს, როგორიცაა მაგალითად ქვედანაყოფის უფროსი, პასუხისმგებლობა აქვს როგორც ხელმძღვანელობაზე, ასევე მოქმედებებზე. კომპანიის ჩარჩოებში რაც უფრო მაღალია ადამიანის პოზიცია, მით უფრო დიდი მასშტაბით აგებს იგი პასუხს მმართველობაზე და მცირე ხარისხით ატარებს პასუხისმგებლობას კონკრეტულ ქმედებებზე. რაც შეეხება მმართველობაში დაბალი საფეხურის თანამშრომლებს, ისინი დიდი ხარისხით პასუხს აგებენ მოქმედებებზე[4].

უფლებამოსილებების და პასუხისმგებლობების დელეგირების განხილვისას უნდა გავარჩიოთ ჩვეულებრივი და განსაკუთრებული შემთხვევები. ისინი მკაფიოდ უნდა გაიმიჯონ ერთმანეთისგან. ჩვეულებრივი შემთხვევები შედის თანამდებობის აღწერაში. იგი უაქტობრივად უფლებების დელეგირების დიაპაზონის შემადგენელია. ჩვეულებრივ შემთხვევებს კომპეტენტური თანამშრომელი დამოუკიდებლად უმკლავდება და ამავლოულად ატარებს შესაბამის პასუხისმგებლობას.

ხელმძღვანელი ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული განსაკუთრებული შემთხვევის ჩარჩოებში, ხოლო თანამშრომელმა კონსულტაცია უნდა გაიაროს მასთან. განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც საწარმოში მიღებულია დიდი მოცულობის შეკვეთა და ამ დროს რამდენიმე შემსრულებელი არ იყოფება ადგილზე ავადმყოფობის გამო. ასეთ შემთხვევაში ქვედანაყოფის უფროსი მიმართავს ხელმძღვანელობას პრობლემის გადაწყვეტისათვის. ხელმძღვანელობა სხვა ქვედანაყოფიდან დროებით მიამაგრებს თანამშრომლების საჭირო რაოდენობას ან ორგანიზებას გაუკეთებს ზეგანაკვეთურ სამუშაოს.

უფლებების და პასუხისმგებლობების დელეგირების კვალდაკვალ არანაკლებ მნიშვნელოვანია შესრულებაზე კონტროლის სისტემის არსებობა. ყველაფერი რაც დელეგირებულია უნდა ექვემდებარებოდეს კონტროლს. თუმცა კონტროლი უნდა იყოს არა ტოტალური, არამედ შერჩევითი და მოქმედებების შედეგებზე ორიენტირებული.

3. დასკვნა

ხელმძღვანელის გასაღებური ამოცანაა არა მხოლოდ მმართველობითი სამუშაოების შესრულება, არამედ ორგანიზაციის ფორმირება და განვითარება ძირითადი მისით რეალიზაციისთვის, დასახული მიზნების მიღწევისთვის. ორგანიზაციის განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულებაა უფლებამოსილებების გადაწყვეტილების ეფექტურობის ამაღლება.

ცხადია, რომ უფლებების და პასუხისმგებლობების დელეგირება დაკავშირებულია ხელმძღვანელის მიმდინარე სამუშაოსაგან განთავისუფლებასთან, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია იგი თანამშრომლებისათვის. მათ ეძლევათ საშუალება დამოუკიდებლად იმოქმედონ, მიზონი გადაწყვეტილება და აქვთ გამომდინარე გამოავლინონ თავიანთი უნარები კომპანიის განვითარების ინტერესებში.

ლიტერატურა:

1. Petrescu I., Konrad C. (2012). Human resources management in the European context. Review of International Comparative Management. p.49-54.
2. Беме Г., Календжян С. (2007). Делегирование полномочий и ответственности: система эффективного управления. – М.: Дело.
3. Календжян С.О. (2013). Трансформация системы делегирования полномочий и ответственности в работе компаний. Всеросс.экономический журнал «ЭКО», № 10. с. 143 – 152.
4. http://www.managementstudyguide.com/delegation_of_authority.htm

MANAGEMENT OF DELEGATION OF POWER AND RESPONSIBILITY IN COMPANY

Janelidze Gulnara, Meparishvili Qetevan
Georgian Technical University

Summary

Competitiveness of the organization is significantly depended on the efficient delegation of power by levels. The leader of the company has the right to make decisions about any issue, but in many cases he/she has not enough competence or time and power in order to make effective decisions, that, in itself, defines the necessity of delegation of power. The given article presents the different models of delegation. Also is reviewed the issues about clearly defining of range of delegation and regulation of responsibility. Is analyzed ordinary and special cases of delegation of power and responsibility.

УПРАВЛЕНИЕ ДЕЛЕГИРОВАНИЕМ ПОЛНОМОЧИЙ И ОТВЕТСТВЕННОСТИ В КОМПАНИИ

Джанелидзе Г., Мепаришвили К.
Грузинский Технический Университет

Резюме

Конкурентоспособность организации в значительной мере зависит от эффективного распределения полномочий по уровням управления. Руководитель организации имеет полномочия для принятия решений по любым вопросам. Однако он не может быть достаточно компетентным или не имеет времени и сил для эффективного решения всех задач. Эти моменты определяют необходимость делегирования полномочий. В статье представлены различные модели делегирования полномочий. Разработаны вопросы четкой разграничении диапазона делегировании и регулирования ответственности. Проанализированы обычные и особые случаи делегирования полномочий и ответственности.

პროგრამა Maple-ს შესაძლებლობები და მისი გამოყენება

გათხმატიპის სფავლების საკითხებზე

მაია ქეგჩიშვილი, ელენე კამპამიძე, ლია გაჩეჩილაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განიხილება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების საკითხები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მათემატიკის გაკეთილებისთვის. დასაბუთებულია, სხვადასხვა დანიშნულების უახლესი კომპიუტერული სისტემებისა და პროგრამული პაკეტების გამოყენების აუცილებლობა მათემატიკის სწავლების სრულყოფის მიზნით. ამ მიმართულებით გამოკვეთილია Mapleსისტემის წამყვანი როლი სასწავლო პროცესში. ნაჩვენებია, რომ ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების შემუშავება და შემდგომ მისი დანერგვა გვაძლევს სწავლების პროცესში ცოდნის ხარისხის თვისობრივად გაზრდის, ინფორმაციის გადაცემის გაფართოებისა და მოსწავლეების ცოდნის კონტროლის შესაძლებლობებს.

საკანძო სიტყვები: ინფორმაციული ტექნოლოგია. მათემატიკა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. ინფორმატიზაცია. თვითგანათლება.

1. შესავალი

უკანასკნელ წლებში საგანმანათლებლო სფეროში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს უახლესი კომპიუტერული სისტემები და პაკეტები, ისეთები, როგორიცაა Maple, Matlab, Matcad, Matematika და სხვა. ამ პროგრამული პროდუქტების გამოყენება მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს განთავისუფლდეს დიდი, რუტინული და მონოტონური, ამავე დროს, ძალიან დამქანცველი მათემატიკური გამოთვლებისაგან და ყურადღება გადაიტანოს უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა მიღებული მათემატიკური შედეგების ანალიზი და მონაცემების დამუშავება. ეს პროგრამული პაკეტები ეფუძნება გამოიყენება არა მარტო მათემატიკაში, არამედ მეცნიერების ნებისმიერ სხვა დარგში, ტექნიკისა და ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში გამოყენებითი ამოცანების გადაწყვეტის პროცესში. ეს ტექნოლოგიები წარმატებით გამოიყენება ასევე სასწავლო სფეროშიც. ჯერ-ჯერობით მათი გამოყენება ხდება მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში, ისიც იშვიათად. გარდა მათემატიკური მოდელირების შესანიშნავი საშუალებებისა, ამ პაკეტებს გააჩნია განსაკუთრებული გრაფიკული შესაძლებლობები, რაც შესრულებული სამუშაოების ფართო ვიზუალიზაციის საშუალებას გვაძლევს [1,2].

2. ძირითადი ნაწილი

გამოთვლითი ტექნიკის ყოველმხრივი გამოყენება საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ სხვადასხვა კომპლექსური, მათზე დაფუძნებული პროგრამული პროდუქტები; ასევე, შეიქმნას ისეთი პროგრამები, რომლებიც გააიოლებენ და უფრო თვალსაჩინოს გახდიან კლასიკური მათემატიკური ამოცანების უფლებური გადაწყვეტის პროცესს. ამავე დროს, წარმოიქმნა ახალი მიმართულება მათემატიკაში, რომელსაც პქვია კომპიუტერული მათემატიკა და რომელიც ორიენტირებულია მანქანური გამოთვლების ახალი ალგორითმული ბაზის შექმნაზე.

კომპიუტერული ალგორითმების სისტემებს შორის ჩვენ განსაკუთრებით მომხიბლავად მიგვიჩნია ისეთი პროგრამული პაკეტები, როგორიცაა Maple, Matlab, Matcad, Matematika და სხვა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მათ შორის მაინც მნიშვნელოვანი აღვილი უკავია კომპიუტერულ პაკეტს Maple-ს, რადგან მას გააჩნია მათემატიკის - როგორც სამცნიერო, ასევე სასწავლო დარგში გამოსაყენებელი ბევრი ქვეპაკეტი და აღჭურვილია მოსახეხებელი პროგრამული ინტერფეისით, რომელიც ძალიან დახლოებულია მათემატიკური ამოცანების ტრადიციულად (ხელით)

შესასრულებელი გარდაქმნების კომპიუტერზე განხორციელებასთან. ამ პაკეტზე მათემატიკური ამოცანის გადაწყვეტა ძალიან ითლია და არ მოითხოვს პროგრამირების ცოდნას და ინფორმატიკაში განსაკუთრებულ უნარ-ჩვევებს.

კომპიუტერული ალგებრის სისტემა Mapleშექმნილ იქნა სიმბოლური გამოთვლების ჯგუფის მიერ (The Symbolic Group), რომლის ორგანიზებაც მოახდინა კეიტ გედსმა (Keith Geddes) და გასტონ გონეტმა (Gaston Gonnet) ჯერ ნაიდევ 1980 წელს კანადის Waterloo-ს უნივერსიტეტში. თავიდან ის რეალიზებული იყო დიდი გამომთვლელი მანქანების ბაზაზე, ხოლო პერსონალური კომპიუტერებისათვის პროგრამა Maple მოგვიანებით განახორცილეს Waterloo Maple Inc ფირმის თანამშრომლებმა.

ეს ფირმა სპეციალურად შეიქმნა Maple კლასის სისტემების რეალიზებისათვის. ამ სისტემის პროგრამული პაკეტების საშუალებით შესაძლებელია ნებისმიერი სირთულის მათემატიკური გამოთვლების ავტომატიზება. ამ და სხვა მრავალი დადგებითი მიზანის გამო, სწორედ ეს სისტემა არის ძალიან პოპულარული, როგორც სამეცნიერო ასევე სასწავლო დარგებში. მას ფართოდ გამოიყენებან მეცნიერ-მუშაკები, ინჟინრები, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, მაგისტრანტები და დოქტორანტები. იმის გამო, რომ ინტერნეტში პროგრამა Maple უფასოა და თანაც ასეთი მძლავრი და მოხერხებული, მას ყავს მსოფლიოში ბევრი მომხმარებელი. პროგრამის ფუნქციონალური პაკეტები მოიცავს ალგებრისა და ანალიზის, გეომეტრისა და დიფერენციალური გეომეტრის, კომბინატორიკისა და ალბათობის თეორიის, კომპიუტერული გრაფიკისა და ანიმაციის უამრავ მძლავრ საშუალებას [3].

პროგრამა Maple-ზე გამოთვლებიშეიძლება განხორციელდესორ რეჟიმში: სიმბოლურ (ანალიზურ) და გამოთვლით რეჟიმებში. სიმბოლური გარდაქმნების რეჟიმი პროგრამულად განხორციელებულია პროგრამირების ენა C++-ზე, ხოლო თავად Maple-ის ბიბლიოთეკა დამუშავებულია საკუთრად Maple-ზე თანდართული პროგრამირების ენაზე ეწ. M-ენაზე. Maple-ს ბიბლიოთეკა მოიცავს უამრავ ბრძანებებსა და პროცედურებს, რომლებიც სრულდება ინტერპრეტაციის რეჟიმში. საკუთარი პროცედურების პროგრამირების საშუალება, ანუ საკუთარი პროგრამირების M-ენის არსებობა გვაძლევს კიდევ უფრო ბევრ საშუალებას, შევქმნათ ჩვენი ახალი პროცედურები და ამით შევაგსოთ არსებული Maple-ის ბიბლიოთეკა. პროგრამა Maple აღჭურვილია საცნობარო ფაილით usermenu.mvs-ით, რომელიც იძლევა პროგრამა Maple-ის შესაძლებლობების ნაწილს საშუალებას. პროგრამა Maple-ს შეუძლია: ინტერფეისის შესაძლებლობა, სიმბოლური და რიცხვითი გამოთვლები, განტოლებების სიმბოლური და რიცხვითი ამოხსნები, ელემენტარული და სპეციალური მათემატიკური ფუნქციების გამოთვლა, გამოთვლების გრაფიკული ვიზუალიზება, ძალიამ მოხერხებული პროგრამირება M- ენაზე [3].

განვიხილოთ Maple-ს ინტერფეისის შესაძლებლობები:

1. მრავალფანჯრიან რეჟიმში მუშაობა;
2. გრაფიკების ცალკეულ ფანჯრებში, ან დოკუმენტების ფანჯარაში გამოყვანის საშუალება;
3. შემავალი და გამომავალი მონაცემების წარმოდგენა ჩვეულებრივი მათემატიკური ფორმულების ფორმით;
4. ტექსტური კომენტარების სხვადასხვა შრიფტებით აგების საშუალება;
5. ელექტრონული დოკუმენტებისა და ჰიპერმიმართვების გამოყენების შესაძლებლობა;
6. ღილაკების დაფის მოხერხებული გამოყენების საშუალება, მთავარი მენიუს საშუალებით მოხერხებული ინსტრუმენტების პანელის მოხერხებული მართვა;
7. მაუსის გრაფიკული მანიპულატორის მოხერხებულად გამოყენების საშუალება;

სისტემა Maple გვაქტურად ახორციელებს სიმბოლური და რიცხვითი მათემატიკის შემდეგ ფუნქციებს:

1. უბრალო გამოთვლები;
 2. გეომეტრიული გამოთვლები (ნახაზების აგებით);
 3. გრაფიკებისა და ფუნქციების გამოთვლა;
 4. განტოლებებისა და განტოლებათა სისტემების ამოხსნის საშუალებები;
 5. უტოლობებისა და უტოლობათა სისტემების ამოხსნისა და გრაფიკული ინტერპრეტაციის არაჩვეულებრივი საშუალებები;
 6. ტრიგონომეტრიული განტოლებების, სისტემებისა და უტოლობების ამოხსნა და გრაფიკული ინტერპრეტაცია;
 7. პლანიმეტრისა და სტერეომეტრის ამოცანების გრაფიკული თვალსაჩინოებით გამდიდრებული ამოხსნა;
 8. კომბინატორიკისა, ალბათობის თეორიისა და სტატისტიკის ამოცანების კომფორტული, გრაფიკული თვალსა ჩინოებით გამდიდრებული ამოხსნა;
 9. ფუნქციების დიფერენცირება;
 10. რიცხვითი და სიმბოლური ინტეგრება;
 11. ფუნქციათა ზღვრების გამოთვლა;
 12. ფუნქციათა მრავილებად გაშლა;
 13. ჯამებისა და წარმოებულების გამოთვლა;
 14. გრაფიკული და ანიმაციური საშუალებები;
 15. თავსებადობა ყველა საოფისე და პროგრამულ პაკეტებით;
 16. ანალიზური გეომეტრიის ამოცანების გადაწყვეტის საშუალებები;
 17. წრფივი ალგებრის ამოცანების გადაწყვეტის საშუალებები;
 18. სპეციალური მატრიცების და მატრიცული გარდაქმნების განხორციელების შესაძლებლობა;
 19. მატრიცების საკუთრივი მნიშვნელობებისა და ვექტორების ანგარიშის საშუალება;
 20. ფუნქციათა გრაფიკების აგების საშუალებები, როგორც დეკარტის ასევე პოლარულ კორდინატებში;
 21. მომხმარებლის მიერ განსაზღვრული კორდინატთა სისტემების ფარგლებში გრაფიკების აგება;
 22. სამგანზომილებიანი გრაფიკების აგების, მათი შეფერადების და ანიმაციის საშუალებები;
 23. სივრცული მკვეთი სიბრტყეების აგების საშუალებები;
 24. პროგრამირების მძლავრი საშუალება M-ენაზე პროგრამირების საშუალება;
 25. სხვა პროგრამირების ენგბთან საერთო ინტერფეისი(C++, Visual studio, Java და სხვ).
- ეს არის მცირე ჩამონათვალი იმ შესაძლებლებებისა, რაც გააჩნია პროგრამა Maple-ს და რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების პროცესში სხვადასხვა კლასებში.
- ზემოთ ნათქვამიდან ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ პროგრამული სისტემის გამოყენება თავისუფლად შეიძლება საშუალო სკოლაში. შესაძლებელია უწყვეტი სწავლება მათემატიკის კურსისა, არითმეტიკიდან დაწყებული, პროგრამა Maple-ს საშუალებით. ეს დაახლოებით მე-5 კლასიდან და ზევით.
- მათემატიკის სწავლებაში პროგრამული პაკეტების გამოყენება მიგვანიშნებს თანამედროვე კომპიუტერზე ორიენტირული სწავლების უპირატესობებზე, იმ საკითხებზე, თუ როგორ

დავგეგმოთ გაკვეთილი, რა ტიპის პროგრამული პაკეტები გამოვიყენოთ, როგორ ჩამოვაყალიბოთ მასალა ისე, რომ ის ერთდროულად საინტერესოც იყოს და ცოდნატევადიც.

3. დასკვნა

ამრიგად, სკოლებში ყველა საგნის სწავლების დროს აუცილებელია შეიქმნას ისეთი ტიპის ელექტრონული სახელმძღვანელოები, რომლებშიც მასალა წარმოდგენილი იქნება კომპლექსურად, ანუ მასალა ახსილიერება სტანდარტული (ტრადიციული) სახით და შემდგომ იგივე მასალა მოცემული იქნება კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით. ასეთი მიზანი საშუალებას მოგვცემს, შესასწავლი საკითხებიმოსწავლეების მიერ გაზრდებულ იქნას უმაღლეს დონეზე, რაც საინტერესოს და სახალისოს გახდის მათემატიკის გაკვეთილებს. ეს კი უზრუნველყოფს საშუალო სკოლებში მათემატიკის სწავლების მაღალ ხარისხს.

ლიტერატურა:

1. გოუნაშვილი გ. თანამედროვე ტექნოლოგიები სკოლაში. http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=7&npid=10&id=33. გადამოწმ.1.02.15.
2. ლაბაძე გ. ტექნოლოგიების განვითარება და სიმრავლე. http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=7&npid=10&id=33. გადამოწმ.1.02.15.
3. ჭიკაძე გ., სესაძე ვ. (2010). კომპიუტერული მოდელირების სისტემა Maple და პროგრამირება M-ენაზე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

CAPACITIES OF SOFTWARE MAPLE AND ITS USE IN THE MATTERS RELATED TO TEACHING OF MATHEMATICS

Kevkhishvili Maia, Kamkamidze Elena, Gachechiladze Lia
Georgian Technical University

Summary

This article is about the use of IT at mathematics lessons. It establishes the necessity of the use of different modern types of software in the process of teaching mathematics. Software "Maple" is particularly noteworthy in this context. The article demonstrates that the development and use of new IT enables us to increase significantly the quality of knowledge, to expand possibilities of transfer of information and to control the knowledge of pupils in the course of the training.

ВОЗМОЖНОСТИ ПРОГРАММЫ MAPLE И ЕЕ ПРИМЕНЕНИЕ В ВОПРОСАХ ОБУЧЕНИЯ МАТЕМАТИКИ

Кевхишивили М., Камкамидзе Е., Гачечиладзе Л.

Грузинский Технический Университет

Резюме

Рассматриваются вопросы использования информационных технологий на уроках математики в общеобразовательных школах. Удостоверено необходимость применения новейших компьютерных систем и программных пакетов различного назначения в процессе обучения математике. В этом направлении выделяется ведущая роль системы „Maple“. Показано, что применение ИТ предоставляет возможности содержательного повышения качества знаний, расширения передачи информации и контроля знаний учащихся.

**მატრიცისა და გემთონის გამოყენების სფავლების პროგრამული
საწვრთნელის შემუშავება**

ლია გაჩეჩილაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

შემოთავაზებულია უმაღლესი მათემატიკის სწავლების პროცესის დახვეწის მიზნით შემუშავებული პროგრამული საწვრთნელი. იგი ახდენს მატრიცის ვექტორზე გამრავლების სწავლების დემონსტრირებას სწავლების პროგრამული და აქტიური მეთოდების ინტეგრირების საფუძველზე. ასეთი მიდგომა სტუდენტებს საშუალებას აძლევს პროგრამული სწავლების თითოეულ დონეზე მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები, შეცვალოს ნებისმიერი ამოცანის პარამეტრები და თავიდან ამოხსნას ის, და ა.შ. საწვრთნელის გამოყენება მნიშვნელოვნად ამაღლებს უმაღლესი მათემატიკის სწავლების ხარისხს და სტუდენტებს უადვილებს ამ დისციპლინის ათვისებას.

საკანონი სიტყვები: პროგრამული საწვრთნელი. უმაღლესი მათემატიკა. ვექტორისა და მატრიცის ნამრავლი.

1. შესავალი

როგორც ცნობილია, საგანმანათლებლო სფეროში, აქტიურად გამოიყენება პროგრამული საწვრთნელი სისტემები. მათი გამოყენება აადვილებს და ხვეწის სასწავლო პროცესს, ზრდის სტუდენტის ინტერესს შესასწავლი დისციპლინის მიმართ, ააქტიურებს მის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, მხედველობით მეხსიერებას და ა.შ.

ამჟამად, ასეთი სისტემები საკმაოდ წარმატებით გამოიყენება მრავალი დისციპლინის შესწავლის მიზნით, განსაკუთრებით კი - მათი გამოყენება საკმაოდ ეფექტურია უმაღლესი მათემატიკის სწავლების პროცესში [1,2]. აქედან გამომდინარე, უმაღლესი მათემატიკის სწავლების პროცესის დახვეწის მიზნით აუცილებელია შესაბამისი პროგრამული საწვრთნელების შემუშავება, დანერგვა და გამოყენება.

2. ძირითადი ნაწილი

უმაღლესი მათემატიკის ერთ-ერთი განყოფილება, სადაც წარმატებით შეიძლება პროგრამული საწვრთნელის გამოყენება, არის მატრიცისა და ვექტორის გამრავლება. დავუშვათ, გვაქვს a_{ik} მატრიცა და b_k ვექტორი, მაშინ მათი c_i ნამრავლი გამოითვლება ფორმულით:

$$c_i = \sum_{k=1}^n a_{ik} \cdot b_k,$$

სადაც, i - არის სტრიქონების რაოდენობა, k - სვეტების რაოდენობა, $i = k = \overline{1, n}$.

განვიხილოთ შემთხვევა, როცა $n = 2$. მაშინ,

$$\begin{aligned} c_1 &= a_{11} \cdot b_1 + a_{12} \cdot b_2, \\ c_2 &= a_{21} \cdot b_1 + a_{22} \cdot b_2. \end{aligned}$$

ეს ფორმულები რეალიზებულია პროგრამულ საწვრთნელში იმ შემთხვევებისთვის, როცა $n = 2, 3, 4$. განვიხილოთ ორი მაგალითი, რომლებიც გამოყენებულია პროგრამულ საწვრთნელში:

$$\begin{pmatrix} 1 & 2 \\ 5 & 6 \end{pmatrix} X \begin{pmatrix} 8 \\ 9 \end{pmatrix} = \begin{pmatrix} 26 \\ 94 \end{pmatrix} \quad (1)$$

$$\begin{pmatrix} 8 & 3 \\ 2 & 5 \end{pmatrix} X \begin{pmatrix} 2 \\ 1 \end{pmatrix} = \begin{pmatrix} 19 \\ 9 \end{pmatrix} \quad (2)$$

პირველი მაგალითის ამოხსნა:

$$c_1 = 1 \cdot 8 + 2 \cdot 9 = 26,$$

$$c_2 = 5 \cdot 8 + 6 \cdot 9 = 94.$$


მეორე მაგალითის ამოხსნა:

$$c_1 = 8 \cdot 2 + 3 \cdot 1 = 19,$$

$$c_2 = 2 \cdot 2 + 5 \cdot 1 = 9.$$

აღნიშნული თემატიკის ამოცანები სირთულის მიხედვით დაყოფილია სამ დონეზე. პირველი დონე მოიცავს 2×2 მატრიცის გამრავლებას ვექტორზე. მეორე დონე მოიცავს 3×3 მატრიცის გამრავლებას ვექტორზე. მესამე დონე მოიცავს 4×4 მატრიცის გამრავლებას ვექტორზე.

პირველ დონეზე სტუდენტს აძლიერდება მომდევნო ეტაპზე გადასასვლელად მან უნდა ამოხსნას წესისმიერი - სამი. თითოეულ დონეზე ამოცანების რაოდენობა და მომდევნო დონეზე გადასვლისათვის საჭირო ამოცანების რაოდენობა შეიძლება სხვადასხვა იყოს და წინასწარ განისაზღვრება საგნის წამყვანი პროფესორის მიერ. კომპიუტერი შემთხვევითი რიცხვების გენერატორის გამოყენებით ახდენს ვექტორისა და მატრიცის გენერირებას. შესაბამისი რიცხვები გამოჩნდება ეკრანზე. შემუშავებული პროგრამული საწვრთნელის პირველი ფანჯარა ნაჩვენებია 1-ელ ნახაზზე.



ნახ.1. მატრიცის და ვექტორის ნამრავლი

სტუდენტი ირჩევს ერთ-ერთ ამოცანას, ხსნის მას და ამ ამოცანის „პასუხი“ ველში შეაქვს გამოთვლის შედეგები. ამ შედეგების სისწორის შემოწმების მიზნით ის აჭერს „შემოწმება“ კლავიშს. თუ პასუხი სწორია, ეკრანზე გამოჩნდება შესაბამისი შეტყობინება, გამოჩნდება სწორად ამოხსნილი ამოცანების რაოდენობა და სტუდენტი იწყებს სხვა, რომელიმე ამოცანის ამოხსნას. თუ პასუხი არასწორია, მაშინ ეკრანზე გამოჩნდება შესაბამისი შეტყობინება. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია ხელახლა ამოხსნას ეს ამოცანა, ან გადავიდეს სხვა ამოცანის ამოხსნაზე და შეძლება კვლავ დაუბრუნდეს ამ ამოცანის ამოხსნას. თუ სტუდენტმა ვერ ამოხსნა კონკრეტული ამოცანა მას შეუძლია დაჭიროს „გამოთვლა“ კლავიშს სწორი პასუხის ნახვის მიზნით.

პროგრამული სისტემა თვლის სწორად ამოხსნილი ამოცანების რაოდენობას, და როგორც კი ის გაუტოლდება წინასწარ განსაზღვრულ, მომდევნო დონეზე გადასვლისათვის საჭირო რაოდენობას, აქტიურდება კლავიში „მომდევნო დონე“ მასზე დაჭრა წენის მომდევნო დონის შესაბამის ფანჯარას, რომელშიც გამოჩნდება ამ დონის შესაბამისი ამოცანები. სწავლის პროცესი მთავრდება მაშინ, როცა სტუდენტი ამოხსნის უკანასკნელი დონის ამოცანების საჭირო რაოდენობას. შედეგად, ჩაითვლება, რომ მან შესასწავლი საკითხები კარგად აითვისა. სირთულის თითოეულ დონეზე სტუდენტს შეუძლია შეცვალოს ნებისმიერი ამოცანის პარამეტრები და თავიდან ამოხსნას ის, სურვილის შემთხვევაში შეუძლია ყველა ამოცანა ამოხსნას და ა.შ.

ლიტერატურა:

1. სამხარაძე რ., ნაზდაიძე ლ. (2010). პროცესების მდგომარეობების ცვლილების მოდელი. საქ. მეცნ. და საზოგადოების განვითარების ფონდი. ჟურნ. „ინტელექტი“, №1(36). თბ., გვ.52-53.
2. სამხარაძე რ., ნაზდაიძე ლ., გჩეჩილაძე ლ. (2011). პროგრამული საწვრთნელების მიმოხილვა და ანალიზი. სტუ-ს შრ.კრ., „მართვის ავტომატიზ.სისტემები”, № 2(11). გვ.111-115.

DEVELOPMENT OF SOFTWARE SIMULATOR FOR TRAINING MATRIX-VECTOR MULTIPLICATION

Gachechiladze Lia

Georgian Technical University

Summary

In article the program training system, developed for improvement of process of teaching the higher mathematics, is offered. On the basis of integration of methods program and active teaching, the training system shows process of training of multiplication of a matrix on a vector. Such approach allows the student at each level of program teaching as much as possible to reveal the opportunities, to change parameters of any task and solve it, etc. Use of trainig system considerably increases quality of training of the higher mathematics and makes easier for the student learning this discipline. Such approach can be successfully applied for effective training of different sections of the higher mathematics, for example, derivatives, differentials, integral calculus, mathematical logic, matrix calculation, etc. The developed approach also can be applied successfully for training of such subjects as chemistry, physics, etc.

РАЗРАБОТКА ПРОГРАММНОГО ТРЕНАЖЕРА ДЛЯ ОБУЧЕНИЯ УМНОЖЕНИЮ МАТРИЦЫ НА ВЕКТОР

Гачечиладзе Л.Г.

Грузинский Технический Университет

Резюме

Предложен программный тренажер, разработанный для усовершенствования процесса обучения высшей математике. На основе интеграции методов программного и активного обучения, тренажер демонстрирует процесс обучения умножения матрицы на вектор. Такой подход позволяет студенту на каждом этапе программного обучения максимально выявлять свои возможности, менять параметры любой задачи и заново решить ее, и т.д. Использование тренажера значительно повышает качество обучения высшей математики и облегчает студенту освоение данной дисциплины.

საჭარმო ფირმის ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის და საპრეზიდენტო რისკების შეფასების მოდელები და მთოლემები

გია სურგულაძე, ციური ფხაკაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რეზიუმე

განიხილება საჭარმო ფირმის ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის განსაზღვრის მოდელის აგება ექსპერტულ შეფასებათა მეთოდების საფუძველზე, მისი კავშირი საფინანსო საბანკო სისტემასთან კრედიტის მოპოვების მიზნით. წარმოდგენილია კრედიტების რისკ-მენეჯერის ანალიზის ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაციისთვის სისტემის მოთხოვნილებათა განსაზღვრა UML ტექნოლოგით. შემოთავაზებულია ამ სისტემაში ბანკის აუდიტის მიერ ფირმის საკრედიტო რისკის გაანგარიშების ალგორითმი ალტმანისა და ფულმერის მოდელების საფუძველზე. განიხილება „ორგანიზაცია-ბანკის“ ტანდემურ ავტომატიზებულ სისტემაში ინფორმაციის გაცვლის პროცესის ორგანიზაციის კონცეფცია სერვის-ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე. გამოყენებულია პიბრიდული აპლიკაციების დაპროგრამების თანამედროვე ტექნოლოგიები WPF და WCF პაკეტების ბაზაზე Visual Studio.NET Framework 4.0/4.5 გარემოში.

საკვანძო სიტყვები: ორგანიზაციული სისტემა. საფინანსო ბანკი. საკრედიტო რისკ-მენეჯმენტი. ორგანიზაციულ-ტექნიკური დონე. ექსპერტულ შეფასებათა მეთოდები. UML.


1. შესავალი

ორგანიზაციული მართვის ავტომატიზებული სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის შეფასების ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაცია და მის საფუძველზე აპროცესი ანალიზის ჩატარება სტრატეგიული გეგმების შესამუშავებლად. ანუ საქმე გვაქვს გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერ სისტემასთან [1].

პროდუქციის წარმოების (ან მოშააზურების) ფირმების ფუნქციონირება მკაცრადაა დამოკიდებული საბაზრო ეკონომიკასთან, სადაც გასათვალისწინებელია მრავალი ფაქტორი (ხელისშემწლელი თუ ხელისშემწყობი), რათა მისი ბიზნესი იყოს მომგებანი. წარმატებული ბიზნესის მართვის პროცესი ხშირად მოითხოვს ინვესტიციებს, გადაიარაღების პროცესებს, ინტეგრაციას და, რა თქმა უნდა, ამ პერიოდში ხშირად ფირმას სჭირდება საბანკო კრედიტების აღებაც. ორგანიზაციების ურთიერთობა საფინანსო ბანკებთან კრედიტების მისაღებად კარგად ჩამოყალიბებული ბიზნეს-წესების სისტემაა.

1-ელ ნახაზზე მოცემულია „ფირმა-ბანკის“ ტანდემის პარტნიორული, ეფექტური თანამოღვაწეობის კავშირების რეალიზაციის მიზნით მხარდამჭერი კომპიუტერული სისტემის კონცეფციის შემუშავების ზოგადი სტრუქტურული სქემა, მართვის საინფორმაციო სისტემების აგების საერთაშორისო სტანდარტების, საფინანსო და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების და თანამედროვე პროგრამული ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე, ობიექტ-, პროცეს- და სერვის-ორიენტირებული არქიტექტურებით (ნახ.1).

ბანკის მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია სწორედ საკრედიტო რისკების მართვაა [2]. რისკების მოდელირებას და შეფასებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა როგორც საჭარმო ფირმებში (r1), ასევე საბანკო სისტემაში (r2) [3]. დამოკიდებულება „ბანკი-ფირმა“ (R_{i,j}) ზოგადად ასახავს საკრედიტო ურთიერთობას, რომელიც მოიცავს რისკ-მენეჯერის (ან აუდიტის) მიერ საკრედიტო რისკის შეფასებას ფირმაში და შემდგომ მონიტორინგის პროცესებს. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა ფირმის მხრიდან კრედიტების აღება და იგი დასაბუთებული უნდა იყოს ეკონომიკურად და მეცნიერულად. ასეთ დროს ფირმას შეიძლება პრობლემები პქნდეს და მისი „გადარჩენის გზა“ კრედიტების აღებას უკავშირდებოდეს.



ნახ.1. „ბანკი-ფირმა“ ობიექტის მხარდაჭერი სისტემის აგების კონცეფცია


საზღვარგარეთის მოწინავე პრაქტიკები და გამოცდილება გვიჩვენებს, რომ „მუნიცილული კონსულტინგი“ მენეჯმენტის სფეროში მნიშვნელოვანია და აქ განსაკუთრებული ყურადღება მისა ექსპერტული ცოდნის მოპოვების, გადამუშავების და გამოყენების მეთოდების შემუშავებას, რომლის საფუძველზე შესაძლებელია წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის მოდელირება და შეფასება, შემდეგ კი გადაწყვეტილების მიღება [1,3].

2. წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის მოდელირება ექსპერტულ შეფასებათა მეთოდი

საწარმოო ფირმის ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის განსაზღვრის მიზნით ვიყენებთ ეკონომიკურ-მათემატიკურ მეთოდს, რომელიც ორგანიზაციის წლიურ საწარმო-სამუშაოების ანგარიშის მაჩვენებლებზეა დამოკიდებული [1]. მისი ზოგადი სტრუქტურა მოცემულია მე-2 ნახაზზე.

The main purpose of this paper is an attempt to represent fluid permeability in fractal terms. Let's conjoin fluid diffusion equation eq. (9) and total porosity equation eq (12) by equaling porosities of both sides:

$$\frac{x}{x+y} (1 - z^i) = \frac{k}{\mu C_f} \frac{d^2 P}{dt^2} \quad (13)$$

In terms of experiment where fluid flux is small enough we can neglect pressure, $P \approx 0$; Consequently we can represent permeability as follows $\phi = \frac{k}{\mu C_f}$.

So we have:

$$\frac{x}{x+y} (1 - z^i) = \frac{k}{\mu C_f} \quad (14)$$

Left hand side of equation above represents fractal model of total porosity of porous media, while right hand side is porosity formula represented by fluid characteristics. This approach helps us measure fluid permeability with fractal terms e.i. experimentally if we will picture fractal representation of certain media and then we pour certain fluid on it so that flux is small enough ($q \rightarrow 0$) and therefore $P \approx 0$. Then after selecting maximal permeability level (via microscopic camera) of that fluid, we will be able to link fractal measures of the media at that level at $i = m$ iteration, where liquid will stop leaking into pores, to liquid characterizations and get some coefficient that we will call liquid fractalization coefficient for that certain liquid.

Measuring this coefficient for other one phase transports of liquids will give us systemized set of coefficients that in the future can be used as additional characteristic of liquids.

This approach is inverse perspective of fluid flow into ground or rocks. Unlike traditional models where scientist first measure liquid characteristics, like viscosity or density, and then from this basis calculate permeability of fluid in media, by knowing this new fractalization coefficient we will be able to measure permeability of certain fluid into soil, clay, silt, or etc. only by knowing local porous media environment.

We hope that this model, only in practically refined form, will find its ground and be useful for water industry, oil industry or for other fields hydrogeology.

References:

1. ობგაძე თ., თუშმიშვილი ნ., გურგენიძე ლ. (2014). ცოცხალი სისტემების ანალიზის მეთოდები. თბილისი. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
2. Szymkiewcz A. (2013). Modelling Water Flow in Unsaturated Porous Media Accounting for Nonlinear Permeability and Material Heterogeneity.
3. Zimmerman R.W. (2003). in Petroleum Engineering. Flow in Porous Media 2002-2003
4. Perrier E., Bird N., Rieu M. (1998) Generalizing the fractal model of soil structure:the pore-solid fractal approach. France.
5. Bird N.R.A., Perrier E.M.A. (2003) The pore-solid fractalmodel of soil density scaling. European Journal of Soil Science. pp.467-476
6. Peyman Mostaghimi. (2012). Transport Phenomena Modelled on Pore-Space Images. Imperial College London
7. Bastian P. (1999). Numerical Computation of Multiphase Flows in Porous Media. Heidelberg, June
8. Rieu M., Sposito G. (1991). Fractal Fragmentation, Soil Porosity, and Soil Water properties
9. Young P.C. (1993). The Concise Encyclopedia of Environmental Systems, University of Lancaster, UK.
10. Гальцев О.В. (2013). Математические модели движения неоднородных жидкостей в пористых средах как усреднение периодических структур. Белгород
11. Никифоров Г.А. (2011). Моделирование движения двухфазной жидкости в неоднородных и слоистых пористых средах. Казань

12. Ahmed G. (2006). Recent advances in multiphase flows through porous and fractured media. Clarcon University, Potsdam
13. Niessner J., Hassanizadeh S.M. (2008). Non-linearities and upscaling in porous media.
14. Cristina M. (2013). Evans Modelling the 2D Infiltration of Oil in Porous Media August
15. Моисеев К.Г., Гончаров В.Д. (2007). Оценка модели почвенной структуры в фильтрационных исследованиях. Агрофизический институт. –М.
16. Benito M. (2006). Chen-Charpentier. Numerical Methods for Flow and Transport in Porous Media. University of Wyoming
- Agusto F.B., Bamigbola O.M. (2007). Numerical Treatment of the Mathematical Models for Water Pollution. University of Ilorin, Nigeria.

ვორიან გამტარში სითხის ფილტრაციის ფრაქტალური მოდელირება

დაწი ჯანელიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რეზიუმე

განხილულია ფორიან გამტარში ერთგვაროვანი სითხის გადინების მოდელის შექმნის საკითხი. შედგენილია დიფუზიის განტოლება ერთფაზიანი გადინებისთვის დარსის კანონზე დაყრდნობით. ასევე განხილულია მყარ-ფორიანი ფრაქტალური მოდელი. ამ ორი მოდელის შევერებით მიღებულია ფორიან გამტარში სითხის გადინების ფრაქტალური მოდელი. შემთავაზებულია სითხის ახალი მახასიათებელი ე.წ. დაფრაქტალების კოეფიციენტი. ეს მიღომა აღწერს ფორიან გამტარში სითხის გადინების შებრუნებულ ვარიანტს, როცა გამტარის თვისებიდან გამომდინარე ვადგენთ ერთგვაროვანი სითხის მახასიათებელს.

ФРАКТАЛЬНОЕ МОДЕЛИРОВАНИЕ ФИЛЬТРАЦИИ ЖИДКОСТЕЙ В ПОРИСТЫХ СРЕДАХ

Джанелидзе Д.
Грузинский Технический Университет

Резюме

Рассматривается вопрос создания модели движения однородных жидкостей в пористых средах. Построено уравнение диффузии для однофазового движения на основе закона Дарси. Рассмотрена также пористо-твердая фрактальная модель. На основе согласования этих моделей создана новая фрактальная модель, которая объясняет фильтрацию жидкостей в пористых средах. Предложена новая характеристика жидкости, т.н. коэффициент дефрактализации. Этот подход описывает обратный вариант движения жидкости в пористых средах, когда исходя из свойства среды строятся характеристики однородной жидкости.

ბიზნეს აროგვების ავტომატიზაცია SHAREPOINT DESIGNER-ის

გამოყენებით

ნინო თოლურია, მაკა ლომიძე, ნუნუ რაფაელ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

Microsoft SharePoint - ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური პლატფორმაა კორპორაციაში ბიზნეს პროცესების ავტომატიზაციისა და მართვისათვის. მისი საშუალებების მნიშვნელოვნად გაფართოება შესაძლებელია ისეთი ვიზუალური დიზაინერის ინსტრუმენტით, როგორიცაა Microsoft SharePoint Designer. სტატიაში განხილულია ბიზნესპროცესის „შეგებულების მოთხოვნა“ ავტომატიზაციის ეტაპები Ms SharePoint Designer-ის ბაზაზე. შემუშავებულია ამ ბიზნესპროცესის შესაბამისი ER-მოდელი, გამომავალი ფორმა, ეტაპობრივადაა განხილული ცვლადების შევსების სცენარი.

საკანონი სიტყვები: შრომითი პროცესები. ბიზნეს პროცესები. ავტომატიზაცია. კორპორატიული ღრუბელი.

1. შესავალი

Microsoft SharePoint არის კორპორატიული აპლიკაციების ინტეგრირებული პაკეტი, რომელიც განკუთვნილია კორპორაციაში თანამშრომელთა ერთობლივი მუშაობისთვის, სადაც აქცენტი გამახვილებულია ე.წ. „დრუბელზე“ და მობილობაზე. პაკეტში ჩადებულია შრომითი პროცესების ავტომატიზაციის ხეთი შაბლონი (Approval, Three-State, Collect feedback, Collect signature, Disposition approval), რომელთა საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა სახის ბიზნეს პროცესების ავტომატიზაცია. თუმცა ბიზნეს პროცესების ავტომატიზაცია შაბლონების ბაზაზე ყოველთვის არ არის საკმარისი. რთული ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაცია შესაძლებელია SharePoint Designer-ის საშუალებით, რომელიც შრომითი პროცესების ავტომატიზაციისათვის გათვალისწინებულია შემდეგი კომპონენტები (ნახ.1):



ნახ.1

- სიების სამუშაო პროცესები (List Workflow)- მათ ასევე უწოდებენ კონტენტის სამუშაო პროცესებს. მათ იყენებენ ისეთი დავალებების ავტომატიზაციისთვის, რომელიც დაკავშირებულია სიებში ან ბიძლითოებებში შენახული დოკუმენტებისათვის.


- საიტის სამუშაო პროცესები (Site Workflow) - ეს სამუშაო პროცესები არ არის დამოკიდებული SharePoint-ის ობიექტებზე, მათი გაშვება ხდება ხელით საიტის დონეზე.

- მრავალჯერადი სამუშაო პროცესები (Reusable Workflow) - საშუალებას გვაძლევს შევქმნათ მრავალჯერადი გამოყენების სამუშაო პროცესები. მათი გამოქვეყნება შესაძლებელია გლობალურ კატალოგში, რის შემდეგაც ისინი მიღწევადა საიტის ყოველი კოლექციისთვის და მას ხედავს ყველა მომხმარებელი.

განვიხილოთ ბიზნეს-პროცესი „შეგებულების მოთხოვნა“, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოსაყენებელი ბიზნეს-პროცესია. მე-2 ნახაზზე მოცემულია მისი კონცეპტუალური მოდელი ER-დიაგრამის სახით.

ეტაპი I - აღწეროთ შესასრულებელი სამუშაოების სცენარი:

1. გადაეცეს ეს დავალება პიროვნებას (მაგალითად, განყოფილების უფროსი) ვინც გაეცნობა მოთხოვნას და დაეთანხმება ან უარყოფს მას;



ნახ.2. ER-მოდელი

2. დადებითი პასუხის შემთხვევაში ი-მეილი, სადაც მითითებულია მოთხოვნის დეტალები გაეგზავნოს HR;
 3. პერსონას, კინც მოითხოვა შვებულება, გაეგზავნოს დადებითი ტექსტის მქონე შეტყობინება;
 4. შვებულების აღრიცხვის უურნალში დაემატოს ჩანაწერი გაცდენილი დღეებისა და თარიღების შესახებ;
 5. თუ „შვებულების მოთხოვნა“ უარყოფილია, გაეგზავნოს შესაბამისი შეტყობინება ამ პიროვნებას.
- ატაპი II** - შევქმნათ სია (custom list) - „შვებულების მოთხოვნა“, რომელსაც ექნება შემდეგი სკეტჩი.

Username – Person or Groups
Full Name – Single line of text
Department – Choice
Type of leave – Choice

Begin Date – Date and Time
End Date – Date and Time
Employee Comments – Multiple lines of text
Supervisor – Person or Groups

- ატაპი III** - შევქმნათ ახალი შრომითი პროცესი, ბრძანებით File → New → Workflow.
- I-ბიჯი: დავარქეოთ სახელი დავალებას, რომელიც გადაუცემა განყოფილების უფროსს (Supervisor);

II-ბიჯი: როდესაც თანამშრომელი დააფიქსირებს შვებულების მოთხოვნას, ეს დავალება უნდა გადაუცეს განყოფილების უფროსს (Supervisor), რომელიც დაადასტურებს ან უარყოფს მას. შევქმნათ ფორმა, სადაც განყოფილების უფროსს ექნება ამორჩევის და კომენტარის მითითების საშუალება (ნახ.3).

Title:	Review Vacation Request
Description:	Review the submitted vacation request
Vacation Approve Status:	<input checked="" type="radio"/> Approve <input type="radio"/> Reject
Supervisor Comments:	(Text area)
Related list item:	Vacation Request
<input type="button" value="Save Draft"/> <input type="button" value="Complete Task"/> <input type="button" value="Cancel"/>	

ნახ.3. შესავსები ფორმა

ავირჩიოთ ბრძანება Actions → Collect Data from a User. საჭიროა სათითოდ განვსაზღვროთ Data, User, Variable ცვლდების მნიშვნელობები (ნახ.4).



ნახ.4. შრომითი პროცესის ჩაწერა

- **ცვლადი Data**

ავტორიზირებული ცვლადი Data. ექრანზე გამოჩენდება ოსტატი. დავაჭიროთ ღილაკზე Add, რათა დავამატოთ მიღება/უარყოფა (Approve/Rejected) და კომენტარი (Comments). შეგვძლიათ ეს ველები (ნახ.5).



ნახ.5. ფორმის შევსების პროცესი

- **ცვლადი User**


ამ ეტაპზე უნდა გავარკვიოთ ვინ არის განყოფილების უფროსი (Supervisor) ანუ უნდა გუთხრათ შრომით პროცესს, რომ მოაგროვოს მონაცემები იმ პიროვნებისაგან, ვისი სახელიც იქნება მითითებული ამ ველში.

ავტორიზირებული „the user”, ავტორიზირებული „Workflow Lookup”, ექრანზე გამოჩენდება ოსტატი, ავტორიზირებული Add . შევავსოთ Review Vacation Request ცვლადი (ნახ.6).



ნახ.6. Review Vacation Request ცვლადის შევსების პროცესი

შევავსოთ Supervisor ცვლადი (ნახ.7)



ნახ.7. Supervisor ცვლადის შევსების პროცესი

ცვლადი to collect

ჩვენ შევქმნით დავალება განყოფილების უფროსისათვის, რომელიც ეთანხმება ან უარყოფს შევბუღების მოთხოვნას. ვინაიდნ ჩვენ დაგჭირდება ამ დავალების შედეგის გამოყენება, საჭიროა შევინახოთ ჩვენს მიერ შექმნილი დავალების ID. შევინახოთ იგი ახალ ცვლადში, სახელად VacationRequestTaskID.


დავაჭიროთ Variable links და ავირჩიოთ Create a new variable, მივანიჭოთ სახელი



ნახ.8. Collect ცვლადის შევსების პროცესი

VacationRequestTaskID და Type ველში ავირჩიოთ List Item ID.

ამგვარად „Collect data from a user”-სთვის პირველი მოქმედება დასრულებულია. ახლა გვჭირდება შევინახოთ ის ინფორმაცია, რომელიც შევაგროვეთ განყოფილების უფროსისაგან: კერძოდ, მოთხოვნა მიღებულია თუ უარყოფილი. ანალოგიურად ხდება ინფორმაციის შენახვა ცვლადებში Set Workflow Variable და Vacation Approved. იგივე უნდა გავაკეთოთ კომენტარისთვის. დასრულებულ ბიზნეს პროცესს ექნება მე-9-ე ნახაზზე ნაჩვენები სახე.



ნახ.9. ბიზნესპროცესი დასრულებული სახით

შრომითი პროცესი შვებულების მოთხოვნა მზად არის დასატესტად.

ლიტერატურა:

1. Bates S., Smith T. (2010). SharePoint 2010 User's Guide, Apress.
2. Workflows overview. <http://technet.microsoft.com/en-us/library/cc263148%28v=office.14%29.aspx>
3. სურგულაძე გ., თოფურია ნ., სეთურიძე რ. (2014). ბიზნესპროცესები და შრომითი პროცესები MsSharePoint-ის ინტერნეტ პორტალში. კომპიუტინგი/ინფორმატიკა, III საერთაშორისო კონფ., ბათუმი, ოქტომბერი. გვ.33.

**AUTOMATING BUSINESS PROCESSES ON THE BASES OF
SHAREPOINT DESIGNER**

Topuria Nino, Lomidze Maka, Rapava Nunu
Georgian Technical University

Summary

Microsoft SharePoint - one of the most effective platforms for automating and managing business processes across the enterprise. An additional automation of business processes will significantly expand its capabilities. The most convenient and effective tools such visual designers is Microsoft Share Point Designer. The article considers the steps of business process automation of "Holiday Request ". Designed corresponding ER-model, output form, shows a scenario of filling variables.

**АВТОМАТИЗИРОВАННОЕ БИЗНЕС-ПРОЦЕССОВ НА БАЗЕ
SHAREPOINT DESIGNER**

Топурия Н., Ломидзе М., Рапава Н.
Грузинский Технический Университет

Резюме

Microsoft SharePoint – одна из наиболее эффективных платформ для автоматизации и управления бизнес-процессами на предприятии. Значительно расширить ее возможности позволяет дополнительная система – визуальный дизайнер Microsoft SharePoint Designer. В статье рассматриваются этапы автоматизации бизнес-процесса “Запрос отпуска” на базе Ms SharePoint Designer. Разработана соответствующая – ER-модель, выходная форма, поэтапно показан сценарий заполнения переменных.

საპონტო ნივულის მომზადება ლაბორატორიათაშორისი გამოცდების ჩასატარებლად

ნოდარ აბელაშვილი¹, ნიკა აბელაშვილი²

1 - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

2- ავსტრიული საინჟინრო საკონსულტაციო ბიურო „Ingerieure GmbH”

რეზიუმე

განიხილება ლაბორატორიათაშორისი გამოცდების ჩატარებისას საკონტროლო ნიმუშის კლევის მეთოდიკა გაზომვის შედეგების განმეორებადობის კრიტერიუმის განსაზღვრისა და მისი ფიზიკური მნიშვნელობის დასადგენად მონაწილე ლაბორატორიებისათვის კვალიფიკაციის შემოწმებისას შეფასებისთვის. ლაბორატორიათაშორისი გამოცდების ჩატარებისას მათი ურთიერთშესაბამიობის დადგენა გამოცდის შედეგების დისპერსიებისა და დაკვირვებათა შედეგების საშუალო არითმეტიკულებს შორის განსხვავებისა და, შესაბამისად, მათი ერთგვაროვნების დადგენის გზით ხორციელდება, სადაც პირსონის კრიტერიუმთან ერთად შესაძლებელია სტრუდენტის კრიტერიუმის გამოყენებაც.

საკვანძო სიტყვები: ლაბორატორიათაშორისი გამოცდები. აღწარმოებადობის პირობა. განმეორებადობის პირობა. შეფასების კრიტერიუმი. დისპერსია. საშუალო არითმეტიკული.

1. შესავალი

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მესამე თავი ეთმობა საერთაშორისო გაჭრობაში ტექნიკური ბარიერების აღმოფხვრის თვალსაზრისოთ საკანონმდებლო მეტროლოგიის, სტანდარტიზაციის, აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების საკითხებს, რაც აღნიშნულ სფეროებში ორმხრივი შეხედულებებისა და მიღეომების დაახლოებას გულისხმობს, მათ შორის აკრედიტირებული საგამოცდო ლაბორატორიათაშორისი გამოცდების (ლშგ) ჩატარების ოგანიზებისას.

ერთი და იგივე სფეროს სხვადასხვა ლაბორატორიების გაზომვის შედეგებში გამოყენებულ საზომ საკონტროლო საშუალებების მახასიათებლების არასტაბილობის გამო შესაძლებელია გაზომვის შედეგებში გარკვეული სახის განხვები არსებობდეს. განხვების მახასიათებლების ერთგვაროვნებისა და მათი დასაშვებობის კრიტერიუმების დადგენა ლშგ-ის ჩატარების ძირითადი მიზანია.

2. ძირითადი ნაწილი

მოცემული მეთოდიკა ითვალისწინებს მისაღებადობის ორი კრიტერიუმის განსაზღვრას, რომლებიც განპირობებულია მოცემული მეთოდიკის დამუშავებისას განმეორადობის Ur და აღწარმოებადობის სტანდარტული განუსაზღვრელობის AR კრიტერიუმების გამოყენებით.

აღწარმოებადობის პირობა განისაზღვრება გამოცდის შედეგებით, რომელიც მიიღება ერთი და იმავე მეთოდით, იდენტურ გამოსაცდელ ობიექტებზე, სხვადასხვა ლაბორატორიაში, სხვადასხვა ოპერატორის მიერ, სხვადასხვა აღჭურვილობის გამოყენებისას.

განმეორებადობის პირობა განისაზღვრება დამოუკიდებელი გამოცდის შედეგებით, რომელიც მიიღება ერთი და იმავე მეთოდით, იდენტურ გამოსაცდელ ობიექტებზე, ერთი და იმავე ლაბორატორიაში, ერთი და იმავე ოპერატორის მიერ, ერთი და იმავე აღჭურვილობის გამოყენებისას, დროის მცირე მონაკვეთში.

განმცხადებელი (ლშგ-ს მონაწილე) საგამოცდო ლაბორატორიის შეგა პრეციზიულობა მოწმდება მისი განმეორებადობის ჯამური სტანდარტული განუსაზღვრელობის ԱՄგან შედარებით საბაზისო (პროვაიდერი) ლაბორატორიის ჯამურ სტანდარტულ განუსაზღვრელობასთან ԱՄგაზ. მისაღებადობის კრიტერიუმის გათვალისწინებით [1], რომელიც გამოითვლება ფორმულით:

$$\frac{u_{\Sigma r_{გან}}^2}{u_{\Sigma r_{გაზ}}^2} \leq \frac{\chi^2_{(1-\alpha)}(\nu)}{\nu}$$

სადაც:

$\chi^2_{(1-\alpha)}$ (ν) არის χ^2 განაწილების (1- α) კვინტილი $\nu=n-1$ თავისუფლების ხარისხისათვის;
 n - გაზომვების რაოდენობაა. მნიშვნელოვნების დონე მივიღოთ $\alpha=0,05$.

ასეთი შედარების ჩატარება შესაძლებელია, როდესაც საბაზო და გამოსაცდელი ლაბორატორიები აღწარმოების ექსპერიმენტში მოიხმარს ერთი და იმავე ტიპის საზომ აპარატურას, რომელთა მეტროლოგიური მახასიათებლები საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან. რეალურად პრაქტიკაში სხვადასხვა საგამცდო ლაბორატორიების მიერ წამოყენებული საზომი სშუალებების მეტროლოგიური მახასიათებლები შესაძლებელია რამდენადმე განსხვავდებოდეს ერთმანეთსგან. ამიტომ მიზანშეწონილია ლაბორატორიებს შორის შედეგების შედარება მოხდეს გასაზომი სიდიდის შესაბამისი განუსაზღვრელობებისა და საშუალო არითმეტიკულების შედარების შეფასების გზით სტიუდენტის კრიტერიუმის გამოყენებით.

$$|u_{\Sigma r_{გან}} - u_{\Sigma r_{გაზ}}| \leq t_{(1-\alpha)}(\nu) \cdot u_{\Sigma r_{გაზ}}$$

განმცხადებელი და საბაზო ლაბორატორიების გასაზომი სიდიდის საშუალო არითმეტიკულებს $\bar{y}_{გან}$, $\bar{y}_{გაზ}$ ადარებენ ქვემოთ მოცემული სახით მოყვანილ მისაღებადობის კრიტერიუმის მიხედვით

$$|\bar{y}_{გან} - \bar{y}_{გაზ}| \leq t_{(1-\alpha)}(\nu) \cdot u_{\Sigma r_{გაზ}}$$

სადაც $t_{(1-\alpha)}(\nu)$ - სტიუდენტის კოეფიციენტია მოცემული სანდობის დონისა და $\nu = n - 1$ თავისუფლების ხარისხისათვის.

მოცემული მეთოდიკის მიხედვით გაწერილ პროცედურებში $n=10$ და $\alpha=0,05$.

სტიუდენტის განაწილების გამოყენებით მიღებული მოყვანილი კრიტერიუმის პირობების დაქმაყოფილება ფაქტობრივად ნიშნავს, რომ განმცხადებელი ლაბორატორიის მიერ მიღებული გაზომვის შედეგები მოთავსებულია საბაზო ლაბორატორიის მიერ მიღებული გაზომვის შედეგების ნდობის ინტერვალის 95%-იან საზღვრებში.

პროვაიდერი ლაბორატორიის მიერ ლშგ-ს საკონტროლო ნიმუშის მომზადება დაკავშირებულია ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმების ექსპერიმენტულ განსაზღვრულობის, რომელიც ითვალისწინებს კონტროლის ობიექტის საძიებელი პარამეტრის ათვერადი დაკვირვების შედეგების მიხედვით გაზომვის მნიშვნელობის პოვნას. ამასთან გაზომვის შედეგების სიზუსტესთან ერთად მნიშვნელვანია დაცული იქნას კონტროლის ობიექტის შერჩევის ძირითადი კრიტერიუმი მისი პარამეტრების სტაბილობა და აუცილებელი სამუშაო ვადის განმავლობაში მათი განმეორებადობა, მათ შორის შესაბამისი პირობების დაცვით ნებისმიერი სახის ტრანსპორტით გადაადგილების შემდეგ.

დაკვირვებათა შედეგების მიხედვით ნაპოვნი გაზომვის შედეგის მნიშვნელობებით გამოითვლება დაკვირვებათა შედეგების დისპერსიები და შემოწმდება დაკვირვებათა ჯგუფების

დისპერსიების ერთგვაროვნება ფიშერის კრიტერიუმის საშუალებით [1]. მათი ერთგვაროვნების შემთხვევაში გამოითვლება გაზომვის შედეგების დისპერსია და მისი ჯამური სტანდარტული განუსაზღვრელობა $\Delta_{\text{Sr}_{\text{გა}}}$ - საბაზო ლაბორატორიის საკონტროლო ნიმუშის ჯამური სტანდარტული განუსაზღვრელობა, რომელიც განმცხადებელი ლაბორატორიის მიერ მიღებულ $\Delta_{\text{Sr}_{\text{გა}}}$ მნიშვნელობას შედარდება.

საკონტროლო ნიმუში 10 kv-ზე სიმძლავრის ელექტროაპარატურის დამცავი დამწევის კონტრუის იმიტირებულ წინაღობას წარმოადგენს.

საკონტროლო ნიმუშის გამოკვლევა განმეორებადობის პირობის შესაძლებლად მიმდინარეობდა National Instruments ფირმის ELVIS-2 საზომი კომპლექსის საშუალებით, სადაც ექსპერიმენტი ტარდებოდა დაკვირვებათა 10 შედეგისათვის (მონაცემების i , სიმრავლე) და პარალელული გამოცდების 10 ერთეულისათვის (მონაცემების j სიმრავლე). გამოცდის შედეგები მოცემულია №1 ცხრილში.

გამოცდის შედეგები ცხრ.1

$\begin{array}{c} \text{ექსპერი-} \\ \text{მენტი} \\ j \end{array}$	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
$\begin{array}{c} \text{დაკვირ-} \\ \text{ვება} \\ i \end{array}$	1	4,596	4,606	4,604	4,600	4,601	4,608	4,604	4,602	4,604	4,601
2	4,595	4,608	4,604	4,599	4,600	4,608	4,605	4,602	4,604	4,601	
3	4,595	4,610	4,603	4,599	4,600	4,608	4,604	4,602	4,603	4,600	
4	4,594	4,610	4,603	4,599	4,600	4,607	4,605	4,602	4,604	4,601	
5	4,594	4,610	4,603	4,599	4,600	4,608	4,604	4,601	4,603	4,601	
6	4,595	4,610	4,603	4,599	4,599	4,607	4,604	4,602	4,603	4,601	
7	4,594	4,612	4,603	4,599	4,599	4,607	4,604	4,601	4,603	4,601	
8	4,594	4,612	4,603	4,599	4,600	4,607	4,603	4,602	4,603	4,601	
9	4,595	4,613	4,603	4,599	4,600	4,607	4,604	4,602	4,603	4,601	
10	4,594	4,613	4,603	4,599	4,600	4,607	4,604	4,601	4,603	4,601	
გაზომვის შედეგი	$\bar{y}_1 =$ 4,5946	$\bar{y}_2 =$ 4,6104	$\bar{y}_3 =$ 4,6032	$\bar{y}_4 =$ 4,599	$\bar{y}_5 =$ 1	$\bar{y}_6 =$ 4,5999	$\bar{y}_7 =$ 4,6074	$\bar{y}_8 =$ 4,6041	$\bar{y}_9 =$ 4,6017	$\bar{y}_{10} =$ 4,6034	
A ტიპის განუსა ზღვრე ლობა	0,0002 21	0,0007 02	0,0001 33	0,000 01	0,0001 79	0,0001 67	0,0001 79	0,0001 59	0,0001 63	0,0001 49	
დისპერსია	$4,88 \cdot 10^{-8}$	$49,3 \cdot 10^{-8}$	$1,76 \cdot 10^{-8}$	$0,01 \cdot 10^{-8}$	$3,2 \cdot 10^{-8}$	$2,78 \cdot 10^{-8}$	$3,2 \cdot 10^{-8}$	$2,5 \cdot 10^{-8}$	$2,65 \cdot 10^{-8}$	$2,22 \cdot 10^{-8}$	
S_i^2											

მიღებულ შედეგებს შორის ყველაზე დიდი მნიშვნელობა გავყოთ ყველა დისპერსიის ჯამის მნიშვნელობაზე.

$$G = \frac{S_{\max}^2}{\sum_{i=1}^{10} S_i^2} = \frac{49,3 \cdot 10^{-8}}{72,5 \cdot 10^{-7}} = 0,68 \cdot 10^{-1}$$

მიღებული მნიშვნელობა შევადაროთ ცხრილურ მნიშვნელობას [1] პარალერული ექსპერიმენტების 10 ჯგუფისა და დაკვირვებათა ერთით ნაკლები ($n-1$) რაოდენობისათვის $G_{\beta b}=0,2439$, რომელიც ბევრად მეტია საანგარიშო მნიშვნელობაზე, რაც მიუთითებს, რომ განსახილველ ჯგუფთა დისპერსიები არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან ანუ ერთგვაროვანია და მონაცემთა გაერთიანება შესაძლებელია [3].

2.2. დაკვირვებათა რამდენიმე ჯგუფის საშუალო არითმეტიკულების განსხვავების არსებითობის შემოწმება

დაკვირვებათა რამდენიმე ჯგუფის საშუალო არითმეტიკულების განსხვავების არსებითობის შესამოწმებლად გამოყენება ფიშერის კრიტერიუმი, მოყვანილი გაანგარიშების ალგორითმის მიხედვით, რაც ცხ.1-ში მოყვანილი მნიშვნელობებისათვის მოგვცემს:

- თითოეული ჯგუფის საშუალო არითმეტიკულები \bar{y}_i ;

\bar{y}_1	\bar{y}_2	\bar{y}_3	\bar{y}_4	\bar{y}_5	\bar{y}_6	\bar{y}_7	\bar{y}_8	\bar{y}_9	\bar{y}_{10}
4,5946	4,6104	4,6032	4,5991	4,5999	4,6074	4,6041	4,6017	4,6034	4,601

- ერთობლივი საშუალო

$$\bar{\bar{y}} = \frac{1}{N} \sum_{i=1}^L n_i \bar{y}_i = 4,602$$

სადაც N დაკვირვებათა საერთო რაოდენობაა ყველა ჯგუფში:

$$N = n_1 + n_2 + \dots + n_L = 100$$

- ჯგუფთაშორისი დისპერსია $S_{\Sigma L}^2$

$$S_{\Sigma L}^2 = \frac{1}{L-1} \sum_{i=1}^L n_i (\bar{y} - \bar{\bar{y}})^2 = 1,96 \cdot 10^{-4}$$

- ჯგუფების შიგნით დისპერსიების გასაშუალებული მნიშვნელობა $\bar{S}_{\Sigma L}^2$

$$\bar{S}_{\Sigma L}^2 = \frac{1}{N-L} \sum_{i=1}^L \sum_{j=1}^{n_i} (y_{ij} - \bar{y}_i)^2 = 2,813 \cdot 10^{-7}$$

- განისაზღვრება ფიშერის კრიტერიუმის საანგარიშო მნიშვნელობა

$$F = \frac{S_{\Sigma L}^2}{\bar{S}_{\Sigma L}^2} = \frac{1,96 \cdot 10^{-4}}{2,813 \cdot 10^{-7}} / 2,813 \cdot 10^{-7} = 696,765$$

რომელიც შეედარება შესაბამის კრიტიკულ მნიშვნელობებს.

- ზედა კრიტიკული მნიშვნელობა F_{Φ} შეირჩევა ფიშერის ცხრილის L-1 სვეტისა და N-L სტრიქონის გადაკვეთაზე და ≈ 2 .

- ქვედა კრიტიკული მნიშვნელობა $F_J = 1/F_{\Phi} \approx 0,5$.

თუ საანგარიშო მნიშვნელობა აღმოჩნდება ზედა და ქვედა კრიტიკულ მნიშვნელობებს შორის ითვლება, რომ განსახილველი ჯგუფთა საშუალო არითმეტიკულების განსხვავება არა არსებითი.

ჩვენი შემთხვევისთვის:

$$F_d \leq \frac{S_{\Sigma}^2}{\bar{S}_{\Sigma}^2} \leq F_v$$

საანგარიშო მნიშვნელობა არ აღმოჩნდა ზედა და ქვედა კრიტიკულ მნიშვნელობებს შორის ე.ი. საშუალო არითმეტიკულების განსხვავების არსებითობის შემოწმების შედეგი აღმოჩნდა არა-ერთგვაროვანი, ამიტომ უნდა დავადგინოთ ჯგუფიდან ჯგუფზე გადასვლისას საშუალო არითმეტიკულების წანაცვლების ხასიათი. წანაცვლება შეიძლება იყოს მონოტონურად ზრდადი ან კლებადი ან იცვლებოდეს შემთხვევითი ხასიათით. წანაცვლების ხასიათის დადგენა წარმოქმნას აბეს კრიტერიუმით, რომლის რეალიზაციის აღგორითმს შემდგევ სახე აქვს:

– ზემოთ მიღებული ჯგუფების საშუალო არითმეტიკულების $\bar{y}_1, \bar{y}_2, \dots, \bar{y}_L$ საშუალებით გამოვითვალოთ მეზობელი ჯგუფების საშუალო არითმეტიკულების სხვაობები, რომელიც მოცემულა მე-2 ცხრილში.

ცხრ.2

მეზობელი ჯგუფები	ჯგუფებს შორის სხვაობა	მნიშვნელობა
d_1	$\bar{y}_2 - \bar{y}_1$	0,0158
d_2	$\bar{y}_3 - \bar{y}_2$	0,0072
d_3	$\bar{y}_4 - \bar{y}_3$	-0,0041
d_4	$\bar{y}_5 - \bar{y}_4$	0,0008
d_5	$\bar{y}_6 - \bar{y}_5$	0,0075
d_6	$\bar{y}_7 - \bar{y}_6$	-0,0033
d_7	$\bar{y}_8 - \bar{y}_7$	-0,0024
d_8	$\bar{y}_9 - \bar{y}_8$	0,0017
d_9	$\bar{y}_{10} - \bar{y}_9$	-0,0024

– შემდეგ გამოითვლება ორი დისპრესია:

$$S_d^2 = \frac{1}{2(L-1)} \sum_{i=1}^{L-1} d_i^2 = 2,22 \cdot 10^{-5}$$

$$S_{\bar{y}}^2 = \frac{1}{L-1} \sum_{i=1}^L (\bar{y}_i - \bar{y})^2 = 1,93 \cdot 10^{-5}.$$

– აბეს კრიტერიუმის საანგარიშო მნიშვნელობა

$$\nu = \frac{S_d^2}{S_{\bar{y}}^2} = 1,15$$

მიღებული მნიშვნელობა შეედარება აბეს კრიტერიუმის ცხრილურ კრიტიკულ მნიშვნელობას და თუ საანგარიშო მნიშვნელობა აღემატება ცხრილურს $\nu > \nu_{\beta}$, მაშინ ჯგუფების საშუალო არითმეტიკულების წანაცვლებას შემთხვევითი ხასიათი გააჩნია, ხოლო თუ $\nu \leq \nu_{\beta}$ მაშინ ჯგუფების საშუალო არითმეტიკულების წანაცვლება სისტემატური ხასიათისაა. ვინაიდან გვაქვს პარალელურ დაკვირვებათა 10 ჯგუფი ($L=10$), ამიტომ მისი ცხრილური მნიშვნელობა $\nu_{\beta} = 0,5311$, $q=0,05$ მნიშვნელობათა დონისათვის, რაც ნაკლებია მის საანგარიშო მნიშვნელობაზე $\nu=1,15$, ე.ი. ჯგუფების საშუალო არითმეტიკულების წანაცვლებას შემთხვევითი ხასიათი გააჩნია.

რადგან აბეს კრიტერიუმის მიხედვით საშუალო არითმეტიკულების წანაცვლებას შემთხვევითი ხასიათი აქვს, ამიტომ დაკვირვებათა შედეგების გაერთიანება უნდა მოვახდინოთ

ისევე, როგორც მონაცემებისა, როდესაც დისპერსიები ერთგვაროვანია, ზოლო საშუალო არითმეტიკულები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან [3].

დაკვირვებათა შედეგების გაერთიანებული მახასიათებელები - ერთობლივი საშუალო \bar{y} და ერთობლივი საშუალოს დისპერსია $S_{\bar{y}}^2$ გამოითვლება შემდეგი ფორმულებით:

$$\bar{y} = \frac{\sum_{i=1}^L n_i \bar{y}_i}{N} = 4,6025 \quad (1)$$

$$S_{\bar{y}}^2 = \frac{1}{N(N-1)} \left[\sum_{i=1}^L (n_i - 1) S_i^2 + \sum_{i=1}^L n_i (\bar{y}_i - \bar{y})^2 \right] = 1,75 \cdot 10^{-7} \quad (2)$$

რომელთა რიცხვითი მნიშვნელობები მიღებულია ადრე გამოთვლილის გათვალისწინებით.

მიღებული შედეგი გაზომვის განუსაზღვრელობის შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით წარმოადგენს ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის A ტაბის სტანდარტულ განუსაზღვრელობას ანუ საკონტროლო ნიმუშის განმეორებადობის ექსპერიმენტში მიღებულ ჯამურ სტანდარტულ განუსაზღვრელობას [4], რომელიც

$$u_{\Sigma r_{\delta \omega}} = \sqrt{S_{\bar{y}}^2} = \sqrt{1,75 \cdot 10^{-7}} = 4,19 \cdot 10^{-4} \Omega .$$

შესაბამისად საკონტროლო ნიმუშის წინაღობა ჩაიწერება

$$R_{\text{საკ}} = 4,6025 \pm 4,19 \cdot 10^{-4} \Omega$$

საკონტროლო ნიმუშის საძიებელი პარამეტრის მღებულ მნიშვნელობას შეედარება ლაბორატორიათაშორის გამოცდებში მონაწილე ლაბორატორიების გაზომვის შედეგები. საკონტროლო ნიმუშის ნაპოვნ მნიშვნელობასთან მიახლოების ხარისხის მიხედვით მსჯელობებ მონაწილე ლაბორატორიების გაზომვის შედეგების კომპეტენციაზე.

3. დასკვნა

ლაბორატორიათაშორისი გამოცდების (ლშგ) ჩატარების აუცილებლობა, რომელიც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით აკრედიტებულ საგამოცდო ლაბორატორიების მონაცემთა ურთიერთშესატყვისობასა და დაახლოებას გულისხმობს მნიშვნელოვნადაა განპირობებული პროგაიდერის მიერ მომზადებული საკონტროლო ნიმუშის საკვლევი პარამეტრის გაზომვის შედეგის განმეორბადობისა და აღწარმოებადობის უნარის განსაზღვრის მეთოდისა და მიღობებისაგან, რაც საბოლოო ჯამში მონაწილე ლაბორატორიების კვალიფიკაციისა და კომპეტენტურობის შეფასების საფუძვლია.

ლიტერატურა:

1. Методика проведения межлабораторных сравнительных испытаний электродвигателей, трансформаторов для бытовых приборов и зарядки аккумуляторов, стабилизаторов напряжения, трансформаторов разделительных, безопасных разделительных. (2008). Испытательный центр АНО “НТЦ ОС ЭЛМАТЭП“. Москва.

2. ჭედგინიძე ი. (2000). საინჟინრო ესპერიმენტის ორგანიზაცია და დაგეგმვა, ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი.
3. აბელაშვილი ნ., ქართველიშვილი გ., მურჯიკნელი გ. (2013). რეალური ობიექტისა და ვირტუულური მოდელის გაზომვის მონაცემების გაერთიანების პირობები. სტუ. შრ.კრებ. „მართვის ავტომატიზებული სისტემები”, №2(15), გვ.122-127
4. ГОСТ ISO/IEC 17043-2013. (2014). Оценка соответствия. Основные требования к проведению проверки квалификации (ISO/IEC17043:2010, IDT). Москва. Стандартпнформ.

PRODUCTION OF THE MONITORING SAMPLES FOR INTERLABORATORY TESTS

Abelashvili Nodar¹, Abelashvili Nika²

1- Georgian Technical University,

2 - Austrian Engineering Advisory Bury "Ingerieure Gmbh"

Summary

In the work the technique of research control sample during laboratory trials to establish criteria for the frequency and its physical values laboratory Parties in proficiency testing conformity assessment. During the inter-laboratory tests to establish their mutual compliance by finding the difference between the average and variance in the results of observations of arithmetic, where, together with Pearson's criteria can be used and Student's criteria too.

ИЗГОТОВЛЕНИЕ КОНТРОЛЬНОГО ОБРАЗЦА ДЛЯ ПРОВЕДЕНИЯ МЕЖ-ЛАБОРАТОРНЫХ ИСПЫТАНИЙ

Абелашвили Нодар¹, Абелашвили Ника²

1- Грузинский Технический Университет,

2- Австрийское Инженерное Консультативное Бюро “Ingerieure Gmbh”

Резюме

Рассматривается методика исследования контрольного образца при проведении межлабораторных испытаний для установления критериев повторяемости и физического значения результатов измерения при проверке оценки соответствия квалификации для участников. При проведении межлабораторных испытаний установление их взаимного соответствия осуществляется путем нахождения отличий между дисперсиями и средними арифметическими в результатах наблюдения, где совместно с критерием Пирсона можно использовать и критерий Стьюдента.

საინფორმაციო საზოგადოება და პიბლიშსაცრთხმება

დავით ბურჭულაძე, გიორგი მაისურაძე, თამარ ქიტიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია 21-ე საუკუნეში საზოგადოების ინფორმატიზაციასთან დაკავშირებული მდგომარეობა და პრობლემები, ინფორმაციის გავრცელების მეთოდები და ინფორმაციის, როგორც თავისებური იარაღის გამოყენების შესაძლებლობის არსებობა. ახსნილია თუ რამდენად დიდ საშიშროებას წარმოადგენს რამე კონკრეტული ინფორმაციის გაუმნვის მოვლენა და მისი არასასურველ ხელში მოხვედრა. გამომდინარე აქედან, ცხადად არის ნაჩვენები, თუ რამდენად მნიშვნელოვანია დღესდღეობით ინფორმაციის დაცვა, რათა თავიდან იქნას აცილებული მისი დაკარგვა და ამის შედეგად გამოწვეული პრობლემებიც. სტატიაში ხაზგასმულია კიბერუსაფრთხოების მნიშვნელობა, საინფორმაციო საზოგადოების როლი მთლიანად და სახელმწიფოუბისთვის.

საკანონი სიტყვები: ინფორმაცია. ინფორმატიზაცია. საინფორმაციო საზოგადოება. კიბერუსაფრთხოება.

1. შესავალი

წარმოდგენილ ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ინფორმაციის დაცვის და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელობას, რა როლს ასრულებს ინფორმაცია მთლიანად საზოგადოებისათვის და აგრეთვე სახელმწიფოსთვისაც, მათ შორის საქართველოს ფარგლებშიც და მის გარეთ. ობიექტურად არის გაანალიზებული და განსაზღვრული თითოეული საკითხი, სრულფასოვნადაა გადმოცემული დღევანდელი მდგომარეობა აღნიშნულ სფეროში, თავისი პრობლემებით და უპირატესობებით.

2. ძირითადი ნაწილი

ინფორმაციის ცნება დღესდღეობით გამოიყენება საკმაოდ ფართოდ და მრავალმხრივად. დიდი ინფორმაციული ნაკადები მოედინება და ბრუნავს ადამიანების ირგვლივ. შეიძლება ითქვას, რომ 21-ე საუკუნე არის ინფორმაციაზე უკანონო „ნადირობის“ ბოროტმოქმედება, ამდენად წარმოიშვა ინფორმაციის დაცვის აუცილებლობაც.

საზღვარგარეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ ტენდენციასთან საბრძოლველად საჭიროა ინფორმაციული რესურსების დაცვის პროცესის მიზანმიმართული ორგანიზაცია [1]. მასში აქტიურად უნდა მონაწილეობდენ პროფესიონალი სპეციალისტები, ადმინისტრაცია, თანამშრომლები და მომხმარებლები, რაც აამაღლებს პრობლემის გადაწყვეტის ორგანიზაციულ მხარეს.

ინფორმაციული უსაფრთხოება, ისევე როგორც ინფორმაციის დაცვა, კომპლექსური და რთული ამოცანაა. იგი მიმართულია უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სპეციალური უსაფრთხოების სისტემის დანერგვისაკენ [2]. ინფორმაციის დაცვა მთელი რიგი კომპანიებისათვის საკმაოდ პრობლემური საკითხია და მოიცავს არაერთ ამოცანას. ინფორმაციის დაცვა უნდა მოხდეს

ყველა იმ შემოტევებისაგან, რომელსაც ეწ. „Adversaries” გვიწყობენ, ესენი შეიძლება იყოს შემდეგი ჯგუფის წარმომადგენლები: Terrorist, Criminals, Hackers, Government და ა.შ. [3]

საინფორმაციო საზოგადოების შექმნა გლობალური პროცესია. ადამიანის საარსებო გარემოში საინფორმაციო სივრცე ყველგან წამყან ადგილს იკავებს. ამ სივრცეში ჩართვის, თანამედროვე ინფორმაციის, საინფორმაციო პროდუქტების წარმოება-მოხმარების გარეშე, არათუ რამის გაკეთება, არამედ უკვე წარმოებული საქონლის მოხმარებაც კი უფრო და უფრო რთულდება, ხშირად კი სულაც შეუძლებელი ხდება.

მე-20 საუკუნის ბოლოს მომხდარმა საინფორმაციო ტექნოლოგიურმა რევოლუციაზ დღევნდელი სამყარო უდიდესი სოციალური გარდაქმნების წინაშე დააყენა. ასეთი ცვლილებები შეუქცევადია და საყოველთაო.

გლობალურ ქსელს - ინტერნეტს ბევრ სიკეთესთან ერთად გააჩნია უარყოფითი მხარეები, რომლებსაც ინტერნეტ მომხმარებლები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ. თუმცა ინტერნეტ საფრთხეებს შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს როგორც კონკრეტულ პიროვნებას, ასევე ადამიანთა ჯგუფს, ორგანიზაციას, დაწესებულებას ან მთლიანად ქვეყანას.

საინფორმაციო ტექნოლოგიების რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი შედეგი გლობალური საინფორმაციო სივრცის შექმნაა, რომელშიც სრულიად ახალი ტიპის, საინფორმაციო ურთიერთქმედებულებზე დამოკიდებული სოციალურ-პლატფორმა, ეკონომიკური და კულტურული კავშირ-ურთიერთობები ყალიბდება. ახალი ურთიერთობანი ცივილიზაციის ახალი ეტაპის - საინფორმაციო საზოგადოების შექმნას მოასწავებს.

მსოფლიო მრავალფეროვნებისა და განვითრების უთანაბრობის მიუხდავად, გლობალური საინფორმაციო სივრცის შექმნასთან დაკავშირებული ყოვლისმომცველი ცვლილებები წესისმიერი პიროვნების, სოციალური ჯგუფის, ერისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში დიდ მნიშვნელობას იძენს.

მსოფლიო განვითარების უმთავრესი ტენდეცია - საინფორმაციო საზოგადოების შექმნა - ცვლის განვითარებული ქვეყნების სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. მათ შორის საქართველოსთვისაც არსებობს ალტერნატივა: თავისუფალი ეროვნული განვითარების პერსპექტივის უზრუნველყოფა, ანდა გაქრობა. გლობალურ საინფორმაციო საზოგადოებაში შესაბიჯებლად კარი ყველასთვის დია და არ არსებობს არანაირი დისკრიმინაცია, მაგრამ აუცილებელია როგორც ტექნიკურ-ტექნოლოგიური, აგრეთვე შესაბამისი სოციალური შინაარსის მქონე აღჭურვილობა, ასევე ისეთი სოციალური გარემო, სადაც უზრუნველყოფილია მათი თავისუფალი, ეფექტური, შემოქმედებითი და ეროვნული ინტერესების შესაბამისი გამოყენება.

ქვეყნის წარმატებული აღმშნებლობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა საინფორმაციო საზოგადოების შექმნის პირობათა უზრუნველყოფის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური ამოცანები. საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბება, ინფორმატიზაცია საერთო ეროვნული ამოცანა და პრობლემა, მის გადაწყვეტაში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ქვეყნის სამეწარმეო სექტორი, საზოგადოებრივი, არასამთავრობო ორგანიზაციები და განსაკუთრებული უნდა იყოს სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზების როლი.

საზოგადოებრივად აუცილებელი საწარმოო, მოხმარებისა თუ დაგროვების სხვადასხვა რესურსების შექმნა-განაწილების და მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები წარმოუდგენელია ინტენსიურ საინფორმაციო ურთიერთქმედებათა გარეშე (პროექტი თვითმმართველობის ერთულის ინფორმატიზაციის კონცეფცია).

გლობალური საინფორმაციო სივრცეში საინფორმაციო ურთიერთქმედებათა მზარდი მნიშვნელობის გამო პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს თანამედროვე განვითარების საინფორმაციო გარემოზე დამოკიდებულობა სულ უფრო მზარდი და ყოვლისმომცველი ხდება [2].

ისევე, როგორც ინდუსტრიულ ეპოქაში რეინიგზა მოგვევლინა კომუნიკაციის ახალ საშუალებად, ასეთ საშუალებას საინფორმაციო ხანაში წარმოადგენს ინტერნეტის ქსელი. ის ხელს უწყობს პარტნიორებთან ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, შემოსავლის ახალი წყაროების შექმნას, ხარჯების შემცირებას. ხალხი თავისი მთავრობისაგან ელის სახელმწიფო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, ეფექტურობის ზრდას და ხარჯების შემცირებას.

საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბება ბევრ ორგანიზაციას უბიძგებს ელექტრონული მთავრობის კონცეფციის გათავისებისაკენ. ამ კონცეფციის მიზანია:

- ა) მოსახლეობას შესთავაზოს ინტეგრირებული მომსახურება ინტერნეტის ქსელით [4];
- ბ) აღმოფენას საინფორმაციო უთანასწორობა;
- გ) უზრუნველყოს მოქალაქეებისათვის მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლების საშუალება;
- დ) მოსახლეობასთან ურთიერთობის გარდაქმნა;
- ე) ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა;
- ვ) სწორი პოლიტიკის და კანონების შემუშავება;
- ზ) მოქალაქეთა მონაწილეობით მართვის ახალი ფორმების შექმნა.

ქვეყნები, რომლებიც ფლობს მსოფლიოში ყველაზე მაღალ განვითარებულ ინფორმუნიკაციებს, აქვს მძლავრი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, ინფორმატიზაციის ტექნიკო-ტექნოლოგიური ბაზა და ყველაზე კომფორტული საინფორმაციო გარემო, დაადგნენ ცივილიზაციის ახალი საფეხურის - საინფორმაციო საზოგადოების შექმნის ზღურბლთან [5].

გლობალური საინფორმაციო საზოგადოება თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების ახალი ეტაპია, რომელსაც ახასიათებს:

- ა) ინფორმაციისა და ცოდნის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ცხოვრების ყველა სფეროსთვის;
- ბ) გლობალური საინფორმაციო სივრცის შექმნა;
- გ) ახალ ტექნოლოგიურ წყობათა შექმნა და მათი შემდგომი დომინირება;
- დ) შრომის ბაზარზე მოთხოვნილების წამყავან მახსისათებლებად მაღალი კვალიფიკაციის, პროფესიონალიზმისა და შემოქმედებითი ნიჭის გადაქცევა;
- ვ) ადამიანისა და მოქალაქის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა უზრუნველყოფის, მოსახლეობისა და ხელისუფლების ურთიერთქმედებების ეფექტიანი სისტემების მზარდი განვითარება.

განვითარებულ, პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში ეფექტიანად ფუნქციონირებს საბაზრო ეკონომიკა, ჩამოყალიბებულია ღია დემოკრატიული საზოგადოება, მიღწეულია თვითსტიმულირებადი ტექნილოგიური ზრდა, არსებობს მოსახლობის გადახდისუნარიანი საშუალო კლასი, პროგრესირებადია საყოველთაო მოთხოვნა საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურებაზე, შექმნილია საინფორმაციო პროდუქტების და მომსახურების მძლავრი ინდუსტრია და ა. შ.

ეს ყოველივე ამ ქვეყნებში საინფორმაციო საზოგადოების შექმნის ყველა, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ ტექნიკურ-ტექნილოგიური პირობის რეალიზაციის ბუნებრივ საფუძველს წარმოადგენს.

მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ წარმატებული წინსვლა საინფორმაციო საზოგადოებისაკენ მოწინავე ქვეყნების გეოპოლიტიკურ მიზნებსა და პრიორიტეტებს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს და მათი ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი ქაპუთხედია.

საქართველო გარდამავალი ეკონომიკის განვითარებად ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება. ქვეყნის წარმატებული აღმშენებლობისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ და რეალიზებულ იქნას საინფორმაციო საზოგადოების შექმნის პირობათა უზრუნველყოფის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნილოგიური ამოცანები.

3. დასკვნა

ინფორმატიზაცია საქართველოში დღს არაგეგმაზომიერად მიმდინარეობს, რის შედეგადაც არათუ ყალიბდება, არამედ ბევრ შემთხვევაში ხელი ეშლება საინფორმაციო საზოგადოებისათვის სავალდებულო ეროვნული საინფორმაციო გარემოს შექმნას.

სოციალურად მნიშვნელოვან და საზოგადოებრივად აუცილებელ საინფორმაციო პროდუქტთა და მომსახურებათა წარმოება და მოხმარება სამართლებრივად და სოციალურ-ეკონომიკურად მოუწესიგებელია და არ ხდება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, საერთოდ საინფორმაციო გარემოს განვითარების სტიმულირება, შეზღუდულია სხვადასხვა სფეროებში ინფორმატიზაციის საშუალებების და საერთოდ, საინფორმაციო ტექნილოგიების როგორც საჯარო, ასევე ექრო მიზნებით გამოყენება.

საინფორმაციო გარემოს ჩამოყალიბება, ინფორმატიზაცია - საერთო ამოცანა და პრობლემა, ამ პრობლემის გადაწყვეტაში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი. აქედან გამომდინარე, ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის უახლოეს მომავალში დაგეგმვა და პრიორიტეტული განხორციელება საქართველოს ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

ლიტერატურა:

1. სურგულაძე გ., ურუშაძე ბ. (2014). საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტის საერთაშორისო გამოცდილება (BSI, ITIL, COBIT). სტუ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი.
2. ო. შონია, გ. ჯანელიძე, ბ. მეფარიშვილი. (2009). ინფორმაციული და ქსელური რესურსების უსაფრთხოების უზურნველყოფა. სტუ. თბილისი.
3. კახელი ბ., ქართველიშვილი ი. (2012). ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფცია ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. სტუ-ს სამეცნ.შრ.კრ. „მართვის ავტომატიზებული სისტემები“, №2(13), თბილისი. გვ. 114-118.
4. სურგულაძე გ., ბულია ი. (2012). კორპორაციულ Web-აპლიკაციათა ინტეგრაცია და დაპროექტება. სტუ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი.
5. Акопов А. (2011). Информационное общество и средства массовой информации. (Франция). ГТУ, Сб.научн.трудов „АСУ“, № 1(10), Тбилиси. с.22-26.

ИНФОРМАЦИОННОЕ ОБЩЕСТВО И ИНФОРМАЦИОННАЯ БЕЗОПАСНОСТЬ.

Бурчуладзе Д., Майсурадзе Г., Китиашвили Т.

Грузинский Технический Университет

Резюме

Рассмотрели 21 века информации, связанной с состоянием и методы распространения информации, использование его в качестве оружия, как своего рода возможность. Объясняется это, как самые большие угрозы, какой-либо конкретной утечки информации и, чтобы попасть в объятия ее нежелательно. Таким образом, ясно показывает, насколько важно сегодня для защиты информации, чтобы избежать проблем, связанных с его потерей и для кого. Статья подчеркивает важность информационной безопасности, роли информационного общества в целом, а также для государств, в том числе в рамках и за его пределами. Цель состоит в том, чтобы увидеть каждый из истории выше и верно передал проблемы и преимущества настоящего ситуации.

INFORMATION SOCIETY AND CYBER SECURITY

Burchuladze David, Maisuradze Giorgi, Kitiashvili Tamar

Georgian Technical University

Summary

In the article, called "Information Society", have considered the 21st century is the information related to the condition, and the methods of dissemination of information, the use of it as a weapons as a kind of possibility. Explained is how the biggest threats, any specific information leakage and to get into the arms of her undesirable. Therefore, clearly shows how important it is today to protect the information, to avoid problems caused by its loss and for whom. The article highlights the importance of information security, the role of the information society as a whole as well as for States, including within the framework of, and beyond. The objective is to see each of the above story and faithfully conveyed the problems and advantages of the present situation.

ინფორმაცია და კიბერუსაფრთხოების სტრატეგია

დავით ბურჭულაძე, თამარ ქიტიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საზოგადოებრივი კეთილდღეობა და ეკონომიკური სტაბილურობა ეყრდნობოდა გადაცემის ქსელების მონაცემებისა და გამოთვლითი მომსახურების გამართულ მუშაობას, რომლის სანდოობის მაჩვენებელი საქმაოდ დიდი იყო. საერთო მოხმარების ინფორმაციული სისტემების უზრუნველისირებაზე დიდი გავლენა აქვს ისეთ ფაქტორებს, როგორებიც არის ინტერნეტზე შეტევა (attack), ფიზიკური ზემოქმედების შედეგად მიყწებული დარღვევები, პროგრამული და აპარატული უზრუნველყოფის მწყობრიდან გამოსვლა, ადამიანის, როგორც მომხმარებლის მიერ მუშაობის პროცესში დაშვებული შეცდომები. ჩამოთვლილი ფაქტორები ნათლად აჩვენებს იმ გარემოებას, თუ რამდენად არის დამოკიდებული თანამედროვე საზოგადოება ინფორმაციული სისტემების სტაბილურ მუშაობაზე. მოცემულს ნათლად ასახავს კიბერუსაფრთხოების გერმანული სტრატეგია, კერძოდ: „კიბერსივრცეზე დაშვების უზრუნველყოფა, ასევე ინფორმაციის კონფიდენციალობა და სანდოობა კიბერსივრცეში გახდა ერთერთი მნიშვნელოვანი პრობლემა 21-ე საუკუნეში. ამიტომ კიბერსივრცის დაცვა ხდება მთავარი ამოცანა სახელმწიფოს, ეკონომიკისა და საზოგადოების, როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო დონეზე.“

საკვანძო სიტყვები: ინფორმაცია. კიბერუსაფრთხოება. ინფორმაციული სისტემა. პოგრამული უზრუნველყოფა. აპარატურული უზრუნველყოფა.

1. შესავალი

დღეისთვის ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას ელექტრონული მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული ერთანი სისტემის შექმნა, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების ხელშეწყობა. ელექტრონული სერვისები წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული მომსახურების ყველაზე უფრო იავ, მოსახერხებელ და სწრაფ მომსახურებას. ელექტრონული მომსახურების განვითარებასთან ერთად კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხები, რაც სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებს განეკუთვნება.

იბერუსაფრთხოება სმირად განიხილება როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის სტრატეგიული პრობლემა, რომელიც ეხება საზოგადოების ყველა უნას. კიბერუსაფრთხოების სახელმწიფო პოლიტიკა (NCSS - National Cyber Security Strategy) არის საშუალება, რომელიც ემსახურება სახელმწიფოს ინფორმაციული სისტემებისა და მთლიანად ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებისა და სანდოობის გაზრდის შესაძლებლობას, რომელიც ამავდროულად მაქსიმალურად ამცირებს რისკებს.

კიბერუსაფრთხოების სტრატეგიაში გამოიყენება პრობლემისადმი მაღალი დონის მიღება, კერძოდ: გამოიყოფა სახელმწიფოს მთელი რიგი მიზნები, ამოცანები და პრიორიტეტები, რომლებიც აუცილებელია მოცემული დროის მონაკვეთში მისაღწევად. ფაქტიურად, სტრატეგია ეს

არის მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა კიბერუსაფრთხოების საკითხების მოგვარებას ქვეყნის შიგნით.

2. ძირითადი ნაწილი

თანამედროვე მსოფლიოს კიბერსივრცები არსებული და პოტენციური რისკები/საფრთხეები საზოგადოებრივი ცხოვრების რეალობად იქცა. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად უფრო რთული ხდება აღნიშნული საფრთხეების პრევენცია და დაძლევა. საერთაშორისო სტატისტიკის მიხედვით, წარმატებული კიბერინციდენტების რიცხვი ყოველწლიურად მატულობს და შესაბამისად იზრდება კიბერინციდენტებით გამოწვეული ზარალი.

რესერვ - საქართველოს ომის დროს, რესერვის ფედერაციამ საქართველოს წინააღმდეგ სახმელეთო, საპატიო და საზღვაო შეტევების პარალელურად, განახორციელა მიზანმიმართული და მასირებული კიბერშეტევები. აღნიშნულმა კიბერშეტევებმა აჩვენა, რომ კიბერსივრცის დაცვა ეროვნული უსაფრთხოებისთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სახმელეთო, საზღვაო და საპატიო სივრცეების დაცვა“. ეს კიბერშეტევა ბევრი საერთაშორისო ექსპერტის მიერ შეფასდა როგორც „ინფორმაციული/კიბერ ომი“ საქართველოს წინააღმდეგ, რასაც ქვეყანა მოუმზადებელი შეხვდა, არ არსებობდა საჭირო რესურსები, გამოცდილება და შესაბამისად საქართველომ კიბერშეტევის მოგერიება ვერ შეძლო. შედეგად ქვეყანა აღმოჩნდა სერიოზული საერთაშორისო ინფორმაციული ვაჭუშის წინაშე. პრობლემა გადაიჭრა ქვეყნის უცხოელი სტრატეგიული პარტნიორების, ჩარევის შემდეგ, რის შედეგადაც შეჩერებული და თავიდან აცილებული იქნა მთლიანი ინფრასტრუქტურის განადგურება.

2008 წლის აგვისტოს ომისა და მისი შედეგების გათვალისწინებით, რაც უკავშირდებოდა ქვეყნის დაუცველ კიბერსივრცეს, საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო სამართლებრივ - ნორმატიულ ბაზაზე მუშაობა მოცემული მიმართულებით, რის შედეგად 2013 წლის მაისში გამოქვეყნდა საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც „წარმოადგენს „ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვას“ პროცესის ფარგლებში შექმნილი კონცეპტუალური და სტრატეგიული დოკუმენტების პაკეტის ნაწილს. შესაბამისად, აღნიშნული სტრატეგია ეფუძნება „საქართველოს საფრთხეების შეფასების 2010 – 2013 წ.წ. დოკუმენტს“ და „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას“.

საქართველოს კიბერუსაფრთხოების სტრატეგია არის გარდამავალი დოკუმენტი და მისი განხორციელებას ვადება 2013 – 2015 წლები, რისთვისაც შექმნილი არის სპეციალური სამოქმედო გეგმა 42 და მის განხორციელებაზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში პასუხისმგებელი უწყებები: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მონაცემთა გაცვლის სააგენტო და საქართველოს ჩ ლო; საქართველოს შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროები; საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი. სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში ასევე გათვალისწინებულია საერთაშორისო დახმარება კვლევითი ლაბორატორიის შექმნასა და ელექტრონული მტკიცებულებების (კიბერკრიმინალისტიკის) სფეროში, კიბერდანაშაულის ექსპერტების სპეციალიზებული ტრენინგების ორგანიზებაში.

საერთაშორისო სისტემაში არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა და განხორციელება განიხილავს კიბერუსაფრთხოების სფეროში შემდეგ საფრთხეებსა და გამოწვევებს:

კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის გამოქვეყნებას წინ უძლოდა 2012 წლის ივნისში კანონის „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ გამოქვეყნება. მოცემული კანონის მიზანია „ხელი შეუწყოს ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის ქმედით და ეფექტური განხორციელებას, დააწესოს საჯარო და კერძო სექტორების უფლება - მოვალეობები ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის სფეროში, აგრეთვე განსაზღვროს ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები“ [1]

კერძო, იქიდან გამომდინარე, რომ კანონი შემუშავებული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტებში იგულისხმება:

- საფინანსო სექტორი;
- კომუნიკაციების სექტორი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სექტორი;
- ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სექტორი;
- სატრანსპორტო სისტემების სექტორი;
- ჯანმრთელობის დაცვისა სექტორი;
- ინდუსტრიული, მათ შორის სამშენებლო და ქიმიური მრეწველობის სექტორი;
- თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორი და ა.შ.

თავისთავად, აღნიშნული სექტორები მოიცავს მიმართულებების საკმაოდ ფართო სპექტრს, რომელიც შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტებად.

აღნიშნული ჩამონათვალი ფართოვდება შემდეგი ჩანაწერით: „მ კანონის მოქმედება ვრცელდება ყველა იურიდიულ პირზე და სახელმწიფო ორგანოზე, რომელიც წარმოადგენს კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტს“.

კანონის მოქმედება ასევე ვრცელდება ისეთ ორგანიზაციაზე ან უწყებაზე, რომელიც შედის კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტის დაქვემდებარებაში ან დაკავშირებულია სუბიექტთან დასაქმების, სტაჟირების, სახელშეკრულების ან სხვა ურთიერთობით, რომელიც უზრუნველყოფს წვდომას ინფორმაციულ აქტივზე ასეთი ურთიერთობის ფარგლებში.

